N 0132-5981

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგზაო სამართალი

178/3
987

1987

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 164-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები კვირას, 1987 წლის 21 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე - პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1987 წლის 27 მარტი.

მთავარი რედაქტორი

ლერი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე
ანგი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)
გელა გერძენიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ანზორ გაბიანი
შოთა გორგოძე
აკაკი კარანაძე
დურმიშხან ლორია
ფახტანგ რაზმაძე
გრიგოლ როინიშვილი
თამაზ შავგულიძე
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორბენაძე

Главный редактор

Талаквадзе Л. Г.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсенашвили А. Г.
(научный редактор).
Бердзенишвили Г. Д.
(ответственный секретарь)
Габиани А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი
აპრილი
1987 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საბჭოთა ხალხს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა 3

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 9

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში

მ. კომახიძე — მიღწეულ პოზიციებს არ დავთმობთ 13

ე. ახვლედიანი — საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის საერთაშორისო მნიშვნელობა 19

მეცნიერული ცხოვრება

გ. გურული — რესპუბლიკური კონფერენცია 26

სასამართლო პრაქტიკის განზოგადება

ზ. მახარაძე — ერთიანი და კანონიერი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებისათვის . . 31

წერილები უველგან და ყველაფერზე

მ. მეგრელიშვილი — დავიცვათ და განვამტკიცოთ ფასების სახელმწიფო დისციპლინა . 36

რაიონული გაზეთების ფურცლებზე

გ. ბერძენიშვილი — კრიტიკული, შემტევი, უკომპრომისო 41

სასამართლო ექსპერტიზა: სიახლენი და პრაქტიკა

ზ. კოხრეიძე — ქიმიური ხსნარებით დამუშავებული და გაუფერულებული ტექსტების აღდგენა 47

სასამართლო დარგაზიდან

რ. გილიგაშვილი — განსჯის ღრმა საფუძველი 50

დიდი ილიას საიუბილეოდ

ლ. კარბელაშვილი — ზოგიერთი სამართლებრივი საკითხი „ივერიის“ ფურცლებზე . 56

ქალთა საერთაშორისო დღისადმი

ა. არსენაშვილი — ბედნიერ დღეებს გისურვებთ 58

ბ. დავითაია — ძალა სიყვარულისა 59

წინადადებები, შენიშვნები

დ. დევდარიანი — ახალგაზრდა სპეციალისტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის 61

ტ. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“ 65

ინფორმაცია 69

კრიმინალისტიკის ისტორიიდან

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

К СОВЕТСКОМУ НАРОДУ
Обращение Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза 3
В Центральном Комитете КПСС 9

Решения XXVII съезда КПСС — в жизнь

М. Комахидзе — Не уступим достигнутых позиций 13
Э. Ахвледиани — Международное значение советской социалистической демократии 19

Научная жизнь

Г. Гурули — Республиканская конференция 26

Обобщение судебной практики

Ш. Махарадзе — Утверждение единой и законной судебной практики . 31

Порядок везде и во всем!

М. Мегрелишвили — Защитим и укрепим государственную дисциплину цен 36

На страницах районных газет

Г. Бердзенишвили — Критические, наступательные, бескомпромиссные . 41

Судебная практика: новшества и практика

З. Кохрендзе — Восстановление текстов обесцвеченных и обработанных химическими растворами 47

Из зала суда

Р. Гилигашвили — Основания для глубоких раздумий 50

К юбилею Ильи Чавчавадзе

Л. Карбелашвили — Некоторые правовые вопросы на страницах «Иверии» 56

К международному женскому дню

А. Арсенашвили — Счастливых вам дней 58
Б. Давитая — Сила любви 59

Предложения, замечания

Д. Девдариани — Для улучшения жилищно-бытовых условий молодых специалистов 61
Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 65
Информация 69

Из истории криминалистики

Известные уголовные дела 76

© „საბჭოთა სამართალი“, 1987 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, ლენინის პრ. 103, ტ. 95-88-49, 95-58-87.

გადაეცა წარმოებას 17.03.87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.04.87 წ.,
ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვ. № 728. ტირაჟი 35.500. უე 0966.

ხარ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდაათი წლისთავი. ეს საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაულია.

ჩვენი რევოლუცია XX საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენაა, რომელმაც ყველას აუწყა კაცობრიობის ცხოვრების ახალი ხანის დაწყება. დრომ ღრმად გამოავლინა მისი წარუვალი მნიშვნელობა, წარმოაჩინა გიგანტური შესაძლებლობანი, რომლებსაც სოციალისტური საზოგადოებრივი განვითარება სახავს.

ჩვენს შეგნებაში, ჩვენს გრძნობებში ოქტომბერი საბჭოთა ადამიანების უმაღლესი ეროვნული სიამაყის საგანია. რევოლუცია გახდა მასების ისტორიული შემოქმედების უმაგალითო აღმაფრენა, ნეტარების ჟამი გამარჯვებული ხალხისა, რომელმაც კაპიტალისტური და მემამულური ექსპლოატაციის უღელი მოიშორა.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ედგა სათავეში ბოლშევიკთა პარტიას, რომელმაც რუსეთის მუშათა კლასი, მშრომელები რევოლუციური გმირობისათვის დარაზმა. მისი თეორიული აზრი, მისი ზნეობრივი მაგალითი, მისი ტიტანური მოღვაწეობის ნაყოფი საუკუნეებში იცოცხლებს.

დიდი ოქტომბერი გრძელდება ჩვენს დღევანდელ საქმეებში. ქვეყანაში ჩაღდება გარდაქმნა, თავისი არსით რევოლუციური აღმშენებლობითი მუშაობა. მისი მიზანია დაჩქაროს სოციალისტური საზოგადოების პროგრესი. ამას ისახავდა მიზნად ხალხის ნების გამომხატველი პარტიის პოლიტიკური გეზი — ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის, სკკპ XXVII ყრილობის გეზი.

დიდი, პრინციპულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი მიიღო იანვარში გამართულმა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. ისინი პარტიასა და ხალხს აიარაღებენ გარდაქმნის თეორიით, რაზმავენ მათ უფრო ღრმა რეფორმებისათვის, გაბედული ღონისძიებებისათვის, რომლებმაც სოციალიზმს უნდა მიანიჭონ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველაზე თანამედროვე ფორმები.

ჩვენი ქვეყანა პირველია, სადაც სოციალიზმი პრაქტიკულად განხორციელდა. ოქტომბრის გამარჯვებამ დაამკვიდრა ადამიანთა სოციალური ყოფიერების ისტორიულად უმაგალითო საფუძვლები, მშრომელთა ძალაუფლება — პოლიტიკაში, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება — ეკონომიკაში, კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება — ადამიანთა ურთიერთობაში. ეს რევოლუციური გარდაქმნები სოციალისტური წყობილების თავიდათავი, საარსებო ძალების უშრეტი წყაროა.

დიდმა ოქტომბერმა, სოციალიზმმა ჩვენს სამშობლოს თავიდან ააცილა ბევრი სენი და უბედურება, რომლებიც დღემდე სიცოცხლეს უწამლავენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხებს. ჩვენში არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, არ არის უმუშევრობა, არ არის ეროვნული ჩაგვრა, არ არის სიღატაკე და უწიგნურობა, მშრომელი ადამიანები სოციალური უშიშროების პირობებში სვალინდელი დღის რწმენით ცხოვრობენ.

სწორედ ამისათვის მოხდა ოქტომბრის რევოლუცია, ამისათვის არსებობს სოციალიზმი.

სოციალისტური მშენებლობის დროს ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელსაც უდიდესი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი აქვს.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

მიღწეულია მასების განათლების მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონე. მშრომელთა სახლში შეძლება სუფევს. ცხოვრების ჩვეულებრივი ნორმები გახდა უფასო სამედიცინო მომსახურება, სახელმწიფო ზრუნვა დედათა და ბავშვთათვის, ომისა და შრომის ვეტერანებისათვის, ხანდაზმული მოქალაქეებისათვის. თითქმის ყოველდღე, ათასობით ოჯახი დღესასწაულობს ახალმოსახლეობას.

ქვეყანაში მოხდა უდიდესი გარდაქმნები კულტურის დარგში. სოციალიზმი მსოფლიოს წინაშე წარსდგა როგორც წყობილება, რომელსაც უნარი შესწევს ჰუმანისტური ალტერნატიკა დაუპირისპიროს ბურჟუაზიული საზოგადოების უადამიანობასა და ძალადობას, სულიერ გამოფიტვას, როგორც წყობილება, რომელიც იცავს და ამრავლებს ცივილიზაციის ჭეშმარიტ ღირებულებებს და უნარისა და ორიენტაციის ძალით უარყოფს კომერციასა და მოგებაზე დაფუძნებულ კულტურას.

დღეს იმისათვის ვიღვწით, რომ საბჭოთა ეკონომიკა ავიყვანოთ მსოფლიოში ეფექტიანობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმაღლეს დონეზე. ამით მნიშვნელოვნად გაფართოვდება იმის ბაზა, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ხალხის კეთილდღეობა და ყოველმხრივ განვითარდეს საზოგადოების ყველა წევრი, დაკმაყოფილდეს ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები.

ამის გზა გაგვიხსნა ოქტომბერმა, სოციალიზმმა.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მშრომელ ადამიანს მიანიჭა რეალური უფლებები და თავისუფლებები, დაამკვიდრა საბჭოების ხელისუფლება — სახელმწიფო ცხოვრების დემოკრატიული ფორმა, რომელსაც თვით ხალხმა მიაგნო. საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში არის ყველა წანამძღვარი დემოკრატიისა და ხალხის ინიციატივის მაქსიმალური განვითარებისათვის.

ეს სისტემა შვა ოქტომბერმა, იგი სოციალიზმმა შექმნა.

რევოლუციამ საფუძვლები ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქმით დადასტურდა ხალხთა თანასწორობა, მათი ძმური თანამშრომლობა. განვითარდა ყველა რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა. შეიქმნა ერთიანი საბჭოთა ხალხი, რომელიც ამაყობს თავისი მიღწევებით და მზად არის დაიცვას სოციალისტური მონაპოვრები ყოველგვარი ხელყოფისაგან.

ეროვნული ურთიერთობის სრულყოფა, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი საქმე, ახალ პრობლემებს სვამს. ისინი წყდება და კვლავაც გადაწყდება ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპებზე, პოლიტიკისა, რომელიც გულისხმიერია ყოველივე იმისადმი, რაც ეხება ეროვნულ ინტერესებს, შეურიგებელია ყოველგვარი ნაციონალისტური და შოვინისტური გამოვლინებებისადმი.

ქვეყნის პროგრესი ვითარდება და კვლავაც განვითარდება თითოეული ერისა და ეროვნების საკეთილდღეოდ, მათი შემდგომი დაახლოების ინტერესებისათვის, მთელი ჩვენი ურღვევი კავშირის ინტერესებისათვის. სსრ კავშირის ხალხებს აერთიანებთ მტკიცე მეგობრობა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი.

ეს მოგვცა ოქტომბერმა, ეს მოგვცა სოციალიზმმა.

ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც ღრმად შეიცვალა ჩვენი რევოლუციის ზემოქმედებით. კაცობრიობის უკვე მესამედზე მეტმა მოიშორა კაპიტალისტური ექსპლოატაციის ბორკილი. სოციალიზმი არსებობს, ვითარდება, მტკიცდება, როგორც მსოფლიო სისტემა. აღარ არის კოლონიური იმპერიები — არის ათობით ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფო.

გამრავლდა საერთაშორისო პროლეტარიატის ძალები, რომლის ინტერესებს გამოხატავენ მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური და მუშათა პარტიები. ვითარდება მასობრივი დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური, ომისსაწინააღმდეგო მოძრაობები, კაპიტალიზმის საერთო კრიზისი ღრმავდება.

მსოფლიოს ახლანდელი სოციალურ-პოლიტიკური სახე კანონზომიერი შედეგია ისტორიული პროცესისა, რომელსაც დასაბამი მისცა ოქტომბერმა.

სოციალისტურ მშენებლობაში ჩვენს პირველ ნაბიჯებს წარმართავდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. იგი დღესაც ჩვენთან არის. გარდაქმნა სულ უფრო ღრმად ამკვიდრებს პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში რევოლუციურ ლენინურ სულისკვეთებას.

დღეს ჩვენთან ერთად არიან ყველანი, ვინც მთელი ძალები შეალია სოციალიზმის დიად საქმეს. საბჭოთა ადამიანების მადლიერ ხსოვნაში მარად იცოცხლებენ რევოლუციონერი ლენინელები, ილიჩის თანამოსაგრენი, რომლებმაც საძირკველი ჩაუყარეს ბოლშევიზმის გმირულ ტრადიციებს და ათას განსაცდელსა და გაჭირვებაში გამოატარეს კომუნისტური იდეალების ურყევი ერთგულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ წაიშლება რუსეთის სამი რევოლუციის იმ მონაწილეთა სახელები და სახეები, რომლებმაც 1917 წლის ოქტომბერში დაამხეს მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება.

წმიდათაწმიდაა სამოქალაქო ომის გმირების, ყველა იმათი ხსოვნა, ვინც დაიცვა საბჭოების რესპუბლიკა იმპერიალისტი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელებისაგან. ჩვენი ხალხი არ დაივიწყებს საზღვარგარეთელ მებრძოლ-ინტერნაციონალისტებს, რომლებიც შეძახილით „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან“ იარაღით ხელში აღდგნენ ოქტომბრის მონაპოვრების დასაცავად.

არ შენელდება ჩვენი აღტაცება პირველი ხუთწლედების ენთუზიასტთა მძლავრი ინდუსტრიის შემქმნელთა, კოლექტიური სოფლის მეურნეობის მშენებელთა, სოციალისტური კულტურის შემქმნელთა წარმატებებით.

უკვდავია საბჭოთა ადამიანის, ჯარისკაცისა და მშრომელის გმირობა დიდ სამამულო ომში. თაყვანს ვცემთ იმათ ხსოვნას, ვინც სიცოცხლე შეწირა სოციალისტური სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას, ფაშისტური ბირიისაგან მსოფლიოს გადარჩენას. პატივისცემითა და მადლიერებით გვახსოვს ამ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩვენი მოკავშირე და თანამებრძოლი სხვა ქვეყნების მეომრები, პატრიოტები, ანტიფაშისტები.

სამშობლო მუდამ იამაყებს საბჭოთა ადამიანების შრომითი სიმამაცით, ხულის სიძლიერით, ადამიანებისა, რომლებმაც უმძიმესი ომის შემდეგ ნანგრევებიდან აღადგინეს ქალაქები და სოფლები, ააღორძინეს ქვეყანა, უფრო ძლიერი გახადეს იგი.

ამხანაგებო!

წილად გვხვდა ყველა ის სიძნელე და განსაცდელი, რომლებიც პირველმკვალავებს ელით ისტორიის გზებზე. მაგრამ მათ ვერ შეგვაჩერეს. ჩვენ ვსწავლობდით მათ დაძლევას და ვძლევდით კიდეც.

სოციალიზმის მშენებლობა იწყებოდა ვითარებაში, როცა მეურნეობა ქაოსს მოეცვა და ქვეყანა ომით იყო გაჩანაგებული. თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე სსრ კავშირი მარტო ედგა პირისპირ მსოფლიო კაპიტალიზმს, განუწყვეტლივ განიცდიდა იმპერიალისტურ ზემოქმედებასა და შანტაჟს. ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ ომში ქვეყანამ 20 მილიონი შვილი, ეროვნული დოვლათის მესამედი დაკარგა. მრავალ წელს მოგვიხდა მუშაობა ძალების უდიდესი დაძაბვით, ცხოვრება ისე, რომ მოკლებული ვიყავით ყველაზე აუცილებელს. მაგრამ გავუძელით, ვერ მოგვდრიკეს და ვერ გაგვტეხეს.

მაგრამ სხვა რამეც იყო. ძვირად დაგვიჯდა ჩვენი საზოგადობის მშენებლობის ლენინური პრინციპებიდან და მეთოდებიდან გადახვევა, სოციალისტური კანონიერების, პარტიასა და საზოგადოებაში ცხოვრების დემოკრატიული ნორმების დარღვევა, ვოლუნტარისტული შეცდომები, დოგმატიზმი აზროვნებაში, ინერცია პრაქტიკულ მოქმედებაში.

70-იანი და 80-იანი წლების მიჯნაზე ჩვენს საზოგადოებაში გაჩნდა უძრაობის ტენდენციები, დაგროვდა სიძნელეები, გადასაჭრელი პრობლემები, სოციალიზმისათვის უცხო მოვლენები. ამას გრძნობდნენ, ამას განიცდიდნენ პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი. ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია, რომ რევოლუციური სიმტკიცით შემოებრუნებინა ჩვენი საქმეები, მთელი ჩვენი ცხოვრება უკეთესობისაკენ.

აპრილის პლენუმის მიერ დასახული კურსი მშრომელებმა ღვიძლ საქმედ აღიქვეს, მკაცრი თვითკრიტიკულობა, პოლიტიკაში გულწრფელობა, შექმნილი სიტუაციის გამოსწორებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების, მათი განხორციელების დაუყოვნებლივ დაწყების უნარი, რაც ახლა პარტიაში აღორძინდა, — ყოველივე ამან ხალხის ფართო მხარდაჭერა პოვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ ღრმად, ლენინურად გაიაზრა ახლანდელი დრო, თავის გადაწყვეტილებებში გააერთიანა მიზნების სიდიადე და შესაძლებლობათა რეალიზმი, ყრილობა გახდა სიმართლის გაკვეთილი, რომელსაც წარუვალი პოლიტიკური და ზნეობრივი ღირებულება აქვს.

უკომპრომისო, გულახდილი შეფასება ყოველივე იმისა, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში, პრინციპული ლენინური პოზიცია, პარტიის ძალის მაჩვენებელია.

თავის დროზე ლენინი ამბობდა: როცა ჩვენს წინაშე „...დგებოდა პრაქტიკულად ახალი ამოცანები, ამ ამოცანების გადასაჭრელად თითქოს მიწიდან ამოდიოდნენ ახალი ძალები, რომელთა არსებობა ჯერ კიდევ გარდატეხის წინა დღეს არავის აზრად არ მოსდიოდა“. ასეა დღესაც: პარტიასა და ხალხში აღმოცენდებიან, გარდაქმნის რევოლუციურ საქმეში ებმებიან ახალი ძალები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ არსად ჩანდნენ.

ქვეყანა ამოძრავდა, ახალი ძალები შეიძინა. იწმინდება ზნეობრივი ატმოსფერო საზოგადოებაში. უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი ხდება სულიერი ცხოვრება. ყოველდღიურობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუყოფელ ნიშნებად მკვიდრდება საჯაროობა და ალალმართლობა, კრიტიკა და მომთხოვნელობა.

თანმიმდევრულად ხორციელდება სახალხო მეურნეობის ღრმა რეკონსტრუქციის სტრატეგია და ტაქტიკა. გარდაიქმნება ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების მართვა. მოქმედებას იწყებს ახალი სამეურნეო მექანიზმის ბერკეტები. მატულობს იმ შრომითი კოლექტივების რიცხვი, რომლებიც გულდაჯერებით წარმართავენ მუშაობას ეფექტიანობისა და რენტაბელობის გაზრდისათვის. ტექნიკურად ახლდება წარმოება. ხორციელდება პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი. ხუთწლედის პირველ წელს სახალხო მეურნეობამ ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით გადააჭარბა საგეგმო მიჯნებს.

მაგრამ მიღწეულს არ უნდა დავჯერდეთ. გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები, ძირითადი მუშაობა წინ გველის.

არის თუ არა იმის გარანტია, რომ საქმე წინ წავა, რომ გარდაქმნის პროცესი არ გაჩერდება, რომ ძველი შეცდომები არ განმეორდება?

დიახ, არის. გარდაქმნით დაინტერესებულია ხალხი, ღრმად არის დაინტერესებული მუშათა კლასი — საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალა. გარდაქმნას ხელმძღვანელობს პარტია, რომელიც საქმით ამტკიცებს თავის უნარს რევოლუციური შეუპოვრობით იბრძოლოს ახალი ამოცანების გადასაწყვეტად, მზად არის საკუთარი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განახლებისათვის და იცის ამის გაკეთება.

განცდილის გამოცდილებით ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის პასუხისმგებლობის შეგნებით შეკავშირებული პარტიისა და ხალხის ერთიანი მისწრაფება, საერთო მოქმედება — აი გარანტია, რომ XXVII ყრილობის კურსი განუხრელად განხორციელდება. სოციალისტური წყობილების დემოკრატიზმის ყოველმხრივი განვითარება — აი გარანტია, რომ გადაწყდება სტრატეგიული ამოცანა — საზოგადოება მიაღწევს თვისებრივად ახალ მდგომარეობას.

მეტი დემოკრატია მეტ სოციალიზმს ნიშნავს.

უნდა გაკეთდეს და გაკეთდება კიდეც ყველაფერი იმისათვის, რომ მშრომელებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პრაქტიკულად მოახდინონ გადამწყვეტი ზემოქმედება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ფორმირებაზეც და საქმიანობაზეც; შრომითი კოლექტივების მუშაობასა და ცხოვრებაზე სრული საჯაროობის ვითარებაში, თანამდებობის პირთა მიმართ კონტროლის, მათი ანგარიშგებისა და არჩევითობის პირობებში. შეუძლებელია წარმატებული წინსვლა თუ არ უკუვაგდებთ ადმინისტრირებასა და მბრძანებლობას, უსარგებლო რეგლამენტაციასა და აკრძალვებს, თუ არ მოვშლით ადამიანების გონებისა და გამოცდილების, საქმისადმი მათი ყაირათიანი, სახელმწიფო მიდგომის მიმართ ჩინოვნიკური უნდობლობის კედელს.

სოციალისტური დამოკრატია ხალხის განში და სიღრმეში მზარდი თვითმმართველობა, გონებისა და ნიჭის თავისუფალი შეჯიბრებაა. ჭეშმარიტი დემოკრატია თავისი არსით აღმშენებლობითია. იგი უპასუხისმგებლობის, დემაგოგიისა და განუკითხაობის შეურიგებელი მტერია.

პარტია თანამიმდევრულად ანხორციელებს პრინციპს: კონტროლის, კრიტიკის გარეშე არც ერთი ორგანიზაცია, არცერთი მუშაკი არ უნდა იყოს. ხელმძღვანელთა პოსტებზე სულ უფრო მეტად წინაურდებიან ადამიანები, რომლებიც თანამედროვედ აზროვნებენ, მზად არიან პასუხი აგონ თავისი მოქმედებისათვის ხალხის წინაშე.

როცა ვაფართოებთ დემოკრატიას, განვამტკიცებთ სოციალისტურ კანონიერებას, ვაძლიერებთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობას, ვამაღლებთ პიროვნების ღირსებას, ყოველმხრივ ვიცავთ მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების უფლებებს, ჩვენ ფართო ასპარეზს ვაძლევთ სოციალიზმის ყველაზე დიდ აღმშენებლობით ძალას — თავისუფალი ადამიანის თავისუფალ შრომას თავისუფალ ქვეყანაში.

ამხანაგებო!

ცენტრალური კომიტეტი ყველა საბჭოთა ადამიანს მოუწოდებს განიმსჭვალოს ქვეყნის მომავალი სახისათვის, სოციალიზმის გედისათვის პასუხისმგებლობის შეგნებით და გრძნობით. შთამბეჭდავია ოქტომბრის შემდეგ, სოციალისტური მშენებლობის ათწლეულებში მიღწეულის ხუთათი. მაგრამ დრო ახალ ბრძოლაში გვიწვევს. შეცვლილ პირობებში, როგორც ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, კვლავ მოწმდება ჩვენი საზოგადოების დინამიზმი, მისი უნარი სწრაფად იაროს აღმა პროგრესის საფეხურებით.

ჩვენი ეკონომიკა გადის ეფექტიანობის მოწინავე ტექნოლოგიების დაუფლების, უმაღლესი კლასის პროდუქციის გამოშვების, მსოფლიო ბაზრებზე ყოველგვარი კონკურენციის დაძლევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდას. ჩვენი მორალი, მთელი ჩვენი ცხოვრების წესი გადის სოციალისტური დემოკრატიის სოციალური სამართლიანობისა და ჰუმანიზმის ღირებულებათა განუხრელი განვითარებისა და გამდიდრების უნარის გამოცდას. ჩვენი საგარეო პოლიტიკა — მშვიდობის დაცვაში სიმტკიცისა და თანამიმდევრულობის, მოქნილობისა და გამძლეობის გამოცდას იმ პირობებში, როცა იმპერიალიზმი აჩაღებს გამალებულ შეიარაღებას, ამძაფრებს საერთაშორისო დაძაბულობას.

საბჭოთა ხალხს, ოქტომბრის სამშობლოს მთელი მსოფლიო შემოსცქერის: გავუძლებთ თუ არა, ღირსეულ პასუხს გავცემთ თუ არა გამოწვევას სოციალიზმისადმი.

ცენტრალური კომიტეტი მიმართავს მშრომელთა შრომითს ღირსებას, პროფესიულ სიამაყეს, საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმს. დღეს ჩვენ ვმუშაობთ მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა სარეალიზაციოდ — ხუთწლედისა, რომელიც საკვანძოა დაჩქარების პროგრამაში. მოკლე დროში უნდა უზრუნველყოთ თვისებრივი ძვრა ეკონომიკაში, შევქმნათ მტკიცე მარაგნაკეთი პერსპექტივისათვის. ეს ამოცანა ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი შეჯიბრების ცენტრშია. მისი წარმატებული გადაწყვეტა დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოების თითოეული მონაწილის პირად დამოკიდებულებაზე საქმისადმი, იმაზე, თუ რამდენად მომთხოვნელად გაისმება კოლექტივებში შრომითი სინდისის ხმა.

დიდი და პასუხსაგებია აქ პროფკავშირების როლი. გარდაქმნა მათ მოუწოდებს გახდნენ მშრომელთა დაუცხრომელი ორგანიზატორები წარმოების თანამედროვე კულტურისათვის, დიდი პროფესიონალიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენი მიწა-წყალი ოდითგანვე განთქმულია ოსტატებით, იმ ნამდვილი ოსტატებით, რომლებიც სამუშაოს ისე ასრულებდნენ, რომ საქვეყნოდ იხვეჭდნენ სახელს. საბჭოეთის ისტორიაში ბევრია ისეთი მაგალითი, როცა მუშები, მეცნიერები, ინჟინრები და კონსტრუქტორები აღწევდნენ შედეგებს, რომლებიც უსწრებდა მსოფლიო მიღწევებს. ჩვენ დღეს კიდევ უფრო შეგვწევს ამის უნარი.

ცენტრალური კომიტეტი მიმართავს საბჭოთა ადამიანების გონებასა და გამოცდილებას. ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის მზამზარეული რეცეპტები არ არსებობს. დაე, გარდაქმნა საყოველთაო — სახალხო შემოქმედებითი ლაბორატორია გახდეს. ყურადღებით და კრიტიკულად გავიაზროთ განახლების პრაქტიკა, მოვუფრთხილდეთ ყოველ მისხალ მოწინავე გამოცდილებას, ავიტაცოთ და განვავითაროთ იგი. ცოცხალი, ლაღი აზრი დაჩქარების უთუო პირობაა.

პარტია დღენიადაგ სწავლობს ხალხისაგან. იგი ითვისებს მის კოლექტიურ აზროვნებას. მასების გამოცდილებით ამოწმებს თავის პოლიტიკას და საკუთარ მოვალეობად თვლის იმის სწორად გამოხატვას, რასაც ხალხი იცნობიერებს.

ცენტრალური კომიტეტი მიმართავს საბჭოთა ხალხის ვაჟკაცობას. გახევებული ფორმების, მეთოდების, ჩვეულებების მსხვრევა არც ისე ადვილია, გარდაქმნისათვის უნდა ვიბრძოლოთ, გარდაქმნა უნდა დავიცვათ. აქ საჭიროა შეუპოვრობა, სიმტკიცე, პრინციპულობა. საჭიროა ნებისყოფაც და თავდადებაც.

არაერთხელ დადებულა სასწორზე საბჭოთა ხალხის ვაჟკაცობა, გამძლეობა და სიმედგრე და არაერთხელ მოუტანია ყოველივე ამას გამარჯვება. პარტია დარწმუნებულია, რომ ახლაც, ასე იქნება.

ცენტრალური კომიტეტი მიმართავს საბჭოთა ადამიანების მოქალაქეობრივ ბრძნობებს. ქვეყანას მომკითხველი და საინტერესო დრო დაუდგა, როცა მისი თითოეული მოქალაქე ახდენს თავის ზნეობრივ არჩევანს. გულგრილი ხელით, ცივი გულით დაწყებულ საქმეს ვერ შევასრულებთ. იგი მთელი თავისი არსით უარყოფს შემგუებელთა, გარეშე მეთვალყურეთა, ხულიერად მწირ მომხმარებელთა მეშჩანურ მორალს. გადაქმნას სჭირდება საქმის გულშემატკივარი, მომკითხველი, უყაირათობისა და საქმის გაჭიანურებისადმი შეურიგებელი ადამიანები. მას სჭირდება კომუნისტური იდეალების უსაზღვროდ ერთგული პოლიტიკური მებრძოლები, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან და ამრავლონ ჩვენი დიადი სოციალური, მორალური და კულტურული ღირებულებანი.

პარტია და ხალხი დიდ იმედებს ამყარებენ ახალგაზრდობაზე და მის ენერგიაზე, გარდაქმნის წყურვილზე, ნაკლოვანებებისადმი მწვავე რეაქციაზე. ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა უფრო სრულად გამოიჩინონ თავი დამოუკიდებელ მუშაობაში. დრო ფართო ასპარეზს უსახავს საქმიანობისათვის კომკავშირს — მებრძოლ, სერიოზული საქმეების მაძიებელ, კანცელარიულობისა და ზედმეტი ორგანიზებულობისაგან თავისუფალ, ახალგაზრდობის ნამდვილ წინამძღოლს.

ცენტრალური კომიტეტი მიმართავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფევრალებს. დაადასტურეთ, ამხანაგო კომუნისტებო, ცხოვრების ყოველი განვლილი დღით, რომ შეგნებული გაქვთ და იზიარებთ უდიდეს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, რომელიც ამ გარდამტეხ დროში ეკისრება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, როგორც ქვეყნის მმართველ პარტიას. გახსოვდეთ, რომ თქვენი მოქმედების, თქვენი ქცევის მიხედვით მსჯელობს ხალხი პარტიის შესახებ. თავდადებული მუშაობა, გაბედულება, ნოვატორობა უწინარეს ყოვლისა თქვენ გმართებთ. კომუნისტის ვალია მუდამ და ყველაფერში იქცეოდეს პარტიული სინდისით — და არა სხვაგვარად. თქვენ პირად ინიციატივაზე ბევრად არის დამოკიდებული თუ როგორ წარიმართება საზოგადოებრივი განახლების პროცესი.

ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა საბჭოთა ადამიანს სრულად შეიგნოს, რომ ჩვენი უოველდღიური გარჯა, ყოველი ნაბიჯი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გაზაზე სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მსოფლიო პოლიტიკაში.

ოქტომბრის სამოცდაათი წლისთავი დგება ვითარებაში, როცა თვით ადამიანის მოდგმა გადარჩენის პრობლემის წინაშე დადგა. დღეს განისაზღვრება მსოფლიოს — წინააღმდეგობებით აღსავსე, მაგრამ ერთიანი და ურთიერთდაკავშირებული მსოფლიოს მომავალი. პლანეტას შეიძლება და კიდევაც უნდა ავაცილოთ თავიდან ბირთვული ომის საფრთხე. უშიშროების, დამოუკიდებლობისა და პროგრესის პირობებში ცხოვრება შეიძლება იყოს და კიდევაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა ხალხისათვის. აქ ყველაფერი როდია დამოკიდებული ჩვენზე — სსრ კავშირზე, სოციალიზმზე. მაგრამ რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ყველაფერს ვიღონებთ, თანაც სრულად.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს კურსი მსოფლიო პოლიტიკაში თანამიმდევრულად მშვიდობისმოყვარულია. საერთაშორისო პრობლემებს რეალისტურად, მოქნილად ვუდგებით, ახალი პოლიტიკური აზროვნებით ვხელმძღვანელობთ. განუხრელად წარვმართავთ საქმეს ისე, რომ მესამე ათასწლეულის ზღურბლზე სახელმწიფოებმა მოიშორონ ბირთვული საგურველი, რომ არ დაუშვან იარაღი კოსმოსში, შეამცირონ და, ბოლოს და ბოლოს, მოსპონ იგი დედამიწაზე.

მაგრამ სანამ საერთაშორისო რეაქცია აძლიერებს გამალებულ შეიარაღებას, სანამ მას ხელი არ აუღია სოციალური რევანშისა და სოციალიზმის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ პოლიტიკაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს იხმარენ, რათა სათანადო დონეზე იქონიონ ჩვენი ქვეყნის, სოციალისტური თანამეგობრობის თავდაცვითი ძლიერება. საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ: იმპერიალიზმის სამხედრო უპირატესობას არ დავუშვებთ არასოდეს, არავითარ გარემოებაში.

მშვიდობისათვის ბრძოლას ვახმართ ჩვენი ქვეყნის მთელ პოლიტიკურ ავტორიტეტს, მთელ საერთაშორისო გავლენას. და იგი მით უფრო ქმედითი იქნება, რაც უფრო კარგად წავა საქმე ჩვენს სახლში, რაც უფრო ღრმა იქნება ჩვენი თანამშრომლობა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან. სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია, რაც უფრო ძლიერია სოციალიზმი მით უფრო მტკიცეა მშვიდობა.

ძვირფასო ამხანაგებო!

მთელი ჩვენი საზოგადოება ბარიკადების ერთ მხარეზეა, პარტიისა და ხალხის მიზანი ერთი მიზანია. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ძირეული ინტერესები ერთი ინტერესებია. უფროსი თაობების, სოციალისტური მშენებლობის ვეტერანებისა და მათი ახალგაზრდა ცვლის საქმე ერთი საქმეა. ყოველი ერისა და ეროვნების, თითოეული რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა კავშირის ბედი ერთი ბედია.

ოქტომბრის იდეალები მოგვიწოდებენ ვიშრომოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, სამშობლოს აყვავებისათვის, სოციალიზმის და მშვიდობისათვის. მაშ, მოდით, გავაერთიანოთ ჩვენი გონება, ჩვენი ნება, ჩვენი ენერგია. ეს უძლეველი ძალა მოვახმაროთ ჩვენს წინაშე წამოჭრილი ახალი ამოცანების გადაწყვეტას. შევასრულოთ ყოველივე დახახული. ღირსეულად განვაგრძოთ ოქტომბრის რევოლუციური საქმე!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების შესახებ“

1987 წლის 7 ნოემბერს სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი.

შვიდი ათწლეულის წინათ, აღნიშნულია დადგენილებაში, მოხდა სამამულო და მსოფლიო ისტორიის გარდამტები მოვლენა. რუსეთის მუშათა კლასმა, მშრომელებმა, რომლებსაც ვ. ი. ლენინის მეთაურობით ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა, უდიდესი რევოლუცია მოახდინეს. რევოლუციამ, რომელიც სოციალიზმისაკენ კაცობრიობის შემობრუნებას ნიშნავდა, ყველას აუწყა მსოფლიოს პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დაბადება, დასაბამი მისცა პრინციპულად ახალ, სამართლიან საზოგადოებრივ წყობილებას.

ოქტომბრის 70 წლისთავი საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაული, სოციალისტური ქვეყნების ხალხების, პლანეტის ყველა პროგრესული ადამიანის დღესასწაულია. ეს ჩვენი ძალების, სოციალიზმის მიღწევების საბრძოლო დათვალიერებაა. ამავე დროს ეს არის მიჯნაც, რომლის სიმაღლიდანაც უნდა გავიაზროთ განვლილი გზის შედეგები და გაკვეთილები, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები, საბჭოთა საზოგადოების წინაშე მისი განვითარების ახლანდელ, უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე მდგომი ახალი ამოცანები.

მომავალ იუბილეს, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა აღნიშნა, საბჭოთა ადამიანები ხვდებიან საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ღრმა გარდაქმნის ვითარებაში. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო საშუალებაა გავააქტიუროთ მთელი ჩვენი გარდამქმნელი მუშაობა, მივაღწიოთ ახალ საგრძნობ წარმატებებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამით კიდევ ერთი მძლავრი იმპულსი მიეცემა 1917 წლის ოქტომბერში დაწყებულ საქმეს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ფართოდ აღინიშნოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი, ხაზი გაუსვა, რომ იუბილესათვის მზადება უნდა გამოვიყენოთ როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების, სსრ კავშირის ყველა მშრომელის შრომითი, პოლიტიკური და სულიერი აქტიურობის შემდგომი აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შემოქმედებითს კავშირებს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტორგანოებს დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ მომავალ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებანი.

მოწონებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა. მიზანშეწონილადაა მიჩნეული განიხილონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ კრებებზე, შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებსა და ჯარის ნაწილებში.

იუბილესათვის მზადების დროს რეკომენდებულია მშრომელების, ყველა საბჭოთა ადამიანის მეცადინეობა მოხმარდეს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების, მეთორმეტე ხუთწლედის დავალებებისა და, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის პრაქტიკულ რეალიზაციას.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უნდა გავშალოთ მახობრივი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის ღირსეული შეხვედრისათვის. 1987 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ როგორ შესრულდა ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. ამასთან პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა ორგანოებმა მთელი სიმკაცრით უნდა გაილაშქრონ „პატაკმანიის“, საქმის ნამდვილი ვითარების შელამაზების წინააღმდეგ.

ყოველ შრომითს კოლექტივში უნდა განვიხილოთ ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად გაშლილი შეჯიბრების შედეგები, განვსაზღვროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის, რესურსების დაზოგვისათვის, ხელშეკრულებების მიხედვით მიწოდების ზუსტი შესრულებისათვის ბრძოლაში შრომითი მეტოქეობის როლის გაძლიერების დამატებითი ღონისძიებანი.

იმ შრომითი კოლექტივებისა და წარმოების მოწინავეების წასახალისებლად, რომლებიც ოქტომბრის იუბილესათვის შეასრულებენ ხუთწლედის ორი წლის საგეგმო დავალებებს, მიაღწევენ მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, უზრუნველყოფენ პროდუქციის უმაღლეს ხარისხს, დაწესებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საიუბილეო საპატიო სიგელი.

მიღებულია საკავშირო პროფსაბჭოს წინადადება იმის თაობაზე, რომ მოსკოვში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის დღესასწაულზე მოიწვიონ 1000-მდე სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე, მეთორმეტე ხუთწლედის დამკვრელი, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს საიუბილეო წელს, აგრეთვე მოძმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა — თავიანთ ქვეყნებში და სსრ კავშირის ინტეგრაციულ ობიექტებზე ინტერნაციონალური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა ჯგუფები.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით დაევალა 1987 წლის ივლისში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გახსნას გამოფენა „70 წელი დიდი ოქტომბრის დროშით“, აგრეთვე მოამზადოს მუდმივმოქმედი ექსპოზიცია „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება“. მოაწყოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე იუბილესადმი მიძღვნილი მოკავშირე რესპუბლიკების დღეები.

ხაზგასმულია, რომ მშრომელთა შორის პოლიტიკური მუშაობის დროს დამაჯერებლად უნდა წარმოვაჩინოთ ოქტომბრის რევოლუციის მიღწევებისა და საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ახლანდელი, თავისი არსით რევოლუციური გარდაქმნების ორგანული კავშირი. ვაჩვენოთ, რომ დღესაც საქმე ეხება ჩვენი სამშობლოს მომავალს, მშრომელთა ძირეულ ინტერესებს, სოციალიზმის ისტორიულ ბედს. დღესაც, ისევე როგორც მაშინ, საჭიროა კომუნისტური დროშის ურყევი ერთგულება, უდრეკი ნება და შეუპოვრობა დასახული მიზნების მისაღწევად. დღესაც, ისევ როგორც მაშინ, ცვლილებების მთავარი მამოძრავებელი ძალაა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედი მშრომელი ხალხი, მისი რევოლუციური ენერგია, მასების ცოცხალი შემოქმედება.

პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა ორგანოებს წინადადება მიეცათ ფართოდ გამოიყენონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების და სახალხო მსაჯულების მომავალი არჩევნები, სხვა მასობრივი კამპანიები იმისათვის, რომ განმარტონ დიდი ოქტომბრის მონაპოვრები მშრომელთა სრულუფლებიანობის განხორციელების საქმეში, საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიული ხასიათი და ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის პრინციპები, ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ პრინციპების განხორციელებას.

საფუძვლიანად წარმოაჩინონ სოციალიზმის მიღწევები და მისი ძირეული უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით, განუმტკიცონ საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური იდეალების გამარჯვების რწმენა. აწარმოონ პროპაგანდა სიმართლისა რეალიზმის პოზიციებიდან, მიაღწიონ იმას, რომ საბჭოთა ადამიანებმა შეძლონ, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რაც შეიძლება ფხიზლად, ნათლად, თვალსაჩინოდ ჩაიბარონ საკუთარ თავს იმის ანგარიში, თუ სახელდობრ რა „გააკეთეს ბოლომდე“ და რა ვერა“. გაბედულად გამოააშკარაონ ნაკლოვანებები და დარაზმონ მშრომელები მათი აღმოფხვრისათვის საბრძოლველად, შთააგონონ ისინი შეუპოვარი მუშაობისათვის სოციალიზმის სრულსაყოფად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამული მიზნების მისაღწევად.

აღნიშნულია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუცხრომლად უნდა იზრუნონ კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერებისათვის, მიაღწიონ იმას რომ ყოველი მათგანი იძლეოდეს მაგალითს შრომაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობასა და ყოფაში, იყოს ბოლშევიკ-ლენინელთა უკვდავი გვარდიის სასახელო საქმეების ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი, რომლებიც რაზმავდნენ მასებს ძველი სამყაროს საიერიშოდ, რევოლუციური მონაპოვრების დასაცავად და ახალი საზოგადოების ასაშენებლად.

აქტიურად უნდა იყენებდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უდიდეს გამოცდილებას, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას ახალი ამოცანების გადასაწყვეტად. რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მასშტაბური და რთულია ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები, მით უფრო საჭიროა ვისწავლოთ გაკვეთილების გამოტანა წარსულიდან დღევანდელი და ხვალინდელი დღისათვის, მით უფრო აქტუალურია მუშაობა პარტიისა და ხალხის ერთიანობის განსამტკიცებლად, საბჭოთა ადამიანებისათვის სოციალისტური მიღწევების სათავეების, ოქტომბრის იდეათა ცხოველმოქმედი ძალის მკაფიო გაგების ჩამოყალიბებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების პროპაგანდის, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით დაევალა შეიმუშაონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილების კვლევის, შესწავლისა და პროპაგანდის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებები.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად წინადადება მიეცა მოაწყოს 1987 წლის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდი ოქტომბერი და თანამედროვეობა“.

პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, შრომითი და სასწავლო კოლექტივების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა მშრომელების, მეტადრე ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია კვლავაც გაძლიერდეს მეცადინეობა იმისათვის, რომ ახალ თაობებს ჩამოუყალიბდეთ დიდი ოქტომბრის საქმის ერთგულება, საბჭოთა სამშობლოს მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გამრავლების, მისი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების მისწრაფება. მოწონებულია ლენინური კომკავშირის ინიციატივით გაშლილი საბჭოთა ახალგაზრდობის პატრიოტული მოძრაობა დევიზით „რევოლუციას უსწორეთ ნაბიჯი!“ მიღებულია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ 1987 წლის ოქტომბერში ლენინგრადში მოეწყოს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო შეკრება.

პარტიულ კომიტეტებს და სახალხო დეპუტატთა საბჭოებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად რეკომენდაცია მიეცათ მოაწყონ ძველი ბოლშევიკების, ომისა და შრომის veteranების პატივგება, განახორციელონ მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების, სამედიცინო და სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებები.

ცენტრალურმა და ადგილობრივმა გაზეთებმა და ჟურნალებმა, ტელევიზიამ და რადიომ, — ნაოქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — უნდა უზრუნველყონ ისეთი მასალების სისტემატური პუბლიკაცია, რომლებიც ღრმად წარმოაჩენენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, ქვეყანაში პარტიის ხელმძღვანელობით მიმდინარე გარდაქმნების ნოვატორულ, პირველმკვლევარ ხასიათს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

სსრ კავშირის გამსახკომს დაევალა სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, აგრეთვე უცხოურ ენებზე გამოსცეს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიისა და მისი დღევანდელობისადმი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მიღწევებისადმი, რევოლუციის, ომისა და შრომის გმირებისადმი მიძღვნილი წიგნები, ბროშურები, ბუკლეტები და პლაკატები.

წინადადება მიეცათ გამოუშვან: სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს — კრებული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა 70 წლის მანძილზე“, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახბანკს — 1,8 და 5 მანეთი ღირებულების საიუბილეო სამახსოვრო მონეტები, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს — ოქტომბრის იუბილეადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების, კონვერტებისა და ღია ბარათების სერია.

აღინიშნა, რომ საჭიროა ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების დროს მოლიანად გამოვიყენოთ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურულ-მასობრივი მუშაობის აღმზრდელობითი შესაძლებლობანი. სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის გამსახკომმა, სსრ კავშირის სახკინომ, სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა, ქვეყნის შემოქმედებითმა კავშირებმა უნდა გაითვალისწინონ საბჭოთა ლიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურის საუკეთესო ნაწარმოებების გამოცემა, ახალი სპექტაკლების, ფილმებისა და საკონცერტო პროგრამების შექმნა, კინო და ტელეფილმების რეტროსპექტიული ჩვენება, გამოფენის **მოწყობა,** დიდი ოქტომბრისადმი, საბჭოთა ხალხის გმირობისადმი მიძღვნილი სპორტული ზეიმების **გამართვა.**

საჭიროდ არის მიჩნეული გააქტიურდეს მუშაობა ეროვნული კულტურების კავშირისა და ურთიერთმოქმედების შემდგომი განმტკიცებისათვის. მოწონებულია შემოქმედებითი ორგანიზაციების ინიციატივა სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები მოაწყონ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში. 1987 წლის ოქტომბერში მოსკოვში გაიმართება საკავშირო სამხატვრო გამოფენა „დიდი ოქტომბრის 70 წელი". ამ ღონისძიებათა კოორდინაცია დაევალა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალის ფარგლებში გათვალისწინებულია 1987 წლის მაის-ნოემბერში მოეწყოს თვითმოქმედ მხატვართა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნაწარმოებების გამოფენები, საგუნდო, თეატრალური, ქორეოგრაფიული შემოქმედების დღეები, ფოლკლორისა და სასულე მუსიკის დღესასწაულები საფესტივალო დათვალიერება-კონკურსები გამარჯვებული თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით.

პარიტულ ორგანიზაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დაევალათ თანამიმდევრულად გააშუქონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მრავალმხრივი და კონსტრუქციული საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ბირთვული საფრთხის ლიკვიდაციასა და საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფას, დაფუძნებულია თანამედროვე რეალობათა ღრმა შეგნებაზე, აქტიურად ამკვიდრებს ახალ პოლიტიკურ აზროვნებას. დამაჯერებლად გააშუქონ ჩვენი პოზიცია საერთაშორისო საქმეებში — მკაფიო, პატიოსანი, სამართლიანი პოზიცია, რომელიც ითვალისწინებს ყველა ხალხის კანონიერ ინტერესებს. პლანეტის ადამიანებს გააცნონ სიმართლე ახალი წყობილების, სოციალიზმის, როგორც კაპიტალიზმის ალტერნატივის, შესახებ.

ფართოდ უნდა გავაშუქოთ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მიღწევები, მათი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები, კომუნისტური და მუშათა პარტიების საქმიანობა, ხალხებისა და ქვეყნების ანტიიმპერიალისტური ბრძოლა. ვაჩვენოთ, რომ დღეს მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ბედი განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დინამიზმთან.

საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ ინტეგრაციულ მშენებლობებსა და თანამშრომლობის სხვა ობიექტებზე მოაწყონ შრომის, მშვიდობისა და მეგობრობის ესტაფეტები დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად. განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა შრომითს კოლექტივებსა და სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა კოლექტივებს შორის, მოაწყონ ინტერნაციონალური შრომითი ვახტები და ცვლები, პროფესიული ოსტატობის კონკურსები, მეგობრობის ფესტივალები და საღამოები, გამოფენები, ერთობლივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავად.

გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საზღვარგარეთის აუდიტორიებში ოქტომბრის იდეების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თანამედროვე პოლიტიკის ახსნა-განმარტება.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული მოსკოვში 1987 წლის ნოემბერში გაიმართოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

ქალაქებში მოსკოვსა და ლენინგრადში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებში, სამხარეო და საოლქო ცენტრებში, ქალაქებსა და რაიონებში რეკომენდებულია გაიმართოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი შესაბამისი პარტიული კომეტტებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების საზეიმო სხდომები მშრომელების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არმიისა და ფლოტის შეიმამართა წარმომადგენლების მონაწილეობით.

საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში მოეწყობა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღწეულ პოზიციებს არ დავთმობთ

მამია კომახიძე,
იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

მთელი ჩვენი ქვეყანა დღეს სკკპ XXVII ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის ისტორიული პლენუმის გადაწყვეტილებებით ცხოვრობს. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის კურსს და სწამთ, რომ არჩეული გზა სწორი და სამართლიანია.

პარტიის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის კი ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წინა ხუთწლედში გაწეული მუშაობის შედეგების მეცნიერულ შეფასებას. ამის გარეშე მართლაც შეუძლებელია ჩვენი საქმიანობის სრულყოფილად წარმოჩენა, მისი ავ-კარგის გარკვევა და დაზუსტება, თუ რას უნდა მიექცეს ყურადღება, რა გზით უნდა წარიმართოს შემდგომი მუშაობა, გარდაქმნა, რაც ასე მწვავედ დააყენა ცხოვრებამ ჩვენს წინაშე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების მუშაობაშიც ნათლად შეიმჩნევა ეს სიახლეები, რადგან იგი ტრადიციულად ყოველთვის მოწინავეთა რიგებში დგას და ყურადღების გარეშე არცერთი საკვანძო საკითხი არ რჩება. მისი წარმატებები კი განპირობებულია პროფესორ-მასწავლებელთა მაღალხარისხობრივი შემადგენლობით, ტექნიკური ბაზით და დისციპლინით.

განსაკუთრებული ყურადღება ჩვენთან თავიდანვე დისციპლინას მიექცა და პირველი ეფექტიც მალე გახდა ხელშესახები. შემდეგ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა გადახალისდა, მოვიწვიეთ მაღალი სამეცნიერო ხარისხის პრაქტიკული გამოცდილების ლექტორები და ამან შედეგიც მალე გამოიღო. უფრო ძნელი გამოდგა სასწავლო პროცესის ტექნიკური აღჭურვა და რესპუბლიკური კურსების შენობის გაფართოება, სამკითხველო დარბაზის, საერთო საცხოვრებლის, ტექნიკური საშუალებების კაბინეტის, სასაუზმის მოწყობა, მაგრამ დღეისათვის ესეც გაკეთებულია.

დღეს რესპუბლიკურ კურსებს ორი ოთახი აქვს გამოყოფილი ბიბლიოთეკისათვის, აქედან ერთში წიგნებია მოთავსებული, ხოლო მეორე ოცკაციან სამკითხველო დარბაზს დაეთმო. ჩვენი ორგტექნიკის კაბინეტი სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი სხვადასხვა ტექნიკური დანადგარებით არის აღჭურვილი, გვაქვს კარგად მოწყობილი 2 აუდიტორია, ბუფეტი, ახალი საწოლებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავეჯით გაწყობილი საერთო საცხოვრებელი 30 კაცისათვის, საშხაპე და სხვა დამხმარე სათავსოები.

კარგად იმუშავა განვლილ, მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედმა რესპუბლიკურმა კურსებმა. კადრების გადამზადების ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად ამ პერიოდში რესპუბლიკურ კურსებზე კვალიფიკაცია უნდა აემაღლებინა სახალხო სასამართლოს 142 თავმჯდომარეს და მოსამართლეს, აიმაღლა 124, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებისა და უმაღლესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილებისა და უმაღლესი სასამართლოს 22 კონსულტანტს და უფროს კონსულტანტს, აიმაღლა 13, რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების 150 აღმასრულებელს, აიმაღლა 157, სახალხო სასამართლოების კანცელარიების 210 გამგეს, მდივანს და სხდომის მდივანს, აიმაღლა 224, სახელმწიფო სანოტარო კანტორების 110 სახელმწიფო ნოტარიუსს, უფროს კონსულტანტს და კონსულტანტს, აიმაღლა 129, მმაჩის ორგანოების 100 მუშაკს, აიმაღლა 104, საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების 250 წევრს, აიმაღლა 249, 250 იურისკონსულტს, აიმაღლა 224, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების 100 მდივანს, აიმაღლა 417.

გარდა ამისა, 1981-1985 სასწავლო წლებში, რესპუბლიკურ კურსებზე გეგმის გარეშე კვალიფიკაცია აიმაღლა ქ. თბილისის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების 23 მასწავლებელმა, საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის 23 წევრმა, მოსამართლეთა თანამდებობაზე ასარჩევი რეზერვების 58 წარმომადგენელმა, სახალხო მსაჯულთა საბჭოს 94 თავმჯდომარემ და წევრმა, სულ 198 კაცმა.

ამრიგად, 1981—1985 სასწავლო წლების გეგმის შესაბამისად კვალიფიკაცია უნდა აემაღლებინა იუსტიციის ორგანოების 734 მუშაკს, აიმაღლა 751, ხოლო საერთოდ, გეგმით გათვალისწინებული 1334 კაცის ნაცვლად კვალიფიკაცია აიმაღლა 1839 კაცმა.

სადირექტივო ორგანოების დავალებით, განვლილ, 1981-1985 წლებში, ადგილზე, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, უნდა გადამზადებულიყო აგრეთვე ქ. თბილისის ყველა რაიონის სახალხო რაზმეულის 4430 წევრი, გადამზადდა 4583.

სწავლების პროცესში დაინერგა ბევრი სიახლე. თითქმის ერთიანად შეიცვალა სემინარის ჩატარების ფორმა. თუ ადრე სემინარში მხოლოდ მომხსენებელი და თანამომხსენებლები მონაწილეობდნენ, ახლა მთელი ჯგუფია ვალდებული მოემზადოს მისთვის და აქტიური მონაწილეობა მიიღოს. სხვანაირად იგი ჩათვლას ვერ მიიღებს.

1984 წლიდან (სასწავლო წელი კალენდარულია) სახალხო მოსამართლეებისა და ადვოკატთა ჯგუფის მსმენელთა მონაწილეობით სისტემატურად ეწყობა ე. წ. „საქმიანი თამაშები". სწავლების ეს ფორმა ხელს უწყობს თეორიული ცოდნის გაღრმავებას და პრაქტიკული მუშაობის სრულყოფას, ქმნის მოწინავე გამოცდილების გაზიარების რეალურ პირობებს, ავლენს ტიპურ შეცდომებს, რომლებიც ხშირად გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1983 წლიდან რესპუბლიკური კურსები აღიჭურვა საჭირო ტექნიკური საშუალებებით და დაინერგა მათი გამოყენება სასწავლო პროცესის დროს. მსმენელებს საშუალება აქვთ ნახონ კინოფილმები — „კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია", „კანონიერების სადარაჯოზე", „მართლმსაჯულება სსრ კავშირში" და სხვა.

რესპუბლიკურ კურსებს ქმედით დახმარებას უწევს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო. რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის **ა. კარანაძის** ინიციატივითა და მხარდაჭერით მოსამართლეთა ნაკადთან 40 საათიან ლექციებს კითხულობენ მისი მოადგილეები და უმაღლესი სასამართლოს წევრები. მათგან წაკითხული თემები შეეხება როგორც მატერიალურ, ისე პროცესუალურ საკითხებს. სიახლეა ისიც, რომ ყოველ ნაკადთან, როგორც წესი, პირველ ლექციებს კითხულობენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილეები: **ზ. რატიანი, ა. კვიწინია და თ. ნინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემათა საუწყებათაშორისო სამეცნიერო-მეთოდიკურ საბჭოზე 1984 წლის 16 ოქტომბერს მოისმინეს ინფორმაცია საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების მუშაობის გამოცდილების შესახებ. საბჭომ მოიწონა და განაზოგადა იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების მუშაობა.

ჩვენი კურსების არსებობის პერიოდში პირველად მოხდა, რომ იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 1984 წელს ქ. სოხუმში წარმოებისაგან მოუწყვეტლად დაკომპლექტდა რუსული ჯგუფი იმათთვის, ვინც არ იცოდა ქართული ენა. მათთვის რესპუბლიკურმა კურსებმა მოამზადა და შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ დაამტკიცა 112 საათიანი პროგრამა ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის.

აქ ლექციებს კითხულობდნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ლექტორები, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს პრაქტიკოსი მუშაკები. დამტკიცებული გეგმის შესაბამისად რესპუბლიკურმა კურსებმა ადგილზე შეამოწმა სწავლება და აღმოუჩინა მათ საჭირო პრაქტიკულ-მეთოდიკური დახმარება. ამ გზით კვალიფიკაცია აიმაღლეს და მოწმობები მიიღეს სახალხო სასამართლოს 15 თავმჯდომარემ და მოსამართლემ, სახელმწიფო სანოტარო კანტორის 10 მუშაკმა, 10 აღმასრულებელმა, კანცელარიის 8 გამგემ, სახალხო სასამართლოს სხდომის 17 მდივანმა, სულ 60 კაცმა.

განვლილ ხუთწლედში, რესპუბლიკურ კურსებზე 7-ჯერ ჩატარდა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, 6-ჯერ მოეწყო მსმენელთა შეხვედრა რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ხუთჯერ მიიღეს რესპუბლიკური კურსების მსმენელები, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მდივნები.

რესპუბლიკური კურსების დაარსების მეათე წლისთავთან დაკავშირებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

1982 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკური კურსების 4 ლექტორი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. ამ თარიღს მიეძღვნა აგრეთვე მონოგრაფია „იუსტიციის ორგანოების მუშაკთა დახელოვნების კერა“, რომელიც ქართულად და რუსულად გამოიცა.

რესპუბლიკური კურსების კედლის გაზეთმა, „მართლმსაჯულების მსახურმა“, 1982 წელს გაიმარჯვა საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის მიერ გამოცხადებულ რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა. აქ იგი მეორე ხარისხის დიპლომითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა კი ამავე წელს საპატიო სიგელით დააჯილდოვა რესპუბლიკური კურსები იმ პედაგოგთა მაღალ დონეზე გადამზადებისათვის, რომლებიც პროფტექნიკური განათლების სისტემაში ასწავლიან სამართალმცოდნეობის საფუძვლებს.

ჩვენი რესპუბლიკური კურსების მუშაობით დაინტერესდნენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო და იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი, რომლებმაც 1986 წლის თებერვალში შეამოწმეს კიდეც იგი. შემოწმების შედეგები 1986 წლის 16 აპრილს განიხილა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ (მინისტრის მოადგილე მ. პ. ვიშინსკის თავმჯდომარეობით), ხოლო 1986 წლის 21 აპრილს იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ.

1986 წლის 11 მაისს იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის დირექტორმა ლ. ს. ხალდეევმა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა:

„ა. წ. 21 აპრილს ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე, მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების კადრების ქვეგანყოფილებების ხელმძღვანელებისა და რესპუბლიკური კურსების დირექტორების მონაწილეობით განხილული იქნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური კურსების შემოწმების შედეგები.

აღინიშნა, რომ კურსების მუშაობის შედეგად დაგროვდა გარკვეული დადებითი გამოცდილება იუსტიციის და სასამართლო ორგანოების კადრების გადამზადების ორგანიზაციის საქმეში. კერძოდ:

— თანამიმდევრულად და მიზანდასახულად ხორციელდება კადრების სწავლების სრულყოფისაკენ მიმართული ღონისძიებები; საჭირო ყურადღება ეთმობა სასწავლო დოკუმენტაციის შემუშავებას, სასწავლო გეგმაში დროულად შეაქვთ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ითვალისწინებენ მსმენელების მიერ სკკპ საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალური საკითხების, ახალი კანონმდებლობისა და სხვა საკითხების შესწავლას.

მოწონებას იმსახურებს კურსებზე დამატებითი მეცადინეობების ჩატარების პრაქტიკა მსმენელთათვის საინტერესო თემებზე.

— კურსებზე წარმატებითაა გადაწყვეტილი პედაგოგთა მაღალკვალიფიციური და სტაბილური შემადგენლობის ფორმირების ამოცანები, დიდი ყურადღება ეთმობა პედაგოგებთან მუშაობის ორგანიზაციას, კონტროლს მათ მიერ ჩატარებულ მეცადინეობათა ხარისხზე. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება სხვადასხვაგვარი დადებითი მუშაობის ფორმები;

— ყურადღება ეთმობა აქტუალური მეთოდების გამოყენებას და სწავლების პრაქტიკული მიმართულების ამაღლებას, მსმენელების მიერ იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების დადებითი გამოცდილების შესწავლას;

— მაღალ დონეზე ხორციელდება კურსების საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია, რომელიც გავლენას ახდენს მსმენელებთან მუშაობაზე;

— შექმნილია კურსების სასწავლო-მატერიალური ბაზა, რომელიც სავსებით პასუხობს დღეგანდელ მოთხოვნებს. შემუშავებულია სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარების პერსპექ-

ტიული გეგმა. სწორად არის გადაწყვეტილი კურსებზე საშტატო ერთეულების და კადრების საკითხები;

— დიდი ყურადღება ეთმობა კურსების ავტორიტეტის ამაღლებას. ხშირად იბეჭდება რესპუბლიკურ პრესაში ინფორმაციები კურსების მუშაობის შესახებ, კურსების მონაწილეობაზე საუკეთესო კედლის გაზეთის რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში და სხვ.

გარკვეული დადებითი გამოცდილებაა დაგროვილი აგრეთვე კურსების მუშაობის სხვა მიმართულებებითაც.

ამ მიზნით მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კურსების შემოწმების მასალები განზოგადდეს როგორც დადებითი გამოცდილება მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებისათვის.

1986 წლის 16 აპრილს ოპერატიულ თათბირზე, რომელსაც სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მოადგილე მ. პ. ვიშინსკი ესწრებოდა და იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკურმა კურსებმა ყურადღება უნდა გაამახვილოს აგრეთვე შემდეგი საკითხების გადაჭრაზე:

1. საჭიროა კიდევ უფრო ამაღლდეს კურსების როლი იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების დადებითი მუშაობის გამოცდილების თვალსაზრისით. კერძოდ, მიზანშეწონილია იმ პრაქტიკოსი მუშაკების უფრო ფართოდ ჩაბმა მეცადინეობათა ჩასატარებლად, რომელთა დადებითი გამოცდილებაც განაზოგადა იუსტიციის სამინისტრომ. საჭიროა აგრეთვე სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 16 აპრლის დადგენილების თანახმად სახალხო სასამართლოების სხდომის მდივნებმა შეისწავლონ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების გამოცდილება, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ შეიძინა.

2. ყურადღება უნდა მიექცეს სწავლების პრაქტიკული მიმართულებების გაძლიერებას. მიზანშეწონილია იმ მასალათა ფონდის შექმნა კურსებზე (სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები, აღსრულებითი წარმოება, სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის გეგმები, პროცესუალური და სხვა დოკუმენტები), რომლებიც გამოყენებული იქნება მსმენელთა სწავლების პროცესში და ნიმუშად გამოდგება ანალოგიური დოკუმენტის შედგენის დროს.

3. კურსებზე არსებული საშუალებები გამოყენებულ უნდა იყოს პროგრამირებული სწავლების კლასის შესაქმნელად, სხვადასხვა სიტუაციებისა და ამოცანების ამოსახსნელად, რომელთა კრებულებიც ინსტიტუტის მიერ იგზავნება კურსებზე. ეს ხელს შეუწყობს უფრო ოპერატიულად და სრულად განისაზღვროს თითოეული მსმენელის ცოდნა. ყურადღება უნდა მიექცეს პედაგოგთა უფრო სერიოზულ მომზადებას მეცადინეობებისათვის, მაღალკვალიფიციურად უნდა შემუშავდეს მსმენელებთან ინდივიდუალური მუშაობის კონკრეტული ღონისძიებები, საბოლოოდ უნდა ამოიცვალოს ხარვეზები, როგორც კურსებზე სწავლების პროცესში, ასევე დამოუკიდებელი სწავლების დროს და ა. შ.

4. საჭიროა ყურადღება გამახვილდეს ქ. თბილისის საბაზო სახალხო სასამართლოებზე, სადაც მეცადინეობები უტარდებათ რესპუბლიკური კურსების მსმენელებს, უფრო აქტიურად უნდა დაინერგოს იქ სახალხო სასამართლოებისა და სხვა მუშაკთა დადებითი გამოცდილება სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვის ორგანიზაციაზე, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე, აპარატის მუშაკთა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე, აგრეთვე ორგტექნიკის საშუალებებზე.

ინსტიტუტის დირექტორი — ლ. ხ. ხალდეევი".

წერილში აღნიშნული რეკომენდაციების დროულად შესრულების უზრუნველსაყოფად 1986 წლის 16 ივნისს საკითხი განიხილა რესპუბლიკური კურსების მეთოდიკურმა საბჭომ, ხოლო 19 ივლისს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ. კოლეგიამ მიიღო შესაბამისი დადგენილებაც.

რესპუბლიკური კურსების ასეთი დიდი წარმატება განაპირობა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის საქმიანმა დახმარებამ, რესპუბლიკური კურსების მეთოდიკური საბჭოს წევრების, რესპუბლიკურ კურსებზე მოწვეული ლექტორების მონდომებამ და პასუხისმგებლობამ. რესპუბლიკურ კურსებზე

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის არაფერს იშურებენ პროფესორები **ალ. ბენდიანიშვილი, გრ. ერემოვი, თ. ლილუაშვილი, ა. ფალიაშვილი, ი. სიხარულიძე, გ. ნადარეიშვილი, შ. ჩიკვაშვილი, ზ. ჭუმბურიძე,** დოცენტები **გ. გურგენიძე, შ. ფაფიაშვილი, რ. ჭოლოშვილი,** იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატები **ო. გამყრელიძე, ბ. ზოიძე, გ. დევდარიანი,** პრაქტიკოსი მუშაკები **თ. ბაქრაძე, ლ. გარსევანიშვილი, გ. იოსავა, ზ. ისაკაძე, ვ. კოღუაშვილი, ნ. მელია, რ. მაზანაშვილი, მ. ნიკოლაიშვილი, გ. როინიშვილი, თ. საბიაშვილი, გ. სიხარულიძე, ს. სიხარულიძე, ი. ღლონტი, გ. შონია, გ. ცირამუა, ი. ცნობილაძე, ნ. წიქორიძე, ც. ხარებოვა, ა. ხონიაკინა, ე. ხომასურიძე, ლ. ზაიჩიკი, ო. ჯიბლაძე** და **სხვები.**

რესპუბლიკური კურსების მეთოდიკური საბჭოს წევრების, რესპუბლიკურ კურსებზე მოწვეული ლექტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ განვლილ პერიოდში აღინიშნა 227 ლექტორის კარგი მუშაობა, მათ შორის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა 93 ლექტორს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა 50 ლექტორი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით მადლობა გამოეცხადა და ფულადი პრემია მიეცა 80 ლექტორს, 4 კაცი კი როგორც ზემოთაც ვთქვით, დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები დიდი ხანია შეუდგა მეთორმეტე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. პირველი წარმატებები უკვე გვაქვს და სწორედ ამას მოწმობს 1986-1987 სასწავლო წლის მონაცემებიც. გეგმით გათვალისწინებული 1399-ის ნაცვლად, გასულ წელს კვალიფიკაცია აიმაღლა 1453 კაცმა. მაგრამ მიღწეული ზღვარი არასოდეს ყოფილა.

ჩვენი შრომისმოყვარე კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა გაამართლოს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებული მაღალი ნდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის საერთაშორისო მნიშვნელობა

ელდარ ახვლედიანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა სოციალისტური საერთო-სახალხო დემოკრატიის შემდგომი განვითარების საკითხებს. „საზოგადოების განვითარების დაჩქარება წარმოუდგენელი და შეუძლებელია, თუ კიდევ უფრო არ განვავითარეთ სოციალისტური დემოკრატია, მისი ყველა მხარე და გამოვლინება"—ხაზგასმით ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, რომელიც გააკეთა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა[1].

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში ხაზგასმულია, რომ „თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების სტრატეგიული გზია საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფა, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის სულ უფრო სრულად განხორციელება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში მშრომელების, მათი კოლექტივებისა და ორგანიზაციების აქტიური და ქმედითი მონაწილეობის საფუძველზე"[2].

პარტიის XXVII ყრილობამ მიუთითა საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის კონკრეტულ გზებსა და საშუალებებზე. ასეთებად მიჩნეულია საბჭოების შემდგომი დამოუკიდებლობისა და აქტიურობის გაძლიერების კურსი, პროფკავშირის, კომკავშირის, შრომითი კოლექტივების, სახალხო კონტროლის ორგანოების გააქტიურების ღონისძიებები, საჯაროობის შემდგომი გაფართოება და სხვ.

საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავებისა და ხალხის თვითმმართველობის განმტკიცების საკითხი ღრმად და მრავალმხრივ განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა, რომელმაც დასახა კონკრეტული მიმართულებები და ღონისძიებები სოციალისტური დემოკრატიის ქმედითობის გასაძლიერებლად, მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად. „დემოკრატიზმი მარტოოდენ ლოზუნგი კი არა,

---

1 „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები", თბ., 1986, გვ. 83.

2 იქვე, გვ. 245.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნის არსია". — განაცხადა პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა[3].

პლენუმის მასალებმა შეაიარაღა მთელი საბჭოთა ხალხი დემოკრატიზმის შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოების პროგრამით.

მნიშვნელოვანი პროგრამული მოთხოვნაა ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის თანმიმდევრული და განუხრელი განვითარება. ამასთან საგანგებოდ არის ხაზგასმული ხალხის თვითმმართველობისა და სოციალისტური სახელმწიფოს ერთიანობა, მათი ურთიერთშერწყმა. „თვითმმართველობის საწყისები ვითარდება არა ჩვენი სახელმწიფოებრიობის გარეთ, — ვკითხულობთ პოლიტიკურ მოხსენებაში, — არამედ მის შიგნით, სულ უფრო ღრმად აღწევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფორმას, ამდიდრებს დემოკრატიული ცენტრალიზმის შინაარსს, განამტკიცებს მის სოციალისტურ ბუნებას"[4].

საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი პარტიის ამოცანების დახასიათებისას სკკპ პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობას სოციალისტურ ქვეყნებთან, ურთიერთობის განმტკიცებას განვითარებად სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით მათთან, რომლებიც სოციალისტური ორიენტაციის გზას ადგანან, ურთერთობას და მშვიდობიან თანაარსებობას კაპიტალისტურ სამყაროსთან.

ამ ურთიერთობათა მრავალფეროვან გამაში თავისი წვლილი და ადგილი აქვს საბჭოთა სოციალისტურ დემოკრატიას. მან დიდი ხანია მოიპოვა საყოველთაო პოპულარობა და აღიარება, სულ უფრო მეტად გახდა ცხადი მისი საერთაშორისო მნიშვნელობა. საბჭოთა სოციალისტურმა დემოკრატიამ თვალნათლივ დაანახა მსოფლიოს მშრომელ მასებს თუ რა ცხოველმყოფელი ძალა აქვს მათ მონაწილეობას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უშუალოდ თუ წარმომადგენლობითი ორგანიზაციების სახით.

საბჭოთა სოციალისტურმა დემოკრატიამ განსაკუთრებით დიდი აღიარება და გავლენა მოიპოვა დიდი სამამულო ომის შემდეგ, როცა განადგურებული იქნა ფაშიზმი და ევროპის და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში განხორციელდა სახალხო დემოკრატიული რევოლუცია, შეიქმნა დემოკრატიული წყობილების მქონე სახელმწიფოები და დაიწყეს სოციალიზმის მშენებლობა. ამ ქვეყნებისათვის სწორედ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია იყო შთამაგონებელი მაგალითი, ეტალონი ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ასეთივე მაგალითისა და შთამაგონებელი ძალის მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სოციალისტურ დემოკრატიას მსოფლიო კოლონიური სისტემის მსხვრევის შედეგად წარმოქმნილი განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, შექმნეს საკუთარი სახელმწიფოებრივი სისტემა და ზოგი მათგანი სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დადგა. აქაც საბჭოთა ქვეყნის გამოცდილება და მიღწევები, სოციალისტური დემოკრატიის ცხოველმყოფელი ძალა გახდა სანიმუშო მაგალითი.

საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის საერთაშორისო მნიშვნელობა გა-

---

3 „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები", 1987 წლის 27-28 იანვარი, თბ., 1987, გვ. 37.

4 „სკკპ XXVII ყრილობის მასალები", გვ. 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიხატება იმითაც, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო მეტად უწევენ ანგარიშს მის მიღწევებს. ამ სახელმწიფოებში ფართოვდება და მრავალფეროვანი ხდება ის მოთხოვნები, რომელთაც ქვეყნის მშრომელები აყენებენ თავიანთ რევოლუციურ ბრძოლაში არსებული წყობილების შესაცვლელად. უფრო მეტიც, სოციალისტური დემოკრატიის წარმატებები იმდენად შთამბეჭდავია, რომ თვით კაპიტალისტურ ქვენებშიც კი იძულებულნი ხდებიან თავიანთი სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვთარების კონსტიტუციურ საფუძვლებში შეიტანონ სათანადო ცვლილებები.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის გავლენით საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებში შეტანილია მრავალი მოთხოვნილება და დებულება, რომლებიც მიზნად ისახავენ დაიცვან ადამიანის უფლებები, მშვიდობიანი ერთად ცხოვრებისა და თანაარსებობის პრინციპები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეს საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული წარმატებები დიდ ზეგავლენას ახდენენ მსოფლიო-ისტორიულ პროცესზე. ეს შეიმჩნევა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ სფეროშიც. საბჭოთა დემოკრატია, მისი ჰუმანური და პროგრესული პრინციპები გავლენას ახდენენ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის, პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესზე.

თუ ავიღებთ სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებს, აქ საქმე გვაქვს ორივე მხარის ურთიერთზემოქმედების პროცესთან. თუ, ერთი მხრივ, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია, მისი სრულყოფა და წინსვლა ზეგავლენას ახდენს სხვა სოციალისტური ქვეყნების დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე, თავის მხრივ, ამ ქვეყნების დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების გამოცდილება გათვალისწინებულია საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის სრულყოფის პროცესში. „პარტია სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეთა, სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა თაობის ადამიანთა ცხოველ, ფართო ურთიერთობასაც. ეს არის ერთმანეთის სულიერი გამდიდრების წყარო, აზრების, იდეების, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების გააზრების არხი. დღეს კი განსაკუთრებით საჭიროა არა ერთი, არამედ მთელი რიგი ქვეყნების განვითარების საფუძველზე გავაანალიზოთ სოციალისტური ცხოვრების წესის ხასიათი, გავიაზროთ დემოკრატიის, მართვის მეთოდების, საკადრო პოლიტიკის სრულყოფის პროცესები“[5]. — ნათქვამია პოლიტიკურ მოხსენებაში.

საბჭოთა კონსტიტუციის (1977 წ.) მიღებასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდიენტი გუსტავ ჰუსაკი წერდა: „სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია ამკვიდრებს სოციალისტური საზოგადოების უმთავრეს ასპექტებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩეხოსლოვაკიისათვის“[6].

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური წყობილების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია სოციალისტური სახელმწიფოებრივი სისტემისა და სოციალისტური დემოკრატიის ერთიანობა. ამ პრინციპზეა დაფუძნებული საბჭოთა ქვეყნის პო-

---

[5] „სკკპ XXVII ყრილობის მასალები“, გვ. 110.

[6] «Проблемы мира и социализма», 1977, № 11, стр. 14.

ლიტიკური სისტემა. ეს გარემოება ფიქსირებულია ჩვენი ქვეყნის (1977 წ.) კონსტიტუციაშიც, რომლის პირველ თავში („პოლიტიკური სისტემა") ჩამოყალიბებულია უმნიშვნელოვანესი დებულებები საერთო-სახალხო სახელმწიფოსა და საერთო-სახალხო დემოკრატიის არსის შესახებ. კონსტიტუციაში მითითებულია, რომ ჩვენს ქვეყანაში ხალხი ახორციელებს სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას თავისი წარმომადგენლობითი ორგანოების — საბჭოების მეშვეობით, საბჭოები შეადგენენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური წყობილების საფუძველს. ამავე დროს საბჭოები ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო აპარატის, სახელმწიფოებრივი სისტემის საფუძველიც არის. სწორედ ესაა სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და სოციალისტური დემოკრატიის ერთიანობის პრინციპის განსახიერება. ეს პრინციპი პირველად ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა, შემდეგ იგი საფუძვლად დაედო სახელმწიფოებრივ მშენებლობას ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, ვიეტნამში, კუბაში, მონღოლეთში და სხვ.

ასევე სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის ორგანულ შერწყმას, რაც საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკური და კერძოდ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ასეთივე პრინციპი დაედო საფუძვლად მომმე სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური სისტემის მშენებლობასაც. ყოველივე ეს ფიქსირებულია მათ კონსტიტუციებში, მაგალითად, ბულგარეთის კონსტიტუციის მეორე მუხლში, კუბის კონსტიტუციის მეოთხე მუხლში, უნგრეთის კონსტიტუციის მეორე პარაგრაფში და ა. შ.

სახალხო დემოკრატიული ქვეყნებისათვის სამაგალითო გახდა საბჭოთა კავშირის გამოცდილება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების როლის განუხრელი ამაღლების საქმეში. საზოგადოების მართვაში მშრომელი მასების მონაწილეობის ახალი კონკრეტული ფორმების გამომუშავება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, რაზედაც განუწყვეტლივ ზრუნავს ჩვენი პარტია, სამაგალითოდ მიაჩნიათ მომმე სოციალისტურ ქვეყნებს. ვიეტნამის გაზეთი „ნიან ზანი" ამასთან დაკავშირებით წერდა, რომ მათი ქვეყნისათვის მისაბაძია საბჭოთა კავშირის გამოცდილება, სადაც „საგანგებო ყურადღება ეთმობა მშრომელი ხალხის კიდევ უფრო მეტ მონაწილეობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის საქმეში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფაში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის ამაღლებაში"[7].

ისტორიულად კანონზომიერ პროცესად მიიჩნევს ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდას სოციალიზმის სრულყოფისათვის ბრძოლის პირობებში, რაც კარგად აისახა საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში[8].

საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ და აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმეებში. ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ფუნქციონირებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით განმტკიცებული გარანტიები.

---

[7] Газ. «Правда», 10.VI.1977.
[8] Газ. «Правда», 7.VI.1977.

მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრა და ამასთან დაკავშირებით გარანტიების სისტემის შექმნის აუცილებლობა პრინციპადაა მიღებული მოძმე სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობაში. მაგალითად, ამის შესახებ ლაპარაკია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 81-ე მუხლში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2 მუხლში და სხვ.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ერთხმად აღიარებენ საბჭოთა დემოკრატიისა და მისი ცალკეული ინსტიტუტების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ ქვეყნების დემოკრატიზმის შემდგომი განვითარებისათვის. სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით ბულგარეთის გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ წერდა: „სსრ კავშირის ძირითადი კანონი იქნება ნათელი პრაქტიკული მაგალითი, სტიმული და შთაგონება სოციალიზმის მშენებლობისათვის მთელს ჩვენს თანამეგობრობაში“[9].

ამრიგად, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის საერთაშორისო მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატება, რომ იგი არამარტო სახალხო დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკურ სისტემაზე, არამედ მათთან თანამშრომლობაზეც ახდენს გარკვეულ ზეგავლენას.

თვალნათლივ შეიმჩნევა საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის გავლენა კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკური სისტემის ზოგიერთ რგოლზე. კერძოდ, მრავალი კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი წრეები საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის გავლენით გარკვეულ დათმობაზე მიდიან ხალხთა მასების წინაშე, აფართოებენ დემოკრატიზმს, სპობენ ზოგიერთ შეზღუდვას ამ მხრივ. საბჭოთა საარჩევნო სისტემის გავლენით ბევრგან გაფართოვდა ამომრჩეველთა საარჩევნო უფლებები, კერძო პირთა სამოქალაქო უფლებები და სხვ. მაგალითად, იტალიის კონსტიტუციაში, რომელიც 1947 წლის 22 დეკემბერს მიიღეს, საბჭოთა სისტემის მიბაძვით შეიტანეს მოქალაქეთა უფლებები შრომაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, დასვენებაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე და განათლებაზე. ასევე მოხდა საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციაში[10].

დაახლოებით ოცამდე განვითარებადი ქვეყანა სოციალისტური ორიენტაციის გზას ადგას. ეს ის ქვეყნებია, სადაც ძალაუფლება რევოლუციური დემოკრატიის ხელშია და ქვეყნის ლიდერებად რევოლუციურ დემოკრატიული პარტიები არიან. ამ ქვეყნების საკანონმდებლო აქტებში ან კონსტიტუციებში ფიქსირებულია რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიების ავანგარდული როლი სახელმწიფოში და საზოგადოებაში. ასეთი მუხლი არსებობს ერაყის ეროვნულ ქარტიაში (1973 წ.) ალჟირის (1976), გვინეის და ტანზანიის კონსტიტუციებში. 1974 წელს ბირმაში მიიღეს სპეციალური კანონი: „პარტიის ხელმძღვანელი როლის დაცვის შესახებ“[11]. ამ ქვეყნებში სახელმწიფო ორგანოები გადაწყვეტილებებს პარტიის რეკომენდაციებით იღებენ, პარტია აქტიურად ერევა ავრეთვე საკადრო პოლიტიკაში და ა. შ.

ცხადია, ეს პრინციპი — პარტიის ავანგარდული როლისა და მისი ზრდის შესახებ ამ ქვეყნებმა აიღეს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური

---

[9] Газ. «Правда», 6.VI. 1977.

[10] «Конституции буржуазных государств», М., 1982, стр. 113.

[11] «Политические системы современности», «Наука», М., 1978, стр. 219.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნების გამოცდილებიდან. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ცხოვრებაში კი ეს პრინციპი, როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკურ მოხსენებაში ითქვა, ასე ჩამოყალიბდა: „სოციალისტური თვითმმართველობის განვითარების წამყვანი ძალა და მთავარი გარანტია პარტიაა. ასრულებს რა ხელმძღვანელ როლს საზოგადოებაში, იგი თვითონ არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვითმმართველი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა“[12].

საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის გავლენას ვხედავთ აგრეთვე განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთობაში. ეს არის თანამშრომლობისა და თანადგომის პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობა. პროფკავშირები, გლეხთა კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თანამშრომლობენ სახელმწიფოსთან, ეხმარებიან მას თავისი ფუნქციების უკეთ შესრულებაში. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, კონგოში, ალჟირში, სამხრეთ იემენში და სხვა ქვეყნებში.

საბჭოები, როგორც ხელისუფლების ორგანოები და სოციალისტური დემოკრატიზმის ძირითადი უჯრედები, აღმოცენდნენ რუსეთში, აქ იქცნენ ისინი სახელმწიფოსა და დემოკრატიის განსახიერების ფორმად, მათ ძირითად ორგანოდ. რიგ განვითარებად ქვეყნებში მიღებულია პოლიტიკური ორგანიზაციის ეს ფორმა: სახალხო საბჭოებია ბირმაში, კონგოში, მადაგასკარზე, მოზამბიკში. მართალია, აქ ისინი მთლად ისეთი უფლებრივი სტატუსით არ არიან აღჭურვილნი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ მათი ძირითადი ფუნქციები ისეთივეა, როგორიც ჩვენი საბჭოებისა.

საბჭოთა საარჩევნო კანონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებაა დეპუტატების საბჭოებიდან ნებისმიერ დროს, ნებისმიერი დეპუტატის გაწვევის უფლება. ეს წესი გადაიღო მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ. მაგალითად, ალჟირის, ბირმის, სამხრეთ იემენის და კონგოს კონსტიტუციები შეიცავენ დებულებას დეპუტატის გაწვევის შესახებ. კონგოში მიღებული საარჩევნო კანონი (1973 წლის 4 ივნისი) დეტალურად აყალიბებს დეპუტატთა გაწვევის წესს[13].

ადამიანის უფლებების საბჭოთა კონცეფციამ დადებითი ზემოქმედება მოახდინა არა მარტო ცალკეული ქვეყნების კონსტიტუციურ საფუძვლებზე, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაზეც. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოვლინდა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო 1948 წელს. ხოლო 1960 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სსრ კავშირის წინადადებით მიიღო დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება სოციალისტური დემოკრატიზმის გარდაუვალი პრინციპია და ზემოთ აღნიშნული დეკლარაციის მიღება ძირითადად ამ პრინციპის ზეგავლენას ადასტურებს. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ დამოუკიდებლობა მიიღეს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა 75-ზე მეტი სახელმწიფო[14].

---

[12] „სკკპ XXVII ყრილობის მასალები“, გვ. 84.

[13] Л. М. Энтин, Политические системы развивающихся стран, М., 1978, стр. 250

[14] იხ. ლ. ალექსიძე, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თბ., 1986, გვ. 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მოთხოვნითვე 1966 წლის 16 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „პაქტი ადამიანის უფლებათა შესახებ", რომელშიც შეტანილია დებულებები ადამიანისათვის შრომის, განათლების, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის, ცხოვრების საკმაო დონით უზრუნველყოფის უფლებათა მინიჭების შესახებ. აქვე, ასევე საბჭოთა ქვეყნის მოთხოვნით, შეტანილია მუხლები მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფის შესახებ. ეს უფლებები — მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, სახელმწიფო ორგანოების არჩევნებში, სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურის უფლება და სხვა — აღიარებულია ხელშეუვალ და შეუქცევად უფლებებად.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის საერთაშორისო მნიშვნელობა მრავალი ფორმითა და სახით ვლინდება საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი მოიცავს არა მარტო სოციალისტური თანამეგობრობისა და განვითარებად ქვეყნებს არამედ კაპიტალისტურ სამყაროსაც, იგი მოიცავს არა მარტო პოლიტიკური ცხოვრების ინსტიტუტებს, არამედ სოციალური და კულტურული ცხოვრების სფეროებსაც.

ამრიგად, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება და განმტკიცება, რაც ასე ხაზგასმითაა წარმოდგენილი სკკპ XXVII ყრილობის დოკუმენტებში, ემსახურება არა მარტო ჩვენი ქვეყნის და სოციალისტური სისტემის ქვეყნების შემდგომი განვითარების ინტერესებს, არამედ იგი მძლავრ იმპულსს აძლევს მსოფლიოს მშრომელ მასებს სოციალური პროგრესის გზით წინსვლისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური კონფერენცია

1987 წლის 24 თებერვალს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის პრობლემების საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭოსა და ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის თაოსნობით გაიმართა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „უშრომელ შემოსავალთან ბრძოლისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის რეგულირების სამართლებრივი პრობლემები“.

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის პრობლემების საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. შავგულიძემ.

მოხსენებით „საპროკურორო ზედამხედველობა უშრომელი შემოსავლის შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე“ გამოვიდა რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე ვ. შარაშენიძე. უშრომელი შემოსავლის ყველაზე გავრცელებული და საშიში წყაროა, თქვა მომხსენებელმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია, წამატებები, უხარისხო პროდუქციის გამოშვება, ზომა-წონაში მომხმარებელთა მოტყუება და სხვ. ჩვენი საზოგადოებისათვის ამ და სხვა უცხო მოვლენების წინააღმდეგ რესპუბლიკის პროკურატურა უკომპრომისოდ, გეგმაზომიერად და თანამიმდევრულად იბრძვის, ყოველ ღონისხმარობს, რათა ძირეულად გარდაქმნას თვისი მუშაობა სადღეისო გაზრდილ მოთხოვნათა შესაბამისად. ამ მიმართებით უკვე გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიეთ, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პროკურატურის ორგანოებმა, განსაკუთრებით პირველ ხანებში, როგორც იტყვიან, რამდენადმე გადაამეტეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაზეთ „იზვესტიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ა. რეკუნკოვის ინტერვიუ, ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხს ნათელი მოეფინა და უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ წარმართული ჩვენი საქმიანობაც უფრო დაიხვეწა.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სამოქალაქო სამართლებრივ ასპექტებზე გაამახვილა ყურადღება ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. ლილუაშვილმა. ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების როლისა და ადგილის გარკვევისათვის, თქვა მან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეს ერთგვაროვანი და ერთიანი საქმიანობა პირობითად სამ ეტაპად დაიყოს: 1. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ნედლეულის, მასალების, იარაღებისა და სხვა ქონების შეძენის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება; 2. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შედეგად წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და მომსახურების გაწევა და 3. უფლების დარღვევის შემთხვევაში წამოჭრილი კონფლიქტის მოგვარება. ეჭვგარეშეა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, რომ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სამართლებრივი რეგულირებით კანონმდებელს სურს მიაღწიოს სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სასარგებლო ეფექტს. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ და მასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტები განუხრელად შესრულდება.

„კანონი და ინდივიდუალური მეურნეობრიობა“, — ამ თემაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე თ. ნინიძე. მიუხედავად იმისა, რომ, თქვა მომხსენებელმა, ინდივიდუალური მეურნეობრიობა მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დამატებითი წყაროა, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონი უაღრესად ხაუურადღებო აქტია როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით, რადგან იგი იძლევა აღნიშნული საქმიანობის ცნებას, მისი სოციალური მნიშვნელობის შეფასებას, ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობის სახეებსა და ფარგლებს. მასში ჩამოყალიბებულია პრინციპები, რომლებსაც ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა ემყარება, მოცემულია ამ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების წესი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ თუ აქამდე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის კონსტიტუციური უფლების კონკრეტული იურიდიული გარანტიები მოცემული იყო კანონქვემდებარე აქტებში, რაც ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური უფლების არაერთგვაროვანი გამოყენებისა და დაცვის საფუძველს ქმნიდა, ამიერიდან მოქალაქეთა ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების იერარქიაში აღმატებული ადგილი დაეთმო უმაღლესს — კანონს.

უშრომელი შემოსავლისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ურთიერთმიმართების პრობლემებზე კონფერენციის მონაწილეებს თავისი მოსაზრებები გაუზიარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ჩიქვაშვილმა. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონი, თქვა მომხსენებელმა, ადრე მიღებულ ნორმატიულ აქტებთან ერთად, შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, წარმატებით ვიბრძოლოთ აკრძალული რეწვის, კადასახადისაგან თავის არიდების და სხვ. წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ, განვსაზღვროთ იმ პირთა სამართლებრივი სტატუსი, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას. რაც შეეხება დეკლარაციას შემოსავლის წყაროების შესახებ, იგი წარედგინება მაშინ, როცა მოქალაქე დებს ათი ათას მანეთზე მეტი ღირებულების გარიგებას ან აშენებს ოცი ათას მანეთზე მეტი ღირებულების სახლს (აგარაკს). აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიღებულ საერთო საკავშირო აქტებში დეკლარაციის წარდგენა მოითხოვება საგარაკო ნაგებობათა მშენებლობის დროსაც, მაშინ, როცა სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური საგარაკო მშენებლობისათვის საერთოდ აკრძალულია. ეს აკრძალვა მოქმედებს ამჟამადაც. თუ აგარაკი შენდება უნებართვოდ, მისი ჩამორთმევა უნდა მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით უსახყიდლოდ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის საფუძველზე და ასეთ შემთხვევაში დეკლარაციის წარდგენა საჭირო არ არის. შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა იმის თაობაზე, თუ რა სახის შემოსავალი ითვლება კანონიერად.

„სამოქალაქო სამართლის ფუნქციები ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სფეროში" — ამ თემაზე მოხსენებით გამოვიდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. ხეცურიანი. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონმა კომპლექსურად მოაწესრიგა აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობები და აღმოფხვრა ადრემოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. კერძოდ, ფართო გასაქანი მიეცა სამოქალაქო სამართლის მარეგულირებელ ფუნქციას, რომლის მოქმედება ვრცელდება როგორც საერთოდ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ზოგადი საწყისების, ასევე მისი კონკრეტული სახეობის მიმართაც. მაგალითად, კანონის მე-14 მუხლში პირდაპირ არის მითითებული რომ „ფასიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევა ხორციელდება სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად". არანაკლებ მნიშვნელობის მქონეა სამოქალაქო სამართლის დაცვითი ფუნქციის როლი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს განსაკუთრებით ეხება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ანტიპოდის — უშრომელი შემოსავლის მიღების აღმოფხვრისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებების გამოყენებას, ჩვენის აზრით, განაგრძო შემდეგ მომხსენებელმა, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გამიჯვნისათვის მონათესავე მოვლენებისაგან საჭიროა სულ ცოტა სამი კრიტერიუმის გამოყენება: 1. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა უნდა იყოს მოქალაქეთა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა; 2. მისი მიზანი უნდა იყოს საქონლის წარმოება ან ფასიანი მომსახურების გაწევა და 3. იგი დაკავშირებული უნდა იყოს მოქალაქეთა შრომის სამართლებრივ ურთიერთობებთან. შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით განიხილა თითოეული კრიტერიუმი.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. სურგულაძე გამოვიდა მოხსენებით — „აკრძალული რეწვა და უშრომელი შემოსავალი". აკრძალული რეწვის, თქვა მომხსენებელმა, საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ ამ დროს ირღვევა საზოგადოებრივი პროდუქციის განაწილების სოციალისტური პრინციპი, რაც იწვევს შეუსაბამო გამდიდრებას, ანდა იგი იმთავითვე პრივილეგირებულია. გარდა ამისა, წარმოებისა და მომსახურების სფეროში ირღვევა სახელმწიფო მონოპოლიის პრინციპი, არარაციონალურად ისარჯება დეფიციტური ნედლეული, ზარალდება ვაჭრობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ძველსა და ახალ ნორმატიულ აქტებში აკრძალული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობის ჩამონათვალი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ერთმანეთს ემთხვევა. აკრძალულ საქმიანობათა უმრავლესობა, რასაც ამჟამად მოქმედი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილება ითვალისწინებს, მოცემულია ახალი საკავშირო კანონის ინდივიდუალური საქმიანობის ნებადართულ სახეობათა ჩამონათვალში, რითაც მოისპო რესპუბლიკის კანონმდებლობით მათი აკრძალვის შესაძლებლობა. როგორც ძველ, ისე ახალ კანონში აკრძალულ საქმიანობებს შორის დასახელებულია ისეთი სახეობებიც, რომლებიც დამოუკიდებელი შემადგენლობების სახით გათვალისწინებულნი არიან სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში. ეს რამდენადმე გაუმართლებლად მიგვაჩნია, მით უფრო, რომ ყველა შემთხვევაში ეს ქმედობები სისხლის სამართლის კოდექსის შესატყვისად და არა 172-ე მუხლით კვალიფიცირდებიან. ასეთი ვითარება გაუმართლებლად მიგვაჩნია თვით სისხლის სამართლის კანონმდებლობების სისტემის თვალსაზრისითაც: აკრძალული სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა სამეურნეო დანაშაულია, ხოლო საქმიანობის აკრძალულ სახეობათა ჩამონათვალში გვხვდება ისეთი მოქმედებები, რომელთა შესატყვისი დანაშაულის შემადგენლობები კოდექსის სხვა თავებშია გათვალისწინებული. უფრო მეტიც, ერთი სახეობის ჩამონათვალიდან ზოგიერთი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას აწესებს 172-ე მუხლი, ხოლო სხვებისათვის, დავუშვათ, 238-ე მუხლი, რაც შეიძლება ერთგვარი გაუგებრობის საფუძველი გახდეს.

„ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონის მნიშვნელობა უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში“ — ამ თემაზე ესაუბრა კონფერენციის მონაწილეებს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი ვ. ნიკოგოსიანი. ამ კანონმა, თქვა მომხსენებელმა, განსაზღვრა იმ პირთა სამართლებრივი სტატუსი, რომლებიც მისდევენ ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი ძალაში შევა მიმდინარე წლის 1 მაისიდან, პრაქტიკულად ჯერ არც ერთ მოქალაქეს არ მიუმართავს შესაბამისი უფლების მიღებისათვის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობაში სათანადო პროპაგანდა არ ეწევა ამ კანონს, მოიკოჭლებს ახსნა-განმარტებითი და ორგანიზაციული საქმიანობაც. თუ გავიხსენებთ, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ მომსახურებისათვის გაწეული ყველა ხარჯის მესამედი, ანუ დაახლოებით 100 მილიონი მანეთი კერძო პირთა ჯიბეში მიდის, ცხადი გახდება პრობლემის სერიოზულობა. შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონის მდიდარ შესაძლებლობებზე უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საოჯახო-სამართლებრივ ასპექტებზე თავისი მოსაზრებები გაუზიარა კონფერენციის მონაწილეებს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ე. მისაკარიანშეკარილაძემ. ერთი შეხედვით, ისეთი ზნეობრივად ამაღლებული აქტი, როგორიცაა ქორწინება და ოჯახის შექმნა, ძალზე შორს დგას უშრომელი შემოსავლის მიღებასთან, მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ არცთუ იშვიათად ადგილი აქვს ფიქტიურ ქორწინებას. ცხადია, ასეთ ქორწინებას ანგარება უდევს საფუძვლად და იგი უნდა განვიხილოთ, როგორც უშრომელი შემოსავლის იოლი წყარო. კერძოდ, ბინის ხელში ჩაგდება, ჩაწერა, მემკვიდრეობა, პენსია და ა. შ. ამიტომ სამართალდაცვითი ორგანოების ვალია უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადონ ფიქტიური ქორწინების თითოეულ ფაქტს. შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ საოჯახო-სამართლებრივ ასპექტებზე, რომელთა სათანადო გათვალისწინება ბევრად შეუწყობს ხელს უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ კომპლექსური ბრძოლის ორგანიზების საქმეს.

უშრომელ შემოსავალთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეების საოქმო ფორმით წარმოების საკითხებზე ილაპარაკა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ე. კემულარიამ. ამ კატეგორიის საქმეებზე, აღნიშნა მომხსენებელმა, მასალების საოქმო ფორმით წარმოება იმას ნიშნავს, რომ მოკვლევის ორგანოები ვალდებულნი არიან 10 დღის ვადაში წარადგინონ მასალები სასამართლოში, ხოლო სასამართლომაც ასევე 10 დღის ვადაში საჯაროდ განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. აღნიშნული პირობების დაცვა ფაქტობრივად გამორიცხავს საქმის გაჭიანურებას. ასეთი შეზღუდული ვადები, ცხადია, საკმაოდ რთული პრობლემების წინაშე აყენებენ შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებს. საკანონმდებლო ნოველის მოთხოვნების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნა დროის გარკვეულ მონაკვეთს მოითხოვს, ორწლიანმა პრაქტიკამ კი ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტა ამ სიძნელეებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი და ადგილი აქვს საოქმო ფორმით წარმოების ვადების სხვადასხვა ხასიათის დარღვევებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-400 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა უმრავლესობა დაკავშირებულია

უშრომელი შემოსავლის მიღებასთან. ამდენად, ამ კატეგორიის დანაშაულთა განხილვისა და გადაწყვეტისას უნდა უზრუნველვყოთ ფართო საჯაროობა, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ სისხლის სამართლის პროცესის აღმზრდელობითი ზეგავლენის ყველა საშუალება.

„უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი საშუალებები" — ამ თემაზე მოხსენებით გამოვიდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი პ. ძამხაძე. როცა უშრომელი შემოსავლის სისხლისსამართლებრივ მხარეზე ვლაპარაკობთ, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, უწინარესად, მხედველობაში გვაქვს დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი, რადგან უშრომელი შემოსავალი და დანაშაული ყოველთვის როდი ემთხვევიან ერთმანეთს. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა საქმე ანგარებით ჩადენილ დანაშაულთან გვაქვს. მაგალითად, ასეთია სოციალისტური ან პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაული, მექრთამეობა, სპეკულაცია და სხვ. შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით განიხილა უშრომელი შემოსავლის მიღებასთან ბრძოლის გაძლიერების საფუძველზე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მომხდარ ცვლილებებზე და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ღონისძიებები დიდ წვლილს შეიტანს ამ ნეგატიური მოვლენის თავიდან აცილების საქმეში.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის ს. გოგიჩაშვილის მოხსენება მიეძღვნა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიას ფეოდალიზმის ხანაში. შუასაუკუნეების ეპოქამ, აღნიშნა მან, თავიდანვე განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება შრომისადმი, რაც რადიკალურად განსხვავდებოდა შრომისადმი დამოკიდებულებისაგან ანტიკურ სამყაროში, სადაც შრომა მხოლოდ მონების ხვედრად ითვლებოდა. ხოლო მოგვიანებით მშრომელები ახალ დამოკიდებულებას იჩენენ თავიანთი საქმიანობისადმი, რის კვალობაზეც თეოლოგებმაც გადასინჯეს თავიანთი მოსაზრებები შრომაზე და ჩამოყალიბდა „შრომის თეოლოგია". შემდეგ მომხსენებელმა მოკლედ მიმოიხილა მათხოვრობისა და მაწანწალობის, უშრომელი შემოსავლის მქონე დეკლასირებული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის ის ხერხები და საშუალებები, რომლებსაც მიმართავდა ფეოდალური სახელმწიფო.

კონფერენციის მონაწილეებს პარაზიტული ცხოვრებისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის საკითხებზე ესაუბრა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი დ. ჯულუხაძე. უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სამართლებრივად მოწესრიგებას არსებითი მნიშვნელობა აქვს პარაზიტული ცხოვრების მოყვარულთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის სწორად გადაჭრისათვის, ცნობილია, რომ უშრომელი შემოსავლით ცხოვრება ზოგიერთი დანაშაულის ცნების აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს, ამიტომ იგი კონკრეტულ საქმეზე აუცილებლად უნდა დადგინდეს. მაგრამ საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ ზოგჯერ უჭირთ უშრომელი შემოსავლის დადგენა და ამდენად გვერდს უვლიან აღნიშნულ საკითხს. ამ საქმეში ხელისშემშლელია ის ფაქტიც, რომ კანონმდებელი არ იძლევა უშრომელი შემოსავლის ზუსტ ცნებას, არც იურიდიულ ლიტერატურაში არის ამ საკითხზე აზრთა ერთიანობა. ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალს უშრომელ შემოსავალთან აიგივებენ. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონმა განამტიცა მოქალაქეთა უფლებები ცალკეული სახეობის მომსახურების გაწევის თაობაზე, მაგალითად, ჭრა-კერვის სწავლება, რეპეტიტორებთან მეცადინეობა და ა. შ. ამან კი წამოჭრა საკითხი — ის მოქალაქეები, რომლებიც სწავლობენ ჭრა-კერვას ან მეცადინეობენ რეპეტიტორთან და ა. შ.., მაგრამ არ არიან საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმულნი, უნდა მივიჩნიოთ თუ არა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაგან თავისამრიდებლად. შესაბამისად, ისინი ჩაითვლებიან თუ არა უშრომელი შემოსავლით სხვის ხარჯზე მცხოვრებლებად. ამდენად, მრავალი საკითხი მოითხოვს გარკვევა-დაზუსტებას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ზუსტად განისაზღვროს თუ რის წინააღმდეგ ვებრძვით — საერთოდ უშრომელი შემოსავლის მიღების თუ მისი ამა თუ იმ კონკრეტული საშუალების წინააღმდეგ.

„ინდივიდუალურ შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების განხილვის წესი" — ამ თემაზე მოხსენება გააკეთა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ბ. ბოლოშვილმა. ეს კანონი, თქვა მან, ჯერ ძალაში არ შესულა და, ცხადია, არც მისი გამოყენების პრაქტიკა გაგვაჩნია. ამდენად, ჯერჯერობით არ ვიცით თუ ინდივიდუალურ შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით რა სახის დავები შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ თვით კანონის ტექსტის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ამ მიმართებით გარკვეული დასკვნების გამოტანა. კერძოდ, დავები შეიძლება წარმოიშვას ასეთი საქმიანობის გან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხორციელების სამ ეტაპზე: 1. დაინტერესებულ მოქალაქეს სურს ჩაებას ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში, ნებართვისათვის მიმართავს შესაბამის ორგანოს, ხოლო ეს უკანასკნელი უარს განაცხადებს ასეთი ნებართვის გაცემაზე; 2. დავა შეიძლება წარმოიშვას თვით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელების პროცესში; 3. დავა შეიძლება წარმოიშვას ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის აკრძალვასთან დაკავშირებით. შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით განიხილა დავის წარმოშობის ზემოაღნიშნული სამივე შემთხვევა.

ინდივიდუალურ შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებში მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტიებზე ისაუბრა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მ. ციხაძემ. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარი მოქალაქე, თქვა მან, ასეთი საქმიანობის განხორციელებისათვის სხვადასხვა სახის სამართლებრივ კავშირებს ამყარებს სახელმწიფო დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან. ცხადია, ეს უფლებები საჭიროებენ სათანადო დაცვასა და გარანტირებას ზოგადი და იურიდიული პირობებითა და საშუალებებით. ზოგადი გარანტიები — ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორების ერთობლიობა — ახალისებს და ხელს უწყობს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელებას, მაგრამ ეს გარანტიები მოქალაქის უფლებებს სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ სამართლის ნორმებით, იურიდიული გარანტიებით განმტკიცებული საშუალებების გარეშე. შემდეგ მომხსენებელმა, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარი მოქალაქის უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით, წამოაყენა რამდენიმე კონკრეტული წინადადება.

სოფლის მეურნეობაში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის საკითხებზე ილაპარაკა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მ. გვაზავამ. ამჟამად საერთოდ, განსაკუთრებით კი ჩვენ რესპუბლიკაში, თქვა მან, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში საკმაოდ მაღალია დამხმარე მეურნეობიდან შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წილი. ამიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის სახურსათო პროგრამაში პირადი დამხმარე მეურნეობა მიჩნეულია აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენელ ნაწილად. ამიტომ პირადი დამხმარე მეურნეობის დახასიათებისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ როგორც მის სამომხმარებლო ხასიათზე, ისე საზოგადოებრივ ფუნქციაზეც. ამდენად ეს საკითხები ნორმატიული წესით უნდა განმტკიცდეს, მითუმეტეს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ამ პრობლემაზე გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ჩვენ კი, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა და პირად დამხმარე მეურნეობაში მოქალაქის საქმიანობის ანალიზით იმ დასკვნამდე მივედით, რომ პირად დამხმარე მეურნეობაში მოწეულ მხოლოდ სახაქონლო პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის ნაწილში შეიძლება ჩაითვალოს დამხმარე მეურნეობაში საქმიანობა სოფლის მეურნეობაში ინდივიდუალურ შრომით საქმიანობად.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი.

რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შედეგები შეაჯამა თ. შავგულიძემ. გადაწყდა, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები გამოიცეს ცალკე კრებულად.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების ლექტორი ტ. კულულაშვილი, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. როინიშვილი, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ლ. თალაკვაძე.

გელა გურული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანი და კანონიერი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებისათვის

შალვა მახარაძე,
ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და მართლმსაჯულების სწორი განხორციელებისათვის, რასაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა, საჭიროა კვლავაც ამაღლდეს სახალხო სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის ხარისხი. ამისათვის აუცილებელია სახალხო სასამართლოებმა რადიკალურად გარდაქმნან და გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, მკაცრად დაიცვან მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, განუხრელად შეასრულონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმების სახელმძღვანელო განმარტებები. აქ უდავოდ შეგვიწყობს ხელს სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვები სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ცალკეული კატეგორიების საქმეებზე.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ნათელ სურათს გვაძლევს დამნაშავეთა დემოგრაფიული მონაცემების შესახებ, დანაშაულთა გავრცელების არეალზე, დასჯით პრაქტიკაზე, დანაშაულის ხელშემწყობ პირობებზე, გატარებულ პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე და ა. შ. იგი იმის უპირველესი საშუალებაა, რომ დროულად შევამჩნიოთ სხვადასხვა რაიონის სახალხო სასამართლოების დასჯით პრაქტიკაში არსებული გაუმართლებელი განსხვავებანი და საერთო ხასიათის შეცდომები, რომლებიც ცხადია, დაბლა სწევენ მართლმსაჯულების სწორად წარმართვის ხარისხს. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით შესაძლებელი ხდება აგრეთვე ისიც, რომ შემოწმდეს საკასაციო წესით გაუსაჩივრებელი და გაუპროტესტებელი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კანონიერება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოსა და მოქალაქეების კანონით გარანტირებული უფლებების განუხრელი დაცვა.

იმისათვის, რომ ზუსტად და კარგად ვიცოდეთ დანაშაულის გავრცელების მაჩვენებლები და ჩადენილ ქმედობათა საზოგადოებრივი საშიშროება, საჭიროა ყოველწლიურად განზოგადდეს ზოგიერთი კატეგორიის საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკა. ასეთ კატეგორიებს განეკუთვნება სპეკულაცია, ნარკომანია, ხულიგნობა, სოციალისტური ქონების დატაცება, არასრულწლოვანთა დანაშაული, პარაზიტული ცხოვრება, მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა ნასვამ მდგომარეობაში მყოფთა მიერ და სხვა.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მიმდინარეობს სპეციალური გეგმით, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი. მასალებსა და სათანადო რეკომენდაციებს ისმენს ოპერატიული თათბირი, რაც შემდეგ ეგზავნებათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და შესაბამის სამართალდამცავ, პარტიულ თუ საბჭოთა ორგანოებს. ამასთან ერთად, მიმდინარეობს აგრეთვე საკასაციო და საზედამხედველო წესით საქმეთა განხილვის პრაქტიკის შესწავლა, რომლის შედეგებიც გაგვაქვს საქალაქო სასამართლოს გაფართოებულ ოპერატიულ თათბირებზე. ამ თათბირებზე დედაქალაქის სახალხო მოსამართლეებიც მონაწილეობენ.

როგორც ჩატარებული მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, სასამართლო პრაქტიკის განზოგადება სათანადო გავლენას ახდენს თბილისის სახალხო სასამართლოების მუშაობაზე. ეს გავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენა ძირითადად დადებითია, რადგან მის შედეგად ყალიბდება უფრო სწორი დასჯითი პრაქტიკა, მცირდება საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებული შეცდომები, კლებულობს უკანონო ან ლმობიერი განაჩენების გამოტანის შემთხვევები, უმჯობესდება პროფილაქტიკური საქმიანობა.

ჩვენს მუშაობაში დაინერგა სიახლეც. ესაა სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცალკეულ უწყებაში ან რომელიმე რაიონში ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე. მაგალითად, კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოში შევისწავლეთ ხულიგნობის საქმეთა განხილვის პრაქტიკა, კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოში — რაიონის ტერიტორიაზე ჩადენილი მძიმე დანაშაულობების (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება, მექრთამეობა და სპეკულაცია) განხილვის სასამართლო პრაქტიკა, ქ. თბილისის ფეხსაცმელების საწარმოო გაერთიანება „ისანში" გამოვლენილი სახელმწიფო ქონების გატაცებისა და განიავების საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკა და ა. შ.

ინფორმაციები ამ მიმოხილვათა შედეგებზე გაეგზავნათ პარტიის შესაბამის რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა სისტემაშიც დანაშაული მოხდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 7 მაისის დადგენილების („ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ") შესრულების მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლომ შეიმუშავა საგანგებო ღონისძიებები და სწორედ ამ გეგმით წარიმართა მუშაობა. გასულ წელს შევისწავლეთ სასამართლო პრაქტიკა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების გამოხდის, გასაღებისა და შენახვის საქმეებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 173-ე მუხლი), არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისა და არასრულწლოვანთა დათრობის საქმეებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 236[1] მუხლები), სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევის საქმეებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 169[1]-ე მუხლი), ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის დროს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის საქმეებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 241[1]-ე მუხლი).

ცალკე უნდა აღინიშნოს იმ დანაშაულთა სტატისტიკა, რომლებიც სიმთვრალის დროსაა ჩადენილი. მართალია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისათვის გატარებულმა ღონისძიებებმა გარკვეული დადებითი გავლენა მოახდინეს ამ სახის დანაშაულთა გავრცელებაზე და 1985 წელთან შედარებით 1986 წელს მკვეთრად შემცირდა იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც მთვრალებმა ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისათვის არ შენელდება და კვლავაც გაგრძელდება. ამ მანკიერებასთან დაკავშირებულ დანაშაულთა სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება საქალაქო სასამართლოს 1987 წლის სამუშაო გეგმაშიც შევიტანეთ, რასაც პრინციპულად და მაღალკვალიფიციურად შევასრულებთ.

განზოგადებებმა ერთი მეტად სავალალო ფაქტი ცხადყო. დანაშაულის გზას უმეტესად ისინი ადგებიან, ვინც უმუშევარია. ასეთი პირების ხვედრითი წილი კი საერთო სტატისტიკაში ჯერ კიდევ დიდია. ეს სხვებზე უფრო მეტად ეხებათ ნარკომანიისათვის, ბოროტი ხულიგნობისათვის, ყაჩაღობისათვის, ქურდობისა და ზოგიერთი სხვა კატეგორიის დანაშაულისათვის გასამართლებულებს. ჩვენს მიერ გაანალიზებული საქმეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თბილისის სახალხო სასამართლოებში გასამართლებული და მსჯავრდებული ყოველი მეხუთე პირი უმუშევარი იყო. სასამართლოებთან ერთად აქედან ალბათ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ უბნის ინსპექტორებმა და სახლმმართველობებმა.

მეტად დამაფიქრებელია ჩვენი ქალაქის სასამართლო სტატისტიკა არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ. ვერ დავმალავთ სამარცხვინო ფაქტს, რომ თუ რესპუბლიკაში შეიმჩნევა არასრულწლოვანთა დანაშაულის მკვეთრი კლება, თბილისში პირიქითაა. 1986 წლის მონაცემებით რესპუბლიკაში ჩადენილი ყოველი მეოთხე ასეთი დანაშაული ჩვენს ქალაქზე მოდის. განსაკუთრებით გაიზარდა არასრულწლოვანთა მსჯავრდების შემთხვევები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობით გატაცებისათვის, განზრახ მკვლელობისათვის, ქურდობისათვის, ძარცვისათვის, ყაჩაღობისათვის, ხულიგნობისათვის და ა. შ.

აქვე ალბათ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ მსჯავრდებულთა უმეტესობა მართალია კომკავშირული ასაკისაა, მაგრამ ამ ორგანიზაციის წევრი არ არის. ეს უბრალოდ არ ხდება და იმითაა გამოწვეული, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ძირითადად სკოლის, ოჯახის და საზოგადოებრიობის უყურადღებობითაა განპირობებული. შექმნილი მდგომარეობა იმანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენა ძირითადად დადებითია, რადგან მის შედეგად ყალიბდება უფრო სწორი დასჯითი პრაქ-ტიკა, მცირდება საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებული შეცდომები, კლებულობს უკანონო ან ლმობიერი განაჩენების გამოტანის შემთხვევები, უმჯობესდება პრო-ფილაქტიკური საქმიანობა.

ჩვენს მუშაობაში დაინერგა სიახლეც. ესაა სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცალკეულ უწყებაში ან რომელიმე რაიონში ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე. მაგალითად, კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოში შევისწავლეთ ხულიგნობის საქმეთა განხილვის პრაქტიკა, კი-როვის რაიონის სახალხო სასამართლოში — რაიონის ტერიტორიაზე ჩადენილი მძიმე დანა-შაულობების (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება, მექრთამეობა და სპეკუ-ლაცია) განხილვის სასამართლო პრაქტიკა, ქ. თბილისის ფეხსაცმელების საწარმოო გაერთიანე-ბა „ისანში" გამოვლენილი სახელმწიფო ქონების გატაცებისა და განიავების საქმეთა განხილ-ვის სასამართლო პრაქტიკა და ა. შ.

ინფორმაციები ამ მიმოხილვათა შედეგებზე გაეგზავნათ პარტიის შესაბამის რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა სისტემაშიც დანაშაული მოხდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 7 მაისის დადგენილების („ლოთობისა და ალ-კოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ") შესრულების მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლომ შეიმუშავა საგანგებო ღონისძიებები და სწორედ ამ გეგმით წარიმართა მუშაო-ბა. გასულ წელს შევისწავლეთ სასამართლო პრაქტიკა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელე-ბის გამოხდის, გასაღებისა და შენახვის საქმეებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 173-ე მუხ-ლი), არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისა და არასრულწლოვანთა დათ-რობის საქმეებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 236[1] მუხლები), სპირტიანი სას-მელებით ვაჭრობის წესების დარღვევის საქმეებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 169[1]-ე მუხლი), ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის დროს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის საქმე-ებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 241[1]-ე მუხლი).

ცალკე უნდა აღინიშნოს იმ დანაშაულთა სტატისტიკა, რომლებიც სიმთვრალის დროსაა ჩა-დენილი. მართალია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისათვის გატარებულმა ღონისძიე-ბებმა გარკვეული დადებითი გავლენა მოახდინეს ამ სახის დანაშაულთა გავრცელებაზე და 1985 წელთან შედარებით 1986 წელს მკვეთრად შემცირდა იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც მთვრალებმა ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისათ-ვის არ შენელდება და კვლავაც გაგრძელდება. ამ მანკიერებასთან დაკავშირებულ დანაშაულ-თა სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება საქალაქო სასამართლოს 1987 წლის სამუშაო გეგმაშიც შევიტანეთ, რასაც პრინციპულად და მაღალკვალიფიციურად შევასრულებთ.

განზოგადებებმა ერთი მეტად სავალალო ფაქტი ცხადყო. დანაშაულის გზას უმეტესად ისინი ადგებიან, ვინც უმუშევარია. ასეთი პირების ხვედრითი წილი კი საერთო სტატისტიკა-ში ჯერ კიდევ დიდია. ეს სხვებზე უფრო მეტად ეხებათ ნარკომანიისათვის, ბოროტი ხულიგ-ნობისათვის, ყაჩაღობისათვის, ქურდობისა და ზოგიერთი სხვა კატეგორიის დანაშაულისათვის გასამართლებულებს. ჩვენს მიერ გაანალიზებული საქმეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თბი-ლისის სახალხო სასამართლოებში გასამართლებული და მსჯავრდებული ყოველი მეხუთე პირი უმუშევარი იყო. სასამართლოებთან ერთად აქედან ალბათ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ უბნის ინსპექტორებმა და სახლმმართველობებმა.

მეტად დამაფიქრებელია ჩვენი ქალაქის სასამართლო სტატისტიკა არასრულწლოვანთა და-ნაშაულის შესახებ. ვერ დავმალავთ სამარცხვინო ფაქტს, რომ თუ რესპუბლიკაში შეიმჩნევა არასრულწლოვანთა დანაშაულის მკვეთრი კლება, თბილისში პირიქითაა. 1986 წლის მონაცე-მებით რესპუბლიკაში ჩადენილი ყოველი მეოთხე ასეთი დანაშაული ჩვენს ქალაქზე მოდის. განსაკუთრებით გაიზარდა არასრულწლოვანთა მსჯავრდების შემთხვევები სახელმწიფო ან სა-ზოგადოებრივი ქონების ქურდობით გატაცებისათვის, განზრახ მკვლელობისათვის, ქურდობი-სათვის, ძარცვისათვის, ყაჩაღობისათვის, ხულიგნობისათვის და ა. შ.

აქვე ალბათ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ მსჯავრდებულთა უმეტესობა მართა-ლია კომკავშირული ასაკისაა, მაგრამ ამ ორგანიზაციის წევრი არ არის. ეს უბრალოდ არ ხდე-ბა და იმითაა გამოწვეული, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ძირითადად სკოლის, ოჯახის და საზოგადოებრიობის უყურადღებობითაა განპირობებული. შექმნილი მდგომარეობა იმანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწვია, რომ კვლავ შეუწყნარებლად დაბალია პროფილაქტიკური მუშაობა არასრულწლოვანებთან და თითქმის არ ტარდება ის გამაფრთხილებელი ღონისძიებანი, რამაც უნდა უზრუნველყოს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა, სასარგებლო საქმიანობაში მათი ჩაბმა. ეს და სხვა ნაკლოვანებანი სათანადოდ აისახა არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე პრაქტიკის განზოგადოების შესახებ გაკეთებულ ინფორმაციაში.

როცა თბილისის ოთხ რაიონში, კერძოდ პირველი მაისის, 26 კომისრის, კალინინისა და გლდანის რაიონებში, მკვეთრად გაიზარდა მოქალაქეთა პირადი ქონების ხელყოფის შემთხვევები, საქალაქო სასამართლომ განაზოგადა შექმნილი მდგომარეობის სასამართლო პრაქტიკა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-152-ე მუხლებით განხილულ საქმეებზე და შესაფერისი დასკვნებიც გააკეთა.

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ თითქმის უგულებელყოფილი იყო მეტად ეფექტური პროფილაქტიკური მეთოდი — სასამართლოებში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა. ძალიან იშვიათად მიმართავდნენ სახალხო სასამართლოები პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებების ისეთ ნაცად ხერხსაც, როგორიცაა კერძო განჩინებები. მაშინაც კი, როცა გამოტანილია ასეთი განჩინება, იგი იმდენად არაფრისმთქმელია, რომ წარმოუდგენელია რაიმე შედეგი მოჰყვეს მას. ამაზე საკმაოდ მწვავედ ითქვა საქალაქო სასამართლოს გაფართოებულ ოპერატიულ თათბირზე, რომელსაც სახალხო მოსამართლეებიც ესწრებოდნენ.

გასულ წელს საქალაქო სასამართლომ შეისწავლა და განაზოგადა აგრეთვე ხულიგნობის საქმეთა სასამართლო პრაქტიკა. გამოირკვა, რომ ამ მხრივ გაწეული მუშაობა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. ზოგიერთი რაიონის სახალხო სასამართლოში მართლაც შეუწყნარებლად დაბალია ამ კატეგორიის საქმეთა დასჯითი პრაქტიკა, ხოლო პროფილაქტიკურ მუშაობაზე საერთოდ ლაპარაკიც არ შეიძლება.

სასამართლო პრაქტიკაში ვერ აღმოვაჩინეთ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით მსჯავრდებული ადრე ნასამართლევი პირები, რომელთაც მაქსიმალური ან მაქსიმალურთან მიახლოებული სასჯელები დაენიშნათ. ამას კი მართლაც ეფექტური გამაფრთხილებელი მნიშვნელობა ექნებოდა იმათთვის, ვისაც ჯიუტად არ სურს დაადგეს გამოსწორების გზას. დამნაშავის წარსულის გაუთვალისწინებლობა კი იწვევს არაერთგვაროვანი დასჯითი პრაქტიკის დამკვიდრებას, რასაც გამართლება არ მოეძებნება.

აი მაგალითებიც:

ვინმე მ. ასოიანს, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მეორე და 228-ე მუხლის მეორე ნაწილებით, თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა 8 წელი და 6 თვე. ამავე სასამართლოში, სულ ორიოდე თვის შემდეგ, ნასამართლობის არმქონე ვ. ბალიკას სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით 4 წლით აღეკვეთა თავისუფლება.

კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით მრავალგზის ნასამართლევ ხ. მარღიშვილს სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით სამი წლითა და სამი თვით პატიმრობა მიეესაჯა, ხოლო იგივე სასამართლომ იმავდროულად ვ. ალესკანოვს, რომელსაც მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, წარსულიც არაფრით აქვს შებღალული, სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით სამი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

განზოგადებამ ისიც გამოავლინა, რომ ხულიგნობის არც ერთი საქმე გამსვლელ სხდომაზე არ განუხილავთ პირველი მაისის, 26 კომისრის, კიროვის, ოქტომბრის, კალინინისა და საქარხნო რაიონების სახალხო სასამართლოებს.

ამ დარღვევებსა და ზოგიერთ სხვა გარემოებებზე მკაცრად ვიმსჯელეთ გაფართოებულ ოპერატიულ თათბირზე და სათანადო ინფორმაცია გადავუგზავნეთ საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიონულ კომიტეტს.

როგორც ცნობილია, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებებზე მიღებულმა დადგენილებებმა ახალი ამოცანების წინაშე დააყენა სამართალდამცავი ორგანოები. პარტიისა და მთავრობის ამ სადირექტივო მოთხოვნილებათა საფუძველზე საქალაქო სასამართლომ შეისწავლა სასამართლო პრაქტიკა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის, წვრილმანი სპეკულაციის და ზოგიერთი სხვა კატეგორიების საქმეებზე.

3. „საბჭოთა სამართალი", № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო პრაქტიკამ მეტად სავალალო ფაქტები გამოავლინა. ზოგიერთ საწარმოში როგორღაც ტრადიციად იქცა დაუსჯელობა და დამნაშავენიც ყველას თვალწინ, სრულიად აშკარად, მოურიდებლად იტაცებდნენ სოციალისტურ საკუთრებას. შექმნილმა გარემოებამ გვიკარნახა და განვაზოგადეთ სისხლის სამართლის საქმეები 1982-1986 წლებში თბილისის ფეხსაცმელების საწარმოო გაერთიანება „ისანში" ჩადენილ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ და თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილეს.

გამოირკვა, რომ გაერთიანების ძირითად საწარმოში და მის ფილიალებში არასათანადოდ იცავენ მატერიალურ ფასეულობას, თითქმის სისტემატური ხასიათი აქვს აქ უყაირათობას, დაუდევრობასა და უკონტროლობას. სწორედ ამან განაპირობა სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება (ა. ტურაბაზოვა, თ. ბირკაძე, რ. უღრელიძე) და ქურდობა (ა. აღდგომელაშვილი) ამ საწარმოში რომ მოხდა. ალბათ თავის ადგილას რომ ყოფილიყვნენ არასაუწყებო დაცვის მუშაკები ეს სამარცხვინო ფაქტები არ იქნებოდა.

მექრთამეობის საქმეებიდან, რომელიც უშრომელი შემოსავლის ერთ-ერთი სახეა, სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე მეტად ქრთამის მიცემაში წაქეზების შემთხვევები გვხვდება. მექრთამეობისათვის მსჯავრდებულთა დაახლოებით სამი მეოთხედი წამქეზებელია.

აი ტიპური მაგალითიც, ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს პრაქტიკიდან:

ვინმე შალიკაძეს, რომელიც არავითარ სასარგებლო შრომას არ ეწეოდა, ბრალი იმაში დაედო, რომ სხვა დამნაშავე პირებთან ერთად ქრთამის მიცემაში წაქეზების გზით 14 მოქალაქეს გამოსტყუა 81 065 მანეთი.

ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს აგრეთვე ერთ-ერთი მექანიზებული კოლონის კადრების უფროსი ინსპექტორი გ. კოპლამაზაშვილი, რომელსაც 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ დასდო მსჯავრი.

მექრთამეობის საქმეთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად წარმართავენ ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და თითქმის არ აქვთ ლმობიერი განაჩენების დადგენის ფაქტები.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სპეკულაციის საქმეთა სტატისტიკა, რადგან მონაცემები ამ მხრივ მეტად დამაფიქრებელია. სპეკულაცია ქ. თბილისში მართლაც კატასტროფულად იზრდება და რა თქმა უნდა, შესაბამისად მატულობს ამ კატეგორიის დანაშაულთა ხვედრითი წილიც. საქმეთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სპეკულაციისათვის მსჯავრდებული ყოველი მეხუთე პირი დაუსაქმებელია, ხოლო ყოველი მეათე ნასამართლევი. ნიშანდობლივია ისიც, რომ სპეკულაციისათვის მსჯავრდებულთა 14 პროცენტი პენსიონერია, პასუხისგებაში მიცემულთა 60 პროცენტი მცირე ოდენობით სპეკულაციისათვის არის გასამართლებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით სპეკულაციისათვის გასამართლებულია მხოლოდ 7,7 პროცენტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სათანადო ბრძოლა არ წარმოებს ამ დანაშაულის წინააღმდეგ, დაბალია მისი პროფილაქტიკა და გამოვლენა. აღსანიშნავია ისიც, რომ წინასწარი გამოძიება და სასამართლო ნაკლებად ზრუნავენ სასპეკულაციო საქონლის შეძენის წყაროთა დადგენისათვის, არ არკვევენ თუ ვინ ამარაგებს პენსიონერებსა და ხანდაზმულ პირებს სასპეკულაციო საქონლით.

უშრომელი შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა აგრეთვე წვრილმანი სპეკულაცია და საქალაქო სასამართლომ ასეთი 79 საქმე შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ აქ სპეკულაციის საგანი უმეტესად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებია, რასაც საკოლმეურნეო ბაზრებსა და ქუჩებში ჰყიდიან. ძირითადი ნაკლი აქაც ის არის, რომ არ ადგენენ საქონლის შეძენის წყაროს, რის გამოც ხშირად არასწორად ხდება დანაშაულის კვალიფიკაცია. (მაგალითად გ. გუჩაევის საქმე კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოში).

შევისწავლეთ რა მოკლევადიანი სასჯელების გამოყენების პრაქტიკა (სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა), ყურადღება გავამახვილეთ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვაზე, განსაკუთრებით კი იმ გარემოებათა სწორად გათვალისწინებაზე, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ დამნაშავის პასუხისმგებლობას. მართლაცდა, ამ ფაქტორებზე ხომ მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სასამართლოს მთლიანი მოღვაწეობა, მისი კულტურა, პოლიტიკური და პროფესიული თვალსაწიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორი დასჯითი პოლიტიკის გატარების მიზნით საქალაქო სასამართლო ზედამხედველობას უწევს რა თბილისის რაიონების სახალხო სასამართლოებს, ადგენს მათზე ყოველკვარტალურ ანგარიშებს, სწავლობს საკასაციო და საზედამხედველო წესით გასაჩივრებულ საქმეებს და ცალკეული კატეგორიების დანაშაულობებს.

გასული წლის სამუშაო გეგმის თანახმად განვაზოგადეთ აგრეთვე პირობითი მსჯავრდების (სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლი) გამოყენების პრაქტიკა სახალხო სასამართლოებში.

პრაქტიკის შესწავლით გამოვლენილ ნაკლოვანებათა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს განაჩენთა აღსასრულებლად მიქცევის დაგვიანება. როგორც გამოირკვა, სასამართლოები თითქმის არ ამოწმებენ იმას, მიიღეს თუ არა შინაგან საქმეთა ორგანოებმა განაჩენის ასლი, ან შეუდგნენ თუ არა ისინი პირობით მსჯავრდებულ პირებზე ზედამხედველობის განხორციელებას. ზოგიერთი სასამართლო პირობით მსჯავრდებულს საერთოდ არ განუმარტავს სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის შინაარსს, კანონით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს და ა. შ.

საქალაქო სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა, რომ სახალხო სასამართლოებმა არსებითად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა პირობითი მსჯავრის სწორად გამოყენების საქმეში, განზოგადების შედეგები მკაცრად განიხილა გაფართოებულ ოპერატიულ თათბირზე და მასალები გაუგზავნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გასულ წელს ჩატარებულმა მუშაობამ, კერძოდ კი სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ და განზოგადებამ, ბევრი რამ მოგვცა საგულისხმო და სასარგებლო. მართალია, გარკვეული მუშაობაა ჩატარებული, მაგრამ ქალაქში შექმნილი დღევანდელი ოპერატიული ვითარება იმასაც მოითხოვს, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ იგი, შევიმუშავოთ პრაქტიკული და ოპტიმალური რეკომენდაციები, დროულად გადავუგზავნოთ ისინი შესაბამის ორგანოებს და სისტემატურად ვადევნოთ თვალყური მათ აუცილებელ შესრულებას, იმას თუ რა შედეგი გამოიღო მან, რა არის საჭირო მუშაობის სტილისა და მეთოდების დახვეწისათვის, იმისათვის, რომ არსად და არასოდეს ირღვეოდეს კანონი, რომ ჩვენი მუშაობა ყოველმხრივ უპასუხებდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 28 იანვრის დადგენილებას „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ".

თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლექტივს შეგნებული აქვს სამართალდაცვითი ორგანოების წინაშე მდგომი სადღეისო ამოცანები და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კვლავაც მკვიდრდებოდეს ერთიანი, სწორი და კანონიერი სასამართლო პრაქტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიცვათ და განვამტკიცოთ ფასების სახელმწიფო დისციპლინა

მამია მეჯრელიშვილი,
საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა გულახდილობითა და ბოლშევიკური პრინციპულობით გააანალიზა და განაზოგადა სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილება, დადებითი შედეგები და არსებული პრობლემები.

პლენუმზე და პლენუმის შემდგომ პერიოდში, კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ამოცანის განხორციელების აუცილებელი პირობაა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, რაც ნიშნავს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას, მის შემდგომ დაჩქარებას და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას.

ფასების სისტემა კი სამეურნეო მექანიზმის ორგანული შემადგენელი ნაწილია. გეგმიანი ფასი თავისი ბუნებით რთული ეკონომიკური კატეგორიაა, რადგან მას ერთდროულად რამდენიმე ფუნქცია ეკისრება, ესაა: წარმოების დანახარჯების აღრიცხვა, შრომისა და მატერიალური დანახარჯების შემცირების სტიმულირება, მაღალმწარმოებლური ტექნიკისა და გაუმჯობესებული სამომხმარებლო თვისებების მქონე თანამედროვე მოხმარების საქონლის წარმოების სტიმულირება, ეროვნული შემოსავლის გადანაწილება, საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფა. ამ ფუნქციების ღრმად შეცნობასა და სამეურნეო პრაქტიკაში სწორად გამოყენებაზე ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ეფექტიანობა.

ფასებისა და ფასწარმოქმნის სრულყოფის აქტუალობა განსაკუთრებით გაიზარდა დღევანდელ ეტაპზე. სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა, რომ „ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტიური ინსტრუმენტი უნდა გახდეს ფასები. გეგმაზომიერად უნდა გარდავქმნათ ფასების სისტემა, როგორც ერთი, მთლიანი, ქმედითი სამეურნეო ანგარიშის მოგვარების ინტერესებისათვის და მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდების ამოცანათა შესაბამისად. ფასებს უნდა მივანიჭოთ მეტი მოქნილობა, დავუკავშიროთ მათი დონე არა მარტო დანახარჯებს, არამედ აგრეთვე საქონლის სამომხმარებლო თვისებებს, ნაწარმის ეფექტიანობას, საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან და მოსახლეობის მოთხოვნასთან წარმოებული პროდუქტის შეწონასწორების დონეს. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სალიმიტო და სახელშეკრულებო ფასები“[1].

ფასების სისტემის გარდაქმნის დარგში ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ფასწარმოქმნის სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც ფასების დარგში პარტიისა და სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის უშუალო გამტარებლები არიან. სწორედ იმან, რომ ღრმად შეიცნონ ქვეყნის განვითარების დღევანდელი ეტაპის მოთხოვნები, სწორად განაზოგადონ ფასწარმოქმნის არსებული პრაქტიკის დადებითი შედეგები და სიძნელეები, დასახონ ამ სფეროში მომწიფებული პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები, უნდა განსაზღვროს ის, თუ როგორი იქნება უახლოეს მომავალში ფასების სისტემა, რა წვლილს შეიტანს იგი დაჩქარების სტრატეგიის რეალიზაციაში, ხალხის ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებაში.

ბოლო წლებში კიდევ უფრო დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა ფასების დაწესების მეთოდები, გაფართოვდა ფასების დამტკიცებაში ფასწარმოქმნის ადგილობრივი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების უფლებები. 1987 წლის 1

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვრიდან მსუბუქი მრეწველობის გაერთიანებებსა და საწარმოებს შეუძლიათ დამოუკიდებლად დააწესონ ფასწანამატები ახალ, გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციაზე. ეს კი ხელს შეუწყობს ფასების დამტკიცების ვადების შემცირებას და მკვეთრად შეამცირებს პროდუქციის მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მიტანის გზას.

1987 წლის პირველ იანვრამდე მწარმოებლებს სახელშეკრულებო ფასით გასაყიდი საქონლის მოცულობაზე გარკვეული შეზღუდვები უწესდებოდათ და იგი ამ საქონლის ფასის მიხედვით იყო დიფერენცირებული. ამჟამად, ეს შეზღუდვები მოხსნილია, რაც ცხადია, გააფართოვებს ახალი, განსაკუთრებით მოდური საქონლით მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების მოქნილად და ოპერატიულად დაკმაყოფილების შესაძლებლობებს.

გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ჩვენს რესპუბლიკაში ფასწარმოქმნის პრაქტიკის სრულყოფისათვის. გაფართოვდა ფასწარმოქმნის ადგილობრივი ორგანოების უფლებები, უფრო ოპერატიული გახდა ფასებისა და ტარიფების დამტკიცება, შემცირდა საამისოდ წარმოსადგენი მასალებისა და დოკუმენტების ოდენობა, გავითვალისწინეთ რა მოსახლეობის წინადადებები, დავამრგვალეთ ფასები პურპროდუქტებზე და ა. შ.

მაგრამ ყველაფერი რაც დღემდე გაკეთდა მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი ცვლილებებისა, რაც პარტიამ დაგვისახა ფასწარმოქმნისა და ფასების დარგში.

სწორედ ფასების სისტემის გარდაქმნის პრობლემები და ამოცანები გახდა საქმიანი მსჯელობის საგანი სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც 1987 წლის 10 თებერვალს გაიმართა. კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ს. პავლოვმა ყოველმხრივ გააანალიზა ქვეყანაში ფასების სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა და მისი ძირითადი მიმართულებები. სწორედ ამ გარდაქმნის შედეგი უნდა იყოს ფასების ხარჯთსაწინააღმდეგო სისტემის შექმნა, რომელიც სხვა ღონისძიებებთან ერთად უზრუნველყოფს საწარმოთა და გაერთიანებათა გადასვლას სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე. გარდაქმნის ეს მიმართულებები სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე ამგვარად ჩამოყალიბდა:

სახალხო მეურნეობაში ფასების და ტარიფების სისტემის მთლიანი გარდაქმნა;

ფასების დაწესების მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის სრულყოფა;

სახალხო მეურნეობაში ფასებისა და მომსახურების ტარიფების დამტკიცების წესის სრულყოფა;

ფასების სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება და სახალხო მეურნეობაში ფასების დაცვის დისციპლინის კონტროლის გაუმჯობესება;

ფასწარმოქმნის ორგანოების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა;

შემუშავდა აგრეთვე ამ მიმართულებათა პრაქტიკული რეალიზაციის ღონისძიებათა სისტემა.

საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და ფასწარმოქმნის ადგილობრივი ორგანოების წინაშე მდგარი ამოცანები, გამომდინარე სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის გაფართოებული სხდომის შედეგებიდან, განიხილა რესპუბლიკის ფასების სახელმწიფო კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ. მიღებულ დადგენილებაში დაკონკრეტდა ფასწარმოქმნისა და ფასების სისტემის გარდაქმნის ამოცანები რესპუბლიკის სპეციფიკის გათვალისწინებით და დაისახა მათი გადაწყვეტის კონკრეტული გზები და ვადები.

ამ ამოცანათა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რესპუბლიკის ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ მრეწველობასა და ტრანსპორტზე საბითუმო ფასებისა და ტარიფების გადასინჯვის მოსამზადებელი სამუშაოების დროულად და ხარისხოვნად ჩატარება.

ჩვენი ორგანოების მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო უბანია ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვა, მასზე ქმედითი და ეფექტიანი კონტროლის განხორციელება. ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვა ყოველთვის იყო ჩვენი ყურადღების ობიექტი, მაგრამ დღევანდელი ვითარება ამ საკითხს სულ სხვაგვარად და ახლებურად წყვეტს. სამეურნეო მექანიზმი და კერძოდ ფასწარმოქმნის სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, მნიშვნელოვნად აფართოებს ადგილებზე ფასების დარგში მუშაობის მასშტაბებს. ბევრი ფუნქცია რაც დღემდე ფასწარმოქმნის ორგანოების კომპეტენცია იყო, თანდათანობით გადადის უშუალოდ სამინისტროებში, საწარმოებსა და გაერთიანებებში. ეს კი ცხადია, ხელს შეუწყობს ფასწარმოქმნის ორგანოების გაძლიერებას ადგილებზე, გააუმჯობესებს საწარმოთა და ორგანიზაციათა ფასების სამსახურების მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ ფასების დასაბუთება და მათი დადგენა რთული ეკონომიკური სამუშაოა. იგი მოითხოვს წარმოების ეკონომიკის, აღრიცხვის, სამეურნეო საქმიანობის ანალიზის, წარმოების ტექნოლოგიისა და სხვა მრავალი საკითხის ღრმა ცოდნას, მაღალ კვალიფიკაციას. ისიც ფაქტია, რომ რესპუბლიკაში ამ დარგის სპეციალისტების მომზადება ჯერჯერობით არ ხდება. ამიტომ ფასწარმოქმნის დარგში მუშაობენ ეკონომიკისა და სხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც პრაქტიკული მუშაობის პროცესში იძენენ გამოცდილებას, იმაღლებენ კვალიფიკაციას. ალბათ ამითაცაა განპირობებული, რომ ჯერ კიდევ ხშირია შეცდომები ფასების დასაბუთებასა თუ გამოყენებაში.

სამწუხაროდ, ისიც ფაქტია, რომ ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი საწარმოს მუშაობის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით წარმოადგენს ხოლმე ხელოვნურად გადიდებულ პროექტებს, ან არღვევს საპრეისკურანტო ფასების გამოყენების წესს. ამგვარი გზით ცდილობენ ისინი მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების მოჩვენებით ამაღლებას, წარმოების მოცულობის მაჩვენებლის გაზრდას, მოგების გადიდებას და აქედან გამომდინარე უპირატესობების დაუმსახურებელ მიღებას. ეს კი ხელს უშლის წარმოების განვითარებას, გზას უხსნის მომხმარებლურ, სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილებას, უხეშად არღვევს შრომის მიხედვით განაწილების პრინციპს, მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებს ქვეყანას.

ეს მანკიერი პრაქტიკა მკაცრად დაგმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმმა. „სამწუხაროდ, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოები — თქვა ამ პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა — ხშირად თვითონ არიან დაინტერესებული ფასების „თამაშის" გზით წარმოების მოცულობის გადიდებით... მინდა, ამხანაგებო, გაგაფრთხილოთ: ეს მეტად საშიში სენია. ფასების ხელოვნურად გადიდება ვერ კურნავს ეკონომიკურ სენს, არამედ მხოლოდ ხრწნის მუშაკებს, აფერხებს ტექნიკურ პროგრესს. გადიდებული ფასები, რომლებსაც საფუძვლად უდევს ხარჯვითი მიდგომა, ფარავს ნაკლოვანებებს წარმოების ტექნოლოგიასა და ორგანიზაციაში, წარმოშობს აგდებულ დამოკიდებულებას მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მეთოდების ძიებისადმი"[2].

იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გააქტიურდა ფასწარმოქმნის ორგანოების საკონტროლო მუშაობა, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევები აქ ჯერ კიდევ დიდია. გასულ წელს რესპუბლიკის ფასწარმოქმნის ორგანოებმა შეამოწმეს 224 სამრეწველო საწარმო, საიდანაც 143 საწარმოში (63 პროცენტი) აღმოჩნდა ფასების დისციპლინის დარღვევები. ფასწარმოქმნის ორგანოებისა და საზოგადოებრივი კომისიების მიერ შემოწმებულ საწარმოთა შორის ფასების დისციპლინის დამრღვევთა ხვედრითი წილი დარგების მიხედვით ასეთია: ვაჭრობის სისტემაში 27,9 პროცენტი, მათ შორის სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში — 33 პროცენტი, ცეკავშირის სისტემაში 23,5 პროცენტი; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დარღვევები გამოვლინდა შემოწმებული საწარმოებისა და ორგანიზაციების 21,4 პროცენტში; დამრღვევ ორგანიზაციათა რიცხვი კიდევ უფრო მაღალი იყო კომუნალური მეურნეობის სისტემაში, სადაც მან 36,5 პროცენტი შეადგინა.

ამ დარღვევების გამო რესპუბლიკაში შემოწმებული საწარმოებიდან, გაერთიანებებიდან და ორგანიზაციებიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გასულ წელს ამოღებული იყო 3967,2 ათასი მანეთი. როგორც მაკონტროლებელმა ორგანომ, მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჩვენ ახლავე უნდა გავიაზროთ მსგავსი მოსალოდნელი დარღვევების შესაძლებლობა და წინასწარ დავამუშაოთ მათი აღკვეთის ეფექტიანი მეთოდები. აქ უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსულის გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას, იმის გაანალიზებას, თუ რა სახის დარღვევებია ყველაზე უფრო გავრცელებული, როგორია მათი სპეციფიკა დარგებისა და სფეროების მიხედვით, რა არის ამ დარღვევათა გამომწვევი ძირითადი მიზეზები და ა. შ.

სპეციფიკური თავისებურებების მიუხედავად, რომელიც ფასების სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს ახასიათებს, ცალკე უნდა გამოიყოს ყველა დარგისათვის საერთო ოთხი ძირითადი მომენტი, რომლის გარეშეც არასრულყოფილი იქნება ფასების დისციპლინის მდგომარეობის შეფასება. ესაა: ფასების დამტკიცების კანონიერება ფასწარმოქმნის ამა თუ იმ ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გათვალისწინებით, ფასების ეკონომიკური დასაბუთებულობა, ფასების გამოყენების სისწორე და საპრეისკურანტო მეურნეობის გაძღოლის წესი.

---

[2] გაზეთი „კომუნისტი", 1986 წ., 17 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასების სახელმწიფო დისციპლინის შემოწმება იმით უნდა დაიწყოს, რომ დადგინდეს თუ რამდენად კანონიერია ამა თუ იმ პროდუქციის რეალიზაციის ან მომსახურების ფასი. თუ ფასის დამტკიცება ფასწარმოქმნის რომელიმე ორგანოს კომპეტენციაა, მაგრამ იგი ფაქტიურად საწარმოს დირექტორმა დაამტკიცა, ასეთი ფასი არაკანონიერად უნდა ჩაითვალოს და დაუყოვნებლივ გაუქმდეს. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები პრაქტიკაში საკმაოდ გვაქვს, მაგრამ მაინც ფასების სახელმწიფო კომიტეტი და ფასწარმოქმნის ადგილობრივი ორგანოები სათანადო რეაგირებას ახდენენ პროფილაქტიკური საშუალებებით ან ეკონომიკური სანქციებით.

ფასების დისციპლინის უხეში დარღვევაა დადგენილი წესით დაუმტკიცებელი ფასებისა და ტარიფების გამოყენება საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ასეთ დარღვევებს ადგილი ექმნება ქ. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში. ძალიან დიდხანს აქ ექსპრეს-ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანისათვის დაწესებული იყო თვითნებური ფასები 30 კაპიკიდან 45 კაპიკამდე. საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით 1986 წლის 15 დეკემბრიდან ასეთი მგზავრობისათვის ძალაში შევიდა ახალი ტარიფი და ბილეთის ფასი 20 კაპიკით განისაზღვრა. ამავე დროს გატარდა ეკონომიკური სანქცია და დაუმტკიცებელი ტარიფების გამოყენებისათვის თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების შემოსავლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებულ იქნა 600 ათასი მანეთი.

ფასების სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა საპრეისკურანტო ფასების არასწორად გამოყენება. ასეთ დროს დამრღვევი საწარმო უკანონო შემოსავალს იღებს ან ზარალს აყენებს თავის თავს.

რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის საკონსერვო მრეწველობის აპარატის კომბინატმა გასულ წელს საცალო ფასის დარღვევით ზედმეტად მიიღო 32 ათასი მანეთი. ამავე დროს, გამოიყენა რა გადიდებული სავაჭრო დათმობა, განიცადა 2 ათასი მანეთის ზარალი. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს თბილისის კომბინატმა ფუტკრის სკისათვის დამტკიცებული ფასი 25 მანეთი თვითნებურად გაზარდა 34 მანეთსა და 80 კაპიკამდე. ამ გზით მან უკანონოდ მიითვისა 16,5 ათასი მანეთი. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წალენჯიხის რაიონულმა საწარმოო კომბინატმა ზეწრის ფასი — 4 მანეთი და 90 კაპიკი შეცვალა 6 მანეთითა და 50 კაპიკით, რითაც ზედმეტად 42,5 ათასი მანეთი მიითვისა. ასეთი მაგალითები სხვაც ბევრი გვაქვს. ფასწარმოქმნის ორგანოები მარტო დარღვევების გამოვლენითა და შესაბამისი სანქციების გატარებით კი არ უნდა დაკმაყოფილდნენ, არამედ საჭიროა ყოველმხრივ გააანალიზონ დარღვევათა ფაქტები, გააკეთონ სათანადო ანალიზი, შეიმუშაონ ამ დარღვევების მაქსიმალურად შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა სისტემა და ა. შ. საამისოდ კი აუცილებელია კარგად მომზადებული ინფორმაციული მასალა ფასების დისციპლინის დარღვევებზე. მართლაც, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა ჩვენს ქვეყანაში პირველმა დაიწყო ყოველკვარტალური ინფორმაციის გამოშვება. ეს გამოცდილება უკვე გაიზიარა ზოგიერთმა სხვა რესპუბლიკამაც. ინფორმაციაში, რომელიც რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ეგზავნებათ, როგორც წესი ქვეყნდება მონაცემები გასულ კვარტალში დამტკიცებული ახალი ფასებისა და ტარიფების შესახებ. აქ ფართოდ არის გაშუქებული აგრეთვე ფასების დარგში კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები, დასახელებულია დამრღვევი საწარმო და სამინისტრო, ნაჩვენებია დარღვევის ხასიათი და გატარებული ეკონომიკური სანქციები. ასეთი ინფორმაცია კარგია არა მარტო ფასწარმოქმნის ორგანოებისათვის, არამედ სამინისტროების, უწყებების და სხვა ზემდგომი ორგანოებისათვის, რომლებსაც საშუალება ეძლევათ თვალყური ადევნონ ფასების დისციპლინას თავიანთზე დაქვემდებარებულ ობიექტებში, მთლიანად რესპუბლიკაში.

ფასების დისციპლინის დარღვევის საკმაოდ გავრცელებული სახეა აგრეთვე ფასებისა და ტარიფების ეკონომიკურად დაუსაბუთებელი, გადიდებული პროექტების წარმოდგენა ფასწარმოქმნის ორგანოებში დასამტკიცებლად. სამწუხაროდ ასეთი დარღვევა ზოგჯერ შეცდომით კი არა, შეგნებულად ხდება. ასეთ დროს ფასების სახელმწიფო კომიტეტი მკაცრ ზომებს მიმართავს და დარღვევის ფაქტი აღინიშნება ყოველკვარტალურ ინფორმაციაში, მის შესახებ დაუყოვნებლივ ეგზავნება შეტყობინება შესაბამის სამინისტროს და პარტიის რაიონულ კომიტეტს. ასეთმა პრაქტიკამ უკვე გამოიღო სასარგებლო შედეგი და რამდენადმე ამაღლდა სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა დასამტკიცებლად წარმოდგენილი ფასებისა და ტარიფების პროექტებზე. თუმცა, დარღვევები ჯერ მაინც საკმაოდ გვხვდება. აი, მაგალითებიც: თბილისის რეზინის ნაწარმის ქარხანამ კომიტეტში დასამტკიცებლად წარმოადგინა ავტომანქანა „ეიგულის“ ბოქსის საბითუმო და საცალო ფასების

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტები. მართალია, წარმოდგენილი საბითუმო ფასი 45 მანეთსა და 7 კაპიკს შეადგენდა, მაგრამ კომიტეტმა იგი 25 მანეთად დაამტკიცა, ხოლო საცალო ფასი 28 მანეთის ნაცვლად 19 მანეთითა და 70 კაპიკით განსაზღვრა.

მარნეულის ეთერზეთოვანი ნაწარმის ქარხანამ ვარდისფერ სურნელოვან წყალზე წარმოადგინა ნორმატიულ დონესთან შედარებით გადიდებული საბითუმო ფასის პროექტი 2 მანეთი და 50 კაპიკი. კომიტეტმა ორნახევარჯერ შეამცირა ფასი და 1 მანეთი დაამტკიცა. საერთოდ გასულ წელს კომიტეტმა 38 საწარმოს 61 ნაკეთობის ფასის პროექტის კორექტირება მოახდინა და ფასები შეამცირა.

როგორც წესი, ფასწარმოქმნის ორგანოები ფასების დამტკიცების დროს ეყრდნობიან სათანადო წესით დამტკიცებულ ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას, სადაც განსაზღვრულია მოთხოვნები პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებისა და ხარისხის შესახებ. აქედან გადახრა ნიშნავს არა მარტო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების, არამედ ფასების დისციპლინის დარღვევასაც. თუ ასეთი ფაქტები გამოვლინდა, ფასწარმოქმნის ორგანოები სახელმწიფო სტანდარტების ორგანოებთან ერთად სათანადო სანქციებს ანხორციელებენ, თვით პროდუქციის გამოშვების აკრძალვამდე და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის ამოღებამდე.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ფასების დასამტკიცებლად წარმოდგენილი ნიმუშ-ეტალონი საუკეთესოა, ხოლო მასობრივად გამოშვებული პროდუქცია უხარისხო. ასეთ ფაქტებს მკაცრ კონტროლს უწევს ფასების სახელმწიფო კომიტეტი და შემოწმებებს ატარებს როგორც საკუთარი ძალებით, ასევე სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან ერთად.

რესპუბლიკის ფასების სახელმწიფო კომიტეტის საკონტროლო მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპლექსურ შემოწმებას, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ ქალაქში, ან რაიონში განლაგებულ ყველა დარგის საწარმოსა და ორგანიზაციას. შედეგები განიხილება ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და პარტიის საქალაქო ან რაიონული კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც შემოწმებული ობიექტების ხელმძღვანელები და ეკონომიკური სამსახურის მუშაკებიც მონაწილეობენ. აქ საბოლოოდ ზუსტდება დარღვევების ფაქტები, მათი გამომწვევი მიზეზები, სათანადო სანქციები ტარდება ბრალეული პირების მიმართ და ა. შ. ასეთ შემოწმებებს ქმედითი პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს, იგი ხელს უწყობს სამეურნეო ხელმძღვანელებისა და ფასების დარგში მომუშავე სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

ფასების დისციპლინის დაცვისათვის, სახელმწიფო კონტროლთან ერთად, საჭიროა საზოგადოებრივი კონტროლიც. მისი განხორციელება კი კომპეტენტურ საზოგადოებრივ ორგანოებს ეკისრებათ. წამყვანი როლი ეკისრებათ საცალო ფასების, მომსახურების ტარიფებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიებს, რომლებიც სახალხო დეპუტატების საბჭოების საქალაქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან ფუნქციონირებენ. კომისიების შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, მრეწველობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალისტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიებს უმეტესად აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეები ხელმძღვანელობენ.

კომისიების მუშაობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი შეიმჩნევა. ბევრგან კომისიების საქმიანობა ზედაპირულია, ადგილებზე ჩატარებულ შემოწმებებს აკლიათ სიღრმე, მცირეა გამოვლენილ დარღვევათა რიცხვი და ზოგან ეს მუშაობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ფასების სახელმწიფო კომიტეტმა გასულ წელს შეისწავლა თბილისის გლდანის რაიონის, ქ. მარნეულის, ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების აღმასკომებთან არსებული საზოგადოებრივი კომისიების მუშაობა და მიიღო სათანადო დადგენილება, რომელიც რესპუბლიკის ყველა ქალაქს და რაიონს დაეგზავნა. თუ ჩვენი რეკომენდაციები პრაქტიკულად განხორციელდება და ცხოვრებაში დაინერგება, მაშინ კომისიების მუშაობაც გააქტიურდება და ფასების დისციპლინაც გაუმჯობესდება.

ფასების დისციპლინა სახელმწიფოებრივი დისციპლინის შემადგენელი ნაწილია და მისი განუხრელი დაცვა ფასწარმოქმნისა და სხვა საკონტროლო ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა საბჭოთა მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკული, შემტევი, უკომპრომისო

გელა ბერძენიშვილი

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარებისა და თითოეული საბჭოთა ადამიანის ყოველდღიური საქმიანობის გარდაქმნის სტრატეგიული კურსი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისაგან მოითხოვს მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას. „დინამიზმითა და ცვლილებებით აღსავსე ჩვენს დროში არსებითად იზრდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი“, — ხაზგასმით ითქვა პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში. „ახლა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ქმედითობას, — თქვა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა, — ცენტრალურ კომიტეტს ეს საშუალებანი მიაჩნია აღმშენებლობის ინსტრუმენტად, უწყებრიობასა და კუთხურობასთან შეუთავსებელი ზოგადპარტიული თვალსაზრისის გამომხატველად და ყოველივეს, რაც პრინციპული მოსაზრებებითა და საქმის გაუმჯობესების ინტერესებით არის ნაკარნახევი, პარტია კვლავაც დაუჭერს მხარს“. ამ დიდი ნდობისა და მხარდაჭერის საპასუხოდ გაშლილ უაღრესად პასუხსაგებ საქმიანობაში განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი პრესის ორგანიზატორული როლის განუხრელ ამაღლებას, რათა იგი იქცეს ხალხის, პარტიის აზრისა და ნების ჭეშმარიტ გამომხატველად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების საგანია პრესის ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა რესპუბლიკის პრესა უპასუხებდეს პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა მაღალ იდეალებს. ამ უაღრესად საპატიო და წმიდათაწმიდა საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადგილობრივ პრესას. გასული წლის დამლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად ხაშურის რაიონული გაზეთის „გამარჯვების გზის“ მუშაობის გარდაქმნაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში, სხვა კრიტიკულ შენიშვნებთან ერთად, ნათქვამი იყო, რომ „გაზეთის ფურცლებზე ჯეროვნად არ აისახება ნეგატიური მოვლენების, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა... პუბლიკაციებს აკლია სიმწვავე, სიახლის ალღო, საზოგადოებრივი ყღერადობა, ქმედითობა... რომ რაიონში ჯერ კიდევ არ შეესაბამება მოთხოვნებს უშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა — მოუკლეს თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულობების, სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის ფაქტების გამოვლენას". ყოველივე ეს და აღნიშნულ დადგენილებაში მოცემული სხვა სახელმძღვანელო მითითებები ცხადყოფენ თუ რა გაზრდილ ამოცანებს უსახავს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია რესპუბლიკის ადგილობრივი პრესის ორგანოებს სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, კერძომესაკუთრული ტენდენციების, უშრომელი შემოსავლის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ცხადია, ამ რთულსა და პასუხსაგებ საქმეს სათანადოდ ვერ გაუძღვება ძველებურად მოაზროვნე ჟურნალისტი, რომელიც ძნელად, ან საერთოდ ვერ ეგუება მუშაობის გარდაქმნის სადღეისო მოთხოვნებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა შრომის დისციპლინის განმტკიცების, უშრომელ შემოსავალთან და ლოთობასთან ბრძოლის შესახებ ქობულეთის რაიონული გაზეთის „ლენინელის" პარტიული პუბლიკაციების საკითხი და მოიწონა რედაქციის მუშაობა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით მისი საქმიანობის გარდაქმნისათვის, აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომი სწორად წარმართავს და მხარს უჭერს თავისი ბეჭდვითი ორგანოს აქტიურ მუშაობას.

რით დაიმსახურა ქობულეთის რაიონულმა გაზეთმა „ლენინელმა" (რედაქტორი რამინ აბულაძე) რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის ესოდენ მაღალი შეფასება?

„ლენინელის" გასული წლის ნომრების პუბლიკაციათა ანალიზი ცხადყოფს, თუ რა მოცულობის სამუშაო შეუსრულებია რედაქციის შემოქმედებით კოლექტივს რაიონის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფო დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის შემდგომი განმტკიცების იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის. 1986 წელს გამოსულ „ლენინელის" 156 ნომერში გამოქვეყნდა სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისადმი მიძღვნილი 200-ზე მეტი პუბლიკაცია. თუ ამ ციფრს რუბრიკებით: „გაზეთმა ამხილა, რა გაკეთდა", „ლენინელის" კრიტიკის შემდეგ", „ჩვენი გამოსვლის კვალდაკვალ", „მდგომარეობა გამოსწორდა — რა გაკეთდა კონკრეტულად" და „როცა პასუხმა არ დაგვაკმაყოფილა" გამოქვეყნებულ უამრავ მასალას დავუმატებთ, ნათლად დავინახავთ, რომ რედაქცია დიდ ყურადღებასა და ენერგიას უთმობს, ზოგადად რომ ვთქვათ, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჯერად, რედაქციის კოლექტივის სასახელოდ, რაოდენობა ხარისხსაც განსაზღვრავს, რადგან პუბლიკაციათა დიდი უმრავლესობა გამოირჩევა კონკრეტულობით, სიღრმით, კრიტიკულობით, პრინციპულობით, ჟანრული მრავალფეროვნებითა და მოქალაქეობრივი ჟღერადობით.

„ლენინელის" ფურცლებზე მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი აქტუალურმა რუბრიკებმა „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად", „წესრიგისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიმშვიდის სადარაჯოზე" (შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ტრადიციული გვერდი), „ადამიანი და კანონი", „არ დავინდოთ, ამოვძირკვოთ!", „წესრიგი ყველგან და ყველაფერში", „სიფხიზლე — ჩვენი ცხოვრების ნორმა", „დისციპლინა და კანონი —ერთი ყველასათვის!" „ძველს, დროგამოშმულს — უარი!", „ვებრძოლოთ კერძომესაკუთრულ ტენდენციებს!", „მოზარდებს — ყურადღების მაქსიმუმი", „უკომპრომისო ბრძოლა — ყოველგვარ ნეგატიურს", „უშრომელ შემოსავალს — დაუნდობელი ბრძოლა!", „გზებსა და გზაჯვარედინებზე", „ბუნების დაცვა ყველას ვალია", „სასამართლო ქრონიკა", „დანაშაულის კვალდაკვალ", „ჩვენი იურიდიული კონსულტაცია" და მრავალი სხვა.

რედაქციის კოლექტივს მეტად მჭიდრო, საქმიანი და მუდმივი კონტაქტი აქვს დამყარებული რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებთან. ეს უკანასკნელნი ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა თავიანთ რთულ და საპატიო საქმეში მთელი სისრულით გამოიყენონ პრესის ამოუწურავი საშუალებები ხალხის დარაზმვისათვის ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად, კეთილსასურველი საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და დამკვიდრების, ყველა პრობლემური საკითხის საჯაროდ გადაწყვეტისათვის. რაიონში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების ყველა სარეიდო ღონისძიების თანამონაწილეა „ლენინელი". სწორედ ამ გზით აღწევს გაზეთი ოპერატიულობასა და კონკრეტულობას, სამართლებრივ საკითხთა გაშუქების პროფესიულ დონეს.

„ლენინელის" საქმიანობაში ყველაზე დიდი წარმატებაა მისი საჯაროობა, რასაც პარტიის ქობულეთის რაიკომი (პირველი მდივანი შ. მესხიძე) ხელმძღვანელობს და წარმართავს. და საერთოდ, აქ საჯაროობა მუშაობის მუდმივმოქმედ პრინციპად არის ქცეული. მაგალითად, როცა პარტიის რაიონულ კომიტეტში თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებენ ადმინისტრაციული ორგანოების, წარმოება-დაწესებულებებისა თუ ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, აქ მაშინვე ისმება კითხვა, თუ რატომ არ არიან რაიონის მშრომელები ყოველივე ამის თაობაზე ინფორმირებულები, სათანადოდ რატომ არ იყენებენ საჯაროობის ისეთ ნაცად საშუალებას, როგორიც არის პრესა.

ხშირია აგრეთვე ისეთი შემთხვევაც, როცა გაზეთის მიერ პირველად წამოჭრილი ესა თუ ის საკითხი ან პრობლემა, შემდეგ პარტიის რაიონული კომიტეტის მსჯელობის საგანი გამხდარა და შესაბამისი ღონისძიებებიც დასახულა მათ გადასაჭრელად. ასე რომ, „ლენინელი" უკან კი არ მიჰყვება მოვლენებს, არამედ როგორც იტყვიან, რაიონის სისხლსავსე ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და უყურადღებოდ, რეაგირების გარეშე არ ტოვებს არც ერთ მტკივნეულ საკითხს. ამიტომ არის, რომ გასულ წელს რედაქციამ მკითხველთა თითქმის 2 ათასამდე წერილი მიიღო. მათში, როგორც სარკეში, უტყუარად აისახა რაიონის ცხოვრების ავ-კარგი, ყველაფერი ის, თუ რა უჭირთ და რა ულხინთ მშრომელებს, უბრალო ადამიანებს. რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი თავის სამოქმედო პროგრამასაც სწორედ ამ მდიდარი ინფორმაციის საფუძველზე გეგმავს და, უმეტეს შემთხვევაში სასურველ მიზანსაც აღწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით დაიმსახურა „ლენინელმა“ მკითხველთა ესოდენ დიდი ნდობა და ავტორიტეტი? უწინარესად, რაიონში გამოვლენილი თითოეული ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ კრიტიკული, შემტევი, უკომპრომისო ბრძოლით. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ გაზეთი მხოლოდ კრიტიკული გამოსვლებით როდი კმაყოფილდება, პირიქით, სწორედ ამის შემდეგ იბრძვის თავდადებით, რათა კრიტიკამ მიზანს მიაღწიოს და დადებითად გადაწყდეს მორიგი საკითხი. ხოლო მათ მიმართ, ვინც ყურად არ იღებს სამართლიან კრიტიკას, შენიშვნას ან მითითებას, გაზეთი გამორჩეულ პრინციპულობას იჩენს და მანამდე არ დასვამს წერტილს, ვიდრე კრიტიკით განაწყენებულები საჯაროდ არ აღიარებენ თავიანთ შეცდომებს და ყველაფერს არ იღონებენ მათ აღმოსაფხვრელად.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ხელმძღვანელებთან გამართულ შეხვედრაზე ჩვენი პარტიის ლიდერმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ „ღრმა, ჭეშმარიტად ძირეული ძვრები ხდება საზოგადოებაში. ისინი დიდი ძალებისა და ენერგიის დახარჯვას, ინიციატივას, საქმისადმი შემოქმედებითს მიდგომას, ინერტულობისა და უძრაობის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას, კადრების ფსიქოლოგიურ გარდაქმნას, ახალ აზროვნებას, მუშაობის ახალ სტილს მოითხოვენ. და აქ პრესას თავისი შესაძლებლობებით, სიახლისადმი, მოწინავისადმი თავისი მგრძნობიარობით, ისეთი მძლავრი ბერკეტის მპყრობელს, როგორიცაა კრიტიკა, საჯაროობა, საუკეთესო გამოცდილების პროპაგანდა, შეუძლია და კიდევაც უნდა გააკეთოს მეტი. გარდაქმნის პირობებში მუშაობის ცოცხალი გამოცდილების პროპაგანდა ჩვენთვის ახლა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. ახლის ნერგები ძნელად ხარობს. მათ ხშირად ახრჩობს უდისციპლინობის, უპასუხისმგებლობის, უინიციატივობის „სარეველა“. ამავე დროს კი ახლის ნერგებისათვის პროპაგანდის საშუალებები, პირდაპირ ვთქვათ, დიდად არ ზრუნავენ“.

„ლენინელის“ შემოქმედებითი კოლექტივი დაუღალავად ეძიებს მკითხველთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების ახალ მეთოდებსა და გზებს, რადგან მოძველებული, მომაბეზრებელი სტერეოტიპებით აზროვნებას ყავლი გაუვიდა და მკითხველიც გულგრილი რჩება, თუნდაც საკითხი აქტუალური იყოს. რედაქცია ახლა ერთი უტყუარი პრინციპით მოქმედებს — კანონი ყველასათვის ერთია. თუ ვინმეს ადრე რაღაც „პრივილეგია“ ჰქონდა და ასე ვთქვათ, „ხელშეუხებელი“ იყო, ახლა ასეთებს გაზეთი საჯაროდ აკრიტიკებს და მათ გვარებს განსხვავებული შრიფტითაც კი გამოჰყოფს ხოლმე, რათა მკითხველს ადვილად ეცეს თვალში. ერთი სიტყვით, „ლენინელი“ პრაქტიკულად იბრძვის სოციალური თანასწორობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ამიტომაც არის, რომ რაიონის მკითხველს სწამს და სჯერა მისი.

გაზეთი ჩვეული პრინციპულობითა და უკომპრომისოდ სამარცხვინო ბოძზე აკრავს და საზოგადოებრიობის საყურადღებოზე გამოჰყავს ისეთი სოციალურად საშიში დამნაშავენი, როგორებიც არიან მომხვეჭელები და გამომძალველები, უშრომელი შემოსავლისა და იოლად გამდიდრების მოტრფიალენი, სპეკულანტები და ქურდები, ლოთები და ნარკომანები, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი და მუქთახორები... ამ ბოლო დროს რაიონში აქა-იქ თავი იჩინეს აზარტული თამაშების მოყვარულებმა. რედაქცია დროულად ამ-

ხედრდა ამ მავნე ჩვევის წინააღმდეგ, სისტემატურად აცნობს მკითველს მათ ვინაობას და აქვეყნებს ამ ნაძირალების ფოტოსურათებსაც. ასეთ ოპერატიული ღონისძიებების შედეგად მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა და, რაც მთავარია, საზოგადოება მათ მიმართ შეურიგებელი სულისკვეთებით განეწყო.

ქობულეთი საკავშირო და საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტია. აქ წელიწადის ნებისმიერ დროს ათასობით დამსვენებელი ჩამოდის. ამიტომ, აქაურ წესრიგის დამცველებს მუდამ განსაკუთრებული სიფხიზლე მართებთ, რათა თითოეულ დამსვენებელს შინაური გარემო და სანიმუშო მომსახურების პირობები შეუქმნან. ეს საკითხებიც გაზეთის მუდმივი ყურადღების სფეროშია და საზოგადოებრივი წესრიგის ყოველ დარღვევას მსჯელობის საგად აქცევს ხოლმე. გაზეთი ასეთივე შეურიგებლობით იბრძვის გარემოს გაბინძურებისა და ბუნების ხელყოფის ყოველი გამოვლენილი ფაქტის წინააღმდეგ.

„ლენინელის" შემოქმედებით კოლექტივს ღრმად აქვს შეგნებული, რომ მომხდარი დანაშაულის თაობაზე ატეხილი განგაში საქმის მხოლოდ ერთი მხარეა, მთავარი კი პროფილაქტიკა და დანაშაულის თავიდან აცილებაა. ამიტომ არის, რომ გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები, რომელთა ავტორები უმეტესად ავტორიტეტული, ხელმძღვანელი პირები არიან. ასეთ წერილებში მთავარი აქცენტი ჩვენი მომავალი თაობის ზნეობრივად ჩამოყალიბების პრობლემებზეა გამახვილებული. ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის სწორად და წარმატებით გადაჭრის საქმეში რედაქციას მხარში უდგას რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია, ახალგაზრდობის მთელი აქტივი. ერთობლივი ძალისხმევით ყველფერს აკეთებენ, რათა არც ერთი მოზარდი არ მოექცეს არაჯანსაღ გარემოში, მავნე გადმონაშთების გავლენის ქვეშ. ამ ღონისძიებების შედეგად უკანასკნელ ხანს რაიონში შესამჩნევად ამაღლდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი.

აჭარის ჟურნალისტთა XI ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში გაზეთ „ლენინელის" რედაქტორმა რამინ აბულაძემ აღნიშნა, რომ, მართალია, რედაქციის საქმიანობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა, მაგრამ „ამით თავს არ ვიმშვიდებთ, რადგან ვიცით, რომ ეს გაცილებით მეტს გვავალებს. გასაკეთებელი და გადასაწყვეტი კი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს". მართლაც, რედაქციის წინაშე ცოტა როდია ისეთი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა მომავლის საქმეა.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად პარტიული ხელმძღვანელობის სტილის გარდაქმნისათვის ხელვაჩაურის რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. აქ აღინიშნა, რომ „პარტიის ბათუმის საქალაქო, ქობულეთს, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს რაიონული კომიტეტების, საქალაქო და რაისაბჭოს აღმასკომების მიერ სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდის გაუმჯობესების საქმეში გაწეული მუშაობა ბიურომ ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად". ეს კრიტიკა, ცხადია, „ლენინელის" რედაქციასაც ეხება, რადგან გაზეთში ჯერ კიდევ სრულყოფილად არ შუქდება ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული იდეურ-პოლიტიკური მუშაობა მოუწევს გაზეთის შემოქმედებით ბრიგადას, რათა სათანადო პროპაგანდა გაუწიოს კანონს შრომითი კოლექტივების შესახებ. სამწუხაროა, რომ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი კანონი „ლენინელის“ ჯეროვანი ყურადღების მიღმა აღმოჩნდა. ასევე უკმარისობას გრძნობას ტოვებს სამართლებრივი საკითხების მეცნიერული პროპაგანდის დონეც. ვფიქრობ, ამ საკითხის მოგვარებისათვის რედაქციამ სათანადო კონტაქტი უნდა დაამყაროს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან.

სკკპ XXVII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა ადამიანის ფაქტორის შემდგომ აქტივიზაციის აუცილებლობა. ამ მოთხოვნის შესაბამისად გაზეთს აქვს სპეციალური რუბრიკა — „ადამიანის ფაქტორი — წინა პლანზე“, მაგრამ უნდა ითქვას, რომ რუბრიკა ჯერ სათანადოდ ვერ აღწევს თავის მიზანს, რადგან აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი მასალები მეტად არასაკმარისია.

პუბლიკაციათა ერთი ნაწილი, მართალია, კონკრეტული და საკმაოდ კრიტიკულია, მაგრამ მოკლებულია სათანადო პროფესიულ ანალიზსა და დასკვნებს.

ზემოთ ითქვა, რომ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლისა და მკითხველთა დაინტერესებისათვის რედაქცია იყენებს ჟანრულ მრავალფეროვნებას. მართლაც, გასული წლის ნომრებში უხვად შეხვდებით სარედაქციო წერილებს, სტატიებს, ნარკვევებს, ინფორმაციებს, მაგრამ რატომღაც იშვიათად ან სრულებითაც ვერ იპოვით სამართალდარღვევების წინააღმდეგ ისეთ ნაცად და კარგად ნაწრთობ ჟანრებს, როგორიცაა ფელეტონი, ინტერვიუ, რეპორტაჟი, სატირა, კარიკატურა, იუმორი...

ცხადია, აქ გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნა არსებით ჩრდილს ვერ მიაყენებს გაზეთ „ლენინელის“ მიერ შესრულებულ დიდი მოცულობის სამუშაოს და იმედი გვაქვს, რომ რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი ამ საკითხებსაც დროულად მოაგვარებს. საერთოდ კი, რედაქციის ერთსულოვანი კოლექტივი მოწოდებულია აღებული ტემპი კიდევ უფრო განავითაროს, რათა თავისი საპატიო წვლილი შეიტანოს რაიონის სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული გაზრდილი ამოცანების შესრულების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიმიური ხსნარებით დამუშავებული და გაუფერულებული ტექსტების აღდგენა

ზაირა კოხრეიძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის საბუთების ტექნიკური გამოკვლევის ჯგუფის უფროსი

საგამოძიებო პრაქტიკაში ცნობილია გარეცხვით, ქიმიური დამუშავებითა თუ სხვა ხერხებით საბუთების ტექსტების გაუფერულების უამრავი შემთხვევა. ამიტომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი ტექსტების პირვანდელი სახით აღდგენას.

როგორც წესი, საკანცელარიო მელნით, პასტით, ავტოკალმითა და ფანქრით ნაწერი ტექსტების გასაუფერულებლად დამნაშავე პირები იყენებენ წყალს, სპირტს, ოდეკალონს, მჟავებს, ტუტეებს, დამჟანგველებს და აღმდგენელებს.

საბუთების ტექნიკური ექსპერტიზის პრაქტიკა ცხადყოფს, საბუთების გაყალბების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია საბუთების რეკვიზიტების გარეცხვა სხვადასხვა ქიმიური ხსნარებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის ყოფაცხოვრებაში ფართოდ გავრცელებული სინთეტიკური გამრეცხი საშუალებები, რადგან მათი შემადგენლობა შეიცავს აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც, სხვა ქიმიურ საშუალებებთან შედარებით, ტექსტების შტრიხებს საღებავ ნივთიერებებს ადვილად აშორებენ.

ქიმიური ხსნარებით დამუშავებული ტექსტების აღსადგენად კრიმინალისტურ ორგანიზაციებში მიმართავენ სხვადასხვა მეთოდს: ფიზიკურს, ქიმიურს და ფიზიკოქიმიურს.

გაუფერულებული ტექსტების ფიზიკური მეთოდებით აღდგენა დაფუძნებულია საბუთების მასალების თვისებაზე — შთანთქას (გაატაროს) ან გადატეხოს სპექტრის ხილული და უხილავი სხივები, დამოკიდებულია აგრეთვე საბუთების ლუმინისცენციის უნარზე. თუ დამუშავებული საბუთების კრიმინალისტური კვლევისას ფიზიკური მეთოდები უშედეგო გამოდგა, მიმართავენ ქიმიურ მეთოდებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქაღალდზე მომწამვლელი ქიმიური ხსნარების ნარჩენი იონების აღმოჩენას, რომლის საფუძველზე დგინდება ქიმიური ხსნარების ჯგუფი და ქიმიური დამუშავების ფაქტი.

როცა ვარაუდობენ, რომ ნაწერი ტექსტი დამუშავებულია, ექსპერტის წინაშე ისმება კითხვა: ნამდვილად დამუშავებულია თუ არა წარმოდგენილი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუთი და თუ დამუშავებულია, რა ეწერა თავდაპირველად. ასევე გასარკვევია, თუ რომელი ქიმიური ხსნარითაა დამუშავებული.

ქიმიური დამუშავების ფაქტის დადგენა შესაძლებელია შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

1. ქაღალდის ზედაპირის სტრუქტურის დაზიანება. ქაღალდი ხდება ფოროვანი, ჰიგროსკოპიული. გვერდიდან განათების დროს ჩანს ქიმიური ხსნარების ზემოქმედებით წარმოშობილი ლაქები. დამუშავებულ ადგილებზე გაკეთებულ ახალ ჩანაწერებში შეინიშნება საღებავი ნივთიერების არაბუნებრივი განრთხმა;

2. ქიმიური დამუშავების ადგილებზე იცვლება ქაღალდის ფერი და იგი ხდება უფრო ნათელი ან ყვითლდება;

3. ქაღალდის დაზიანება. ქიმიური ხსნარების მოქმედებით ქაღალდი ჩვარივით გადაიქცევა და მის ზედაპირზე ჩნდება ქსოვილის დასკდომის კვალი, რაც შეიმჩნევა გამჭოლ შუქზე საბუთის შესწავლისას;

4. საბუთის დამუშავებულ ადგილებზე ახალი ტექსტის შტრიხები ფერს იცვლის. მაგალითად, თუ ქიმიური დამუშავება კარგად არ არის შესრულებული, ახალი ჩანაწერის გაკეთების შემდეგ ქიმიური ხსნარები საღებავ ნივთიერებებთან შედიან რეაქციაში და ფერს უცვლიან მას;

5. საწყისი ჩანაწერი ტექსტის შტრიხების აღმოჩენა;

6. საბუთის დამუშავებული და დაუმუშავებელი ზედაპირების ლუმინისცენციის ფერთა სხვაობა;

7. საბუთის დამუშავების ადგილებში მჟავა ან ტუტე არეს არსებობა (კვლევა ხდება ინდიკატორის ქაღალდით);

8. საბუთზე მომწამლავი ქიმიური ხსნარების ნარჩენი იონების აღმოჩენა, რაც ხდება წვეთობრივი რეაქციების საშუალებით, აგრეთვე მიკროკრისტალოსკოპური ანალიზით.

ზემოთ აღნიშნული ნიშანთვისებების აღმოჩენის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ესა თუ ის საბუთი ექვემდებარებოდა ქიმიურ დამუშავებას.

სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საბუთების ტექნიკური გამოკვლევების განყოფილებაში უკანასკნელ ხანს ქიმიური ხსნარებით დამუშავებული და გაუფერულებული ტექსტების აღდგენის მიზნით მრავალი ექსპერტიზა ჩატარდა. ყველას აღწერა, ცხადია, შეუძლებელია, მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს: ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო სასამართლომ კრიმინალისტური გამოკვლევისათვის წარმოგვიდგინა ქორწინების მოწმობა. ექსპერტიზას პასუხი უნდა გაეცა ორი ძირითადი კითხვისათვის:

1. სადაო ქორწინების მოწმობა იყო თუ არა ქიმიურად დამუშავებული და, თუ იყო, რა ეწერა თავდაპირველად; 2. მელანი, რომლითაც შესრულებული იყო სადაო ქორწინების მოწმობა, ხანდაზმულობით შეესაბამებოდა თუ არა მისი შევსების თარიღს.

გამოსაკვლევი ქორწინების მოწმობა შემოწმდა ყოველმხრივ: ვიზუალურად, მიკროსკოპულად, ულტრაიისფერი სხივებით, ინფრაწითელი სხივებითა და სატელევიზიო დანადგარით.

ასეთი კვლევის შედეგად დადგინდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორწინების მოწმობის ხელნაწერი ტექსტის სხვადასხვა სტრიქონებში სხვადასხვანაირი ლუმინისცენცია (მუქი იისფერი და მნათი ჟოლოსფერი). ქორწინების მოწმობის სხვადასხვა ადგილზე შეიმჩნეოდა ყვითელი და ღია თეთრი ფერის ლაქები. ქორწინების მოწმობის ხილული ლუმინისცენციის ფერთა განსხვავება დავაფიქსირეთ გერმანული წარმოების ფერად ფოტოფირზე. ულტრაიისფერ სხივებში ფილტრების გამოყენებით.

ქორწინების მოწმობის ხელნაწერი ტექსტის საღებავი ნივთიერება არა ბუნებრივად იყო განრთხმული ქაღალდის სიღრმეში, ხოლო მოწმობის მთელ ზედაპირზე ქსოვილი არაბუნებრივად იყო აძენძილი.

დადგინდა, რომ ქორწინების მოწმობის შტამპისა და ბეჭდის ანაბეჭდების ადგილზე წელისა და რიცხვის აღმნიშვნელი ციფრები გადასწორებული იყო, ხოლო სპეციალური გამოკვლევის შედეგად დაფიქსირდა პირველადი ჩანაწერის ნარჩენი შტრიხები. გარდა ამისა, დადასტურდა, რომ ქორწინების მოწმობა შევსებული იყო ავტოკალმის მელნით — „რადუგა", რომელიც წარმოებაშია 1966 წლიდან, მაშინ, როცა ამ მოწმობის შევსების თარიღი 1939 წელი იყო. ამდენად, მელანი თავისი ხანდაზმულობით არ შეეფარდებოდა ქორწინების მოწმობის შევსების თარიღს.

საბოლოოდ, კრიმინალისტური კვლევის საფუძველზე კატეგორიულად დადგინდა, რომ ქორწინების მოწმობა დამუშავებული იყო ქიმიურად. ამ ექსპერტიზის შედეგმა დიდი როლი ითამაშა სასამართლო პროცესზე ჭეშმარიტების დადგენაში, რამაც ერთხელ კიდევ დაადასტურა თუ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ფაქტის დადგენისათვის ქიმიურად დამუშავებული ტექსტების კვლევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსჯის ღრმა საფუძველი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თ. გერსამიას თავმჯდომარეობით სახალხო მსაჯულების — თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ბრიგადირის გ. ჩადუნელისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპოზიციის განყოფილების გამგის გ. გასიტაშვილის, სახელმწიფო ბრალმდებლის, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის რ. გილიგაშვილის, ადვოკატ გ. ვოლფის, მდივნის შ. ასათიანის მონაწილეობით განიხილა სოლიკო ევტიხის ძე ხაბეიშვილის ბრალდების საქმე, დამნაშავედ ცნო იგი ქრთამის არაერთხელ აღებაში და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. აქედან 5 წელი — საპყრობილე, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით აეკრძალა საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავების უფლება.

ამ გახმაურებული პროცესის თაობაზე რესპუბლიკის მოსახლეობამ ტელევიზიისა და პრესის საშუალებით მიიღო ფართო ინფორმაცია, ამდენად საჭიროდ არ მიგვაჩნია, რომ უკვე თქმულსა და დაწერილს ხელმეორედ მივუბრუნდეთ. ამჯერად, ჩვენი ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის როლანდ გილიგაშვილის ვრცელი საბრალდებო სიტყვის ერთ ნაწილს, რომელიც განსჯის ღრმა საფუძველს იძლევა.

პატივცემულო მოსამართლენო, ჩემს, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის, წინაშე, მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანა დგას: სწორი, ობიექტური შეფასება უნდა მივცე ხაბეიშვილის დანაშაულებრივ ქმედებას, რათა ამით სასამართლო კოლეგიას ხელი შევუწყო სამართლიანი განაჩენის გამოტანის საქმეში.

ჩვენს ხელთ არის წინასწარი და სამსჯავრო გამოძიებით მოპოვებული საკმარისი მტკიცებულებები, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

ახლა ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ს. ხაბეიშვილის პიროვნება, მოკლედ გაგაცნოთ მისი ცხოვრების გზა, რათა ამ ფონზე უფრო ნათელი გახდეს ჩადენილი დანაშაულის მთელი სიმძიმე, მისი სოციალური არსი და ის მავნე ზემოქმედება, რომელსაც საზოგადოებაზე მსგავსი ხასიათის ბოროტმოქმედებანი ახდენს.

ს. ე. ხაბეიშვილი დაბადებული და აღზრდილია მშრომელ და პატიოსან ოჯახში. თვითონაც ბავშვობიდანვე ამჟღავნებდა შრომისმოყვარეობას და სიბეჯითეს. იმ დღიდან მოყოლებული როცა 1958 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ინჟინერ-გეოლოგის დიპლომი მიიღო, აქტიურად ჩაება შრომით ცხოვრებაში, რამდენიმე წელი იმუშავა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1963-1965 წლებში საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი იყო, შემდეგ ორი წელი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად იმუშავა. მომდევნო წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილედ, შემდეგ იგი მოსკოვშია და მთელი ხუთი წელი ეკავა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილის თანამდებობა. 1972 წლიდან უკვე პარტიულ სამუშაოზეა. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე, ხოლო ერთი წლის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს, სადაც 1975 წლამდე იმუშავა, ვიდრე კვლავ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში გადმოიყვანდნენ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ. 1982 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე 3 წელი იმუშავა. 1985 წლის 29 ივლისს მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნეს, სადაც მუშაობდა დაპატიმრებამდე, 1985 წლის 6 დეკემბრამდე.

როგორც ვხედავთ, ს. ხაბეიშვილმა განვლო ცხოვრების დიდი გზა, მას ყველა პირობა ჰქონდა იმისათვის, რომ კარგი იდეურ-პოლიტიკური წრთობა მიეღო, რეალურად აღექვა ცხოვრების საბჭოური წესი. თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით იგი მოვალე იყო ადამიანებთან ურთიერთობაში გამოევლინებინა კაცთმოყვარეობა, მათზე ზრუნვა, პრინციპული პარტიული პოზიციებიდან შეეფასებინა ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ცალკეულ პირთა საქმიანობაში. ის კი პირიქით იქცეოდა — ყველაფერს საფუძვლად უდებდა პირად სარგებლობას, ანგარებას, ამიტომ იყო, რომ სადაც კი იმუშავა, ხაბეიშვილმა, ყველგან უპრინციპო, თვითნება, არაგულისხმიერი, არაგულწრფელი, შარიანი და პროვოკაციების მოყვარული მუშაკის სახელი დატოვა.

ჯერ კიდევ 1956 წელს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობის პერიოდში, როცა ამავე დროს ქ. თბილისის ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე იყო, მიიღო თვითნებური გადაწყვეტილება კავკასიონის ქედზე რუსთაველის პიკის დალაშქვრისათვის ექსპედიციის შექმნის თაობაზე, რომელსაც პირადად თვითონ უხელმძღვანელებდა. ექსპედიციის თბილისიდან გამგზავრების წინ კი ხელმძღვანელობაზე უარი განაცხადა ისე, რომ ამის შესახებ არ შეატყობინა სათანადო ორგანოებს და არ მიიღო საჭირო ზომები ექსპედიციის უფროსად სხვა გამოცდილი პირის დასანიშნავად. ამის შემდეგ ექსპედიციის უფროსობა იკისრა მისმა მოადგილემ. ამით მან ფაქტობრივად ბედის ანაბარად მიატოვა ახალგაზრდები, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ მწვერვალზე ასვლა არაორგანიზებულად ჩატარდა და ხუთი ახალგაზრდა დაიღუპა.

ეს უბედურება მის გულგრილობას მოჰყვა. ამ ფაქტში ნათლად გამოჩნდა ხაბეიშვილის უმსგავსო თვისებები — ადამიანებთან გულცივი დამოკიდებულება და მათი ბედის აბუჩად აგდება.

დაშვებული დარღვევებისათვის ს. ხაბეიშვილი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და მკაცრი პარტიული სასჯელი დაადეს.

ხაბეიშვილის პიროვნული სიმდაბლე კარგად ჩანს მის მოქმედებაში მოქ. ტუკვაძის საქმის გამო, რომელზეც დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ, აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს იყო თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი ძალმომრეობის, ცილისწამების, პროვოკაციის გაუგონარი ფაქტი.

ხაბეიშვილისათვის, როცა ის პირად საკითხებს წყვეტდა, საზოგადოებრივი ინტერესების, საბჭოური ცხოვრების ნორმების გვერდის ავლა და მათი უგულებელყოფა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა.

განსასჯელი ხაბეიშვილის მითითებით თბილისის ზღვის იახტკლუბის მწვრთნელმა თ. ზოიძემ იახტის გასაღები არსებული წესების საწინააღმდეგოდ გადასცა ხაბეიშვილის ვაჟს, რომელიც არ იყო ამ კლუბის წევრი და ცხადია, არც იახტის მართვის უფლება ჰქონდა. ხაბეიშვილის ამ თვითნებობას შედეგად მოჰყვა ის, რომ 1984 წლის 27 მაისს იახტა, რომელსაც ს. ხაბეიშვილის შვილი გ. ხაბეიშვილი მართავდა, შეეხო მაღალი ძაბვის ელსადენს, რის გამოც სამი ახალგაზრდა ადგილზე დაიღუპა, ხოლო სამი პირი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა. განსასჯელმა ხაბეიშვილმა კი თავისი ვაჟი გ. ხაბეიშვილი მომხდარი უბედური შემთხვევის შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად სასწრაფოდ გადაიყვანა მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, ისე რომ, მესამე კურსის მეორე სემესტრის არცერთი საგანი ჩაბარებული არ ჰქონდა და მისი თხოვნით, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატმა ყალბად გააფორმა საგამოცდო უწყისები, თითქოს სტუდენტ გ. ხაბეიშვილს ყველა საგანი ჩაბარებული ჰქონდა მაღალი შეფასებით.

ამ ფაქტში განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით ხაბეიშვილი ისე გათამამდა და გათავხედდა, იგი არა თუ ბოროტად იყენებდა თანამდებობას, არამედ ხშირად უკანონობას კანონიერებად გვისახავდა. თვით აქ, უმაღლეს სასამართლოში, ამდენ იურისტს და კანონის მცოდნეს „გვიმტკიცებდა“, თითქოს მის ვაჟიშვილს რამდენიმე საგანში ნიშანი გამოცდების ჩაუბარებლად რომ დაუწერეს, კანონიერი იყო, გამოცდები რატომ უნდა ჩაებარებინა, როცა სწავლის პერიოდში დადებითი შეფასებები ჰქონდაო. ეს ხომ იმ კაცის ლოგიკაა, რომელსაც დაწესებული ნორმები და კანონები სავალდებულოდ არ მიაჩნია.

ხაბეიშვილს არ აკლდა სათანადო ცოდნა, ნიჭი, უნარი და ცხადია, თავისი თანამდებობრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობით შეეძლო ბევრი სასარგებლო საქმე გაეკეთებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნისა და ხალხისათვის. ამაოდ ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ იგი ასეც იქცეოდა, რადგან სინამდვილეში მთელი მისი საქმიანობა სიყალბეზე, სიცრუეზე და მოჩვენებითობაზე იყო დამყარებული. იგი ოსტატურად თამაშობდა მკაცრი, მომთხოვნი და პრინციპული პარტიული მუშაკის როლს, განსაკუთრებით თავისი ხელქვეითების წინაშე. სინამდვილეში კი ეს იყო ნიღაბი, რომელსაც იგი მარჯვედ იყენებდა ადამიანების დასაშინებლად და დასათრგუნავად, რათა შემდეგ ანგარებითი ურთიერთობა დაემყარებინა მათთან, ისეთი ნიადაგი შეექმნა, რომ სუსტ, უნებისყოფო და უზნეო ადამიანებს ხაბეიშვილის მოქრთამვაზე ეფიქრათ. მთელ თავის თანამდებობრივ ძალაუფლებას ძირითადად იგი სწორედ ანგარების მიზნით იყენებდა. ასე იქცეოდა იგი ჯერ კიდევ ამ ცამეტი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობის დროს, როცა თავისივე თანამშრომლებს, ქალაქკომის მუშაკებს გელენიძეს და მონიავას, ქალაქის მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელებს ფრუიძესა და ტოფაძეს გამოძალა ქრთამი. ასე იქცეოდა იგი შემდეგაც, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში განყოფილების გამგედ და ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობის დროსაც, როცა რაიკომის მდივნებს ათიათასობით მანეთს ართმევდა ქრთამად.

ასე რყვნიდა იგი წლების განმავლობაში ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციას, შემდეგ კი მთელი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გარყვნას მიჰყო ხელი.

დიახ, რყვნიდა, და არ მერიდება მე ამ სიტყვის ხმარება, რადგან უკეთეს გამოთქმას ვერც იპოვი შექმნილი ვითარების გამოსახატავად. განა აქ საქმის შინაარსი მარტო ქრთამის აღების ფაქტით ამოიწურება? ცხადია არა, ხაბეიშვილის მადა განუსაზღვრელი იყო, დიდ თანხებს თხოულობდა ქრთამად, ქრთამის მიმცემთ კი არ შეეძლოთ ამდენი ფული წესიერი გზით შეეგროვებინათ, ამიტომ ისინიც, თავის მხრივ, დანაშაულებრივი გზით შოულობდნენ ამ ფულს. ასე იქმნებოდა ქრთამის ამღებთა და ქრთამის მიმცემთა დანაშაულებრივი მწკრივი, ბოროტმოქმედებათა მთელი ჯაჭვი. დანაშაულში ჩათრეული აღმოჩნდა ათეულობით და ასეულობით ადამიანი.

ხაბეიშვილის ბოროტმოქმედებამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მისი მიჩქმალვა უკვე შეუძლებელი გახდა. გაჩნდა საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც უკვე ჭორს ვერ დაარქმევდი, ყველას პირზე ეკერა, რომ ხაბეიშვილი მექრთამე და გამომძალველი იყო. წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლო პროცესზე თითქმის ყველა მოწმემ თქვა და აღიარა, რომ ქრთამის მიცემისათვის ისინი წაათამამა იმ ხმებმა, რასაც ხაბეიშვილზე ხალხში ლაპარაკობდნენ — უამისოდ ასეთი მაღალი თანამდებობის პირისათვის უშუალოდ ქრთამის მიცემას ვერ გავბედავდითო. ასე იზრდებოდა და სულ უფრო დიდ მასშტაბებს აღწევდა ხაბეიშვილის ბოროტმოქმედება.

აი, ასე წარმოგვიდგება ზოგადად ხაბეიშვილი, როგორც პიროვნება და ბოროტმოქმედი.

მაინც რა არის ხაბეიშვილის პიროვნებისათვის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი? უწინარესად, ორმაგი თამაში, შენიღბვა, გაორება... საზოგადოებისათვის კი ყველაზე საშიში, სწორედ გაორებული ადამიანია.

ადამიანის გაორება მისი სულიერი დაცემიდან იწყება. ასეთ ადამიანს ყველაფერი ავიწყდება — ზნეობრივი სისპეტაკე გარეგნულ ბრწყინვალებას ეწირება, სიტყვა და საქმე ცა და დედამიწასავით სცილდება ერთმანეთს. სიტყვით „ერის წყლული“ საკუთარ ტკივილად მიუჩნევია, ხოლო საქმით — ერიც და მრევლიც სასაცილოდ გაუხდია.

წლების განმავლობაში ხაბეიშვილი სწორედ ასეთ გაორებულ კაცად გვევლინებოდა. ორსახეობა მისი ფარი და მახვილი გახლდათ. თანამდებობით მაღლა მდგომ პირთა წინაშე იგი უცოდველ კრავს თამაშობდა, გამგონი და მორჩილი იყო, ხოლო ხელქვეითთა მიმართ მგლურ სიხარბეს იჩენდა. საკუთარი სურვილის მისაღწევად არაფერს თაკილობდა, პატიოსნებას ღაღადებდა და პატიოსნებას გავარვარებული შანთით სპობდა. იგი ყოველთვის სალტიკოვ შჩედრინის ერთ-ერთი გმირის დევიზით მოქმედებდა: „ის სიბილწე, რაც შენ გჭირს, სხვებს უნდა უკიჟინო, რომ შენი ცოდვები შეუმჩნეველი გახდესო“.

კანონიც და კანონიერებაც ხაბეიშვილისათვის უცხო ცნებებია, მან იცოდა მხოლოდ ერთი კანონი — ძალმომრეობის კანონი, რომელიც მხოლოდ ანგარებაზე იყო დაფუძნებული. ვინც ხაბეიშვილის მიერ „დაწესებულ“ ბეგარას გადაიხდიდა, მის მრავალრიცხოვან „ქეთილ-მოსურნეთა სიაში აღმოჩნდებოდა, ხოლო წესიერი და პატიოსანი კაცი კი განწირული იყო.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ ხაბეიშვილი კანონს აბუჩად იგდებდა. სწორედ ამან მიიყვანა იგი განსასჯელის სკამამდე. ბოლა, როცა სასამართლო კოლეგია ასე მისხალ-მისხალ, დიდი რუდუნებითა და კანონის ყველა ნიუანსის გათვალისწინებით იკვლევდა მტკიცებებს ხაბეიშვილის ბრალეულობა-არაბრალეულობის შესახებ, როდესაც ყველა ჩვენთაგანის მიერ ერთნაირი გულისყურით იჩხრიკებოდა როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი მტკიცე-

ბები, განსასჯელ ხაბეიშვილს ცოტაოდენ, ახლა მაინც თუ მოუბრუნდა გული სამართალზე და სამართლიანობაზე, თუ ჩაფიქრდა იმ უკანონობაზე, რასაც იგი წლების განმავლობაში სჩადიოდა...

სწორედ ამის შედეგია ალბათ ის ფაქტი, რომ ხაბეიშვილი ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა სასამართლო აქაოდა დანაშაული არ ჩამიდენიაო. რაღა თქმა უნდა, ყველანი მოხარული ვიქნებოდით, ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაგრამ სიმართლე და ჭეშმარიტება ერთადერთია და ის, სამწუხაროდ, ხაბეიშვილის მტკიცების საპირისპიროა.

წაყენებული ბრალდების დამადასტურებელი უცილობელი მტკიცებები რომ გაებათილებინა, ხაბეიშვილი ხშირად იმეორებდა, რომ თითქოს მის მიმართ მტკიცებები შექმნილია არაობიექტური გამოძიების შედეგად, ერთი სიტყვით, ხაბეიშვილმა ეჭვი შეიტანა გამოძიების ობიექტურობაში და მის მიმართ ბრალდების საქმეზე არსებული მტკიცებები ფალსიფიცირებულად გამოაცხადა.

კვლავ ვიმეორებ — დაინტერესებულმა ადამიანმა ხაბეიშვილის ასეთი განცხადების დაჯერებაც რომ მოისურვოს, ვერ შეძლებს ამას, რადგან ფაქტი ჯიუტია, ფაქტები კი ხაბეიშვილის საწინააღმდეგოდ ღაღადებენ და თუ ხაბეიშვილი მაინც ფიქრობს, რომ მის მიმართ ბრალდების საქმე გამოგონილია და შეთხზულია, ეს ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი ყალბისმქმნელობა და ცილისწამება მას თავის დროზე ძალიან ემარჯვებოდა.

პატივცემულო მოსამართლენო! ამასთან დაკავშირებით მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო მის მიერ ჩადენილ ცილისწამებისა და ძალადობის ერთ ფაქტზე, რომელმაც უდანაშაულო ადამიანი ციხის კარებამდე მიიყვანა. ხაბეიშვილის ბრალდების საქმეს ერთვის სსრ კავშირის პროკურატურის ცნობა მოქალაქე ტუკვაძის ბრალდების საქმეზე. აი, სწორედ ეს არის ძალმომრეობის, ყალბისმქმნელობისა და უსამართლობის გაუგონარი ნიმუში, რაც ჩაიდინა ხაბეიშვილმა და ალბათ, მისი მორალური დაცემაც აქედან დაიწყო...

ჯერ კიდევ 1973 წელს, ქუთაისის ქალაქკომის პირველ მდივნად მუშაობის დროს ხაბეიშვილმა პირადი მოტივით პროვოკაცია მოუწყო ქუთაისის ავტოკოლონის პარტიული კომიტეტის მდივან ტუკვაძეს, პარტიის რიგებიდან გარიცხა იგი და მიაღწია მის უკანონო დაპატიმრებას. დადგენილია, რომ ხაბეიშვილმა დაიბარა თავისთან ქუთაისის მილიციის სამმართველოს უფროსი კუხიანიძე, განუცხადა, რომ თითქოს ქალაქკომს გააჩნდა მამხილებელი მასალები ტუკვაძის მექრთამეობის შესახებ და დაავალა ემხილებინა იგი დანაშაულში. კუხიანიძემ თავის მხრივ ასეთივე დავალება მისცა ქვეგანყოფილების უფროს სულაბერიძეს, რამდენიმე ხნის შემდეგ, კუხიანიძემ ხაბეიშვილს მოახსენა, რომ ტუკვაძე არის პატიოსანი ადამიანი და მექრთამეობას არ ეწევა. ხაბეიშვილი განაწყენდა ასეთი ინფორმაციით და უთხრა, მუშაობა არ იციო. ამის შემდეგ კუხიანიძემ და სულაბერიძემ მოძებნეს ვინმე სირბილაძე და მისი მეშვეობით შეეცადნენ მოეწყოთ ქრთამის აღების პროვოკაცია ტუკვაძისათვის, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. როცა ამის შესახებ კვლავ მოახსენეს ხაბეიშვილს, მან კვლავ გაიმეორა, რომ ტუკვაძე იყო მექრთამე და რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ემხილებინათ დანაშაულში, თუნდაც „დაემუშავებინათ ის ფული, რომლებსაც კომუნისტები საწევროს სახით იხდიდნენ და ამ გზით ემხილებინათ იგი მექრთამეობაში“... აი, სადამდე მივიდა ამ ვაი-პარტიული მუშაკის თავხედობა.

ქრთამის აღების პროვოკაციას რომ ვერ მიაღწიეს, ტუკვაძის მიმართ შეთითხნეს ხელოვნობის მასალები, დააპატიმრეს და გაასამართლეს.

ხაბეიშვილმა, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ტუკვაძის მიმართ კანონსაწინააღმდეგო, დანაშაულებრივ მოქმედებაში ჩააბა ქუთაისის პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამმართველოს, სახალხო სასამართლოს ხელმძღვანელი მუშაკები, რითაც ისინი ყალბისმქმნელებად და დამნაშავეებად აქცია. ხაბეიშვილის მითითებით მათ შექმნეს ყალბი მტკიცებები ტუკვაძის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, რითაც პატიოსანი ადამიანი „საშიშ დამნაშავედ“ აქციეს და იგი მრავალი წელი საპატიმროში ამყოფეს.

ყოველივე ამის თაობაზე ნათლად მეტყველებენ ის დოკუმენტები, რომლებიც საქმეს ერთვის: სსრ კავშირის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის დუბროვინის, ამავე პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკებისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის მიერ თავის დროზე შედგენილი ცნობები.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დოკუმენტები არსებობდა, ხაბეიშვილი ყოვლისშემძლე აღმოჩნდა. ეს საქმეც „მიაფუჩეჩა“ და მხოლოდ რამდენიმე, დაბალი თანამდებობის პირი დასჯა, როგორც იტყვიან, მსუბუქად, ხოლო ნამდვილად ყალბისმქმნელები და ფალსიფიკატორები, ერთგულების გამოჩენისათვის რესპუბლიკის მასშტაბის ხელმძღვანელებად აქცია, თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თონაც პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადმოინაცვლა და უფრო დიდი მასშტაბების დანაშაულთა ჩადენას მიჰკო ხელი. შემდეგ არც ის გამომძიებლები „დაივიწყა", ვინც ტუკვაძის საქმე ობიექტურად გამოიძია და ჭეშმარიტება დაადგინა — ყველას სათანადოდ გაუსწორდა.

მხოლოდ ამ ერთ ფაქტშიც ნათლად ჩანს ხაბეიშვილის ორპირობა, სიცრუე, პარტიისა და ხალხის ღალატი. აი, მისი თვისებები, აი მისი ნამდვილი სახე. ის კი წლების განმავლობაში პატიოსანი, მებრძოლი პარტიული მუშაკის ნიღაბს იყო ამოფარებული.

ხაბეიშვილი დიდხანს, უკანასკნელ მომენტამდე მარჯვედ და მოხდენილად ატარებდა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ამ ნიღაბს და ეტყობა კიდევაც ამაყობდა, თავიც კი მოსწონდა ამით, ეს მან აქაც, ამ სასამართლო პროცესზეც გამოავლინა. მაშინაც კი, როდესაც მას ბრალს უყენებდნენ და უსაბუთებდნენ, ის თავის ღვაწლსა და დამსახურებაზე, თავის მუშაობის სტილსა და მეთოდზე ლაპარაკობდა, პროტესტი გამოთქვა საბრალდებო დასკვნის გამო, რომელშიც იგი მოხსენიებულია როგორც უპრინციპო, თავნება, არაგულწრფელი, პროვოკაციების მოყვარული. საბრალდებო დასკვნის ამ აზრის გასაბათილებლად მან იმ ადრესის ტექსტი მოიყვანა, რომელიც მას დაბადების 50 წლისთავზე გაუგზავნეს. მართალია, ამ ადრესში იგი მოხსენიებულია როგორც მცოდნე, გამოცდილი და ღვაწლმოსილი პარტიული მუშაკი, მაგრამ განა ეს სწორედ იმას არ ამტკიცებს, რომ საიმედოდ იყო შენიღბული. მართალი, პატიოსანი გულწრფელი კაცის როლს თამაშობდა და სჯეროდათ მისი. არავის არ სურდა დაეჯერებინა, რომ ის პარტიის და ხალხის საქმის მოღალატე იყო, რადგან მართლაც ძნელი დასაჯერებელია... აღნიშნული ადრესი მას 1985 წლის 6 მარტს გაუგზავნეს, ამ დროისათვის ბუჩუკურს ცენტრალური კომიტეტის სახელზე უკვე დაწერილი ჰქონდა განცხადება, რომლითაც მექრთამეობაში ამხელდა მას, მაგრამ ამის დაჯერება არავის უნდოდა, რადგან ჯერ კიდევ სჯეროდათ, სწამდათ ხაბეიშვილისა, ენდობოდნენ მას. ვინ რა იცოდა, რომ ამ ნდობას იგი ბოროტად იყენებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც სათანადო ორგანოებმა უტყუარი მასალები შეაგროვეს ხაბეიშვილის ბოროტმოქმედებაში სამხილებლად და ნიღაბი ახადეს მას, გამოჩნდა მისი ნამდვილი სახე, რომელიც კიდევ უფრო მკვეთრად, აქ ამ სასამართლო პროცესზე გამოიკვეთა.

შეუძლებელია სასამართლო კოლეგიის ყურადღება არ მივაპყრო კიდევ ერთ გარემოებაზე: მთელი პროცესის მანძილზე ხაბეიშვილს თავი თვითდაჯერებულად, გამომწვევად, ზოგჯერ ცინიკურადაც კი ეჭირა. მან ერთიანად უარყო წაყენებული ბრალდება, თავი დამნაშავედ არ ცნო და ქრთამის აღების იმ ეპიზოდებზეც კი განაცხადა უარი, რომლებზეც წინასწარი გამოძიების დროს ადიარებითი ჩვენებები ჰქონდა მიცემული. მან ყველაფერი უარყო და მის მიმართ წაყენებულ მთელ ბრალდებას ფალსიფიკაცია, ფაბრიკაცია უწოდა და წამოაყენა რაღაც ცრუ და გამოგონილი ვერსიები, თითქოს წინასწარი გამოძიების დროს მასზე რაღაც ზებუნებრივი, გარეგანი ძალები მოქმედებდნენ და სხვ.

ბრალდებათა ცალკეული ეპიზოდების მტკიცებულებათა დასაბუთების დროს სასამართლოს უკვე მოვახსენე, რომ მან ვერ შეძლო მისი ბუნებისათვის დამახასიათებელი ამ მიკიბულ-მოკიბული გზებით თავის მართლება, სამაგიეროდ საკუთარ თავს საშუალება მოუსპო, რათა ღრმად დაფიქრებულიყო თავის დანაშაულებრივ მოქმედებაზე და სინანული აღძვროდა ამის გამო. ეს კი ძალიან ცუდია და კიდეც უფრო ამძიმებს მის დანაშაულს, რადგან თუ კაცს თავის დანაშაულის გამო სინანულის გრძნობა არ დაებადა და ამ მომენტშიც კი გულწრფელი არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ის კვლავ უარს ამბობს, რათა ცხოვრების წესიერ გზას დაადგეს.

როგორც დავინახეთ, ხაბეიშვილი სიხარბის ღმერთებს ეთაყვანებოდა, მისი კერპი ფული და სიმდიდრე იყო. ქრთამის აღება მისი ცხოვრების წესად და ნორმად იქცა, მაგრამ საინტერესოა, ცხოვრების რა ზოგადი პრინციპებით ხელმძღვანელობდა იგი, როცა ასეთი გზა აირჩია, რა მიაჩნდა მას ადამიანურ ღირსებად და ბედნიერებად? ნუთუ დაიჯეროთ, რომ მას საერთოდ არავითარი პრინციპები და ადამიანური იდეალები არ ჰქონდა და თავის ბედს ამყარებდა მხოლოდ ცხოველურ ინსტინქტებზე, ცრუ რწმენაზე, მგლის ტყავის ნაგლეჯზე, რომელიც მას გაჩხრეკისას ფეხსაცმელში აღმოაჩნდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი გაორებული, ბნელი, გამოუცნობი პიროვნება ცენტრალური კომიტეტის მდივნის მაღალ პოსტზე იყო.

პატივცემულო მოსამართლენო! როგორც სახელმწიფო ბრალმდებელს, მიზანშეწონილად მიმაჩნია სასამართლო კოლეგიას მოვახსენო ჩემი აზრი იმის თაობაზე თუ რა ზეგავლენა მოახდინა ამ დანაშაულმა საზოგადოებაზე და კერძოდ, ახალგაზრდობაზე.

ჩვენი საზოგადოების გულისწყრომას სწორედ ის იწვევს, რომ განსასჯელი ხაბეიშვილი, რომელიც სიტყვით რესპუბლიკაში ნეგატიურ მოვლენებთან მწვავე ბრძოლის აქტიური მონაწილე იყო, საქმით საწინააღმდეგოს აკეთებდა, რითაც იგი უპირისპირდებოდა პარტიის და ხალხის ინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ, როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელები საბჭოთა საქართველოს პრესტიჟისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად ენერგიის დაუზოგავად იბრძოდნენ, მაშინ, როცა ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი და კოლმეურნე-გლეხობა, მეცნიერები, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, სპორტის სახელგანთქმული ოსტატები თავდადებით იღვწოდნენ რესპუბლიკის დიდებისათვის, როცა მხცოვანი აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ფეხდაფეხ დადიოდა საქართველოს მთა-ბარში, რათა განეკურნა დაჭრილი ბუნება, როცა ლეგენდარული მეჩაიე თამარ ყუფუნია გმირული შრომის პირად მაგალითს აძლევდა ჩვენს ახალგაზრდობას, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მაღალ პოსტს ამოფარებული ხაბეიშვილის მთავარი მიზანი და საზრუნავი პირადი გამდიდრება იყო, რითაც უზნეობის, უპატიოსნო ცხოვრების საშინელ მაგალითს აძლევდა მშრომელ ადამიანებს, მორალურად ხრწნიდა ჩვენს ახალგაზრდობას. მომავალ თაობაზე უფროსი თაობის ცხოვრების გაკვეთილი ხომ ყოველთვის უდიდეს ზეგავლენას ახდენს... ხოლო ესოდენ მაღალი რანგის ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარებითი დანაშაული, ზნეობრივი გადაგვარება კი განსაკუთრებულად დიდ ზიანს აყენებს ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ ჩვენი პედაგოგები. განა ადვილია აუხსნა მოსწავლეებს, ჩვენს ახალგაზრდობას თუ როგორ გახდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მინისტრი თუ სხვა ხელმძღვანელი მუშაკი მექრთამეობის ორგანიზატორი... არადა საჭიროა, რომ მათ სიმართლე ვუთხრათ. დიახ, ჩვენს ახალგაზრდობას სურს, რომ მოვლენებს ზუსტი სახელები ერქვათ. და თუ თუნდაც ერთ ახალგაზრდას რწმენა შეერყა და გული ეტკინა ეს თქვენი და თქვენისთანების გაორებული, მომხვეჭელური ბუნების, თქვენი მგლური სიხარბის ბრალია, განსასჯელო ხაბეიშვილო!

თქვენ და თქვენისთანებმა მკაცრად უნდა აგოთ პასუხი ყოველივე ამისათვის, რადგან სწორედ თქვენისთანების ბრალია, რომ ზოგიერთ ჩვენს ახალგაზრდას კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ნიშნები, მეშჩანური მიზნები და ინტერესები გაუჩნდებათ ხოლმე. თქვენისთანები მკაცრად უნდა დაისაჯონ, რათა ჩვენი შემცვლელი თაობის არც ერთი წარმომადგენელი არ გაიზარდოს მუქთახორად, ისეთ ადამიანად, რომლისთვისაც აუხსნელი და გაუგებარი რჩება ცხოვრების ნამდვილი აზრი და დანიშნულება.

ასეთი ხასიათის დანაშაულობანი, მეტადრე ჩადენილი ისეთი მაღალი თანამდებობის პირის მიერ, როგორიც ხაბეიშვილი იყო, მთელ საზოგადოებრივ ატმოსფეროს წამლავს, მაგრამ ყველაზე მავნე ზემოქმედებას იგი ახალგაზრდობაზე, ჩვენს მომავალ თაობაზე ახდენს.

ჩვენ აქ შემთხვევით არ გვიხსენებია იმათი შვილები და შვილიშვილები, რომელთა მამები და პაპები მრუდე, უკუღმართი გზით სიარულმა ციხის კარამდე მიიყვანა. და მათი, ამ ობლად დარჩენილი პატარების უბედურება მხოლოდ ის კი არ არის, რომ ისინი მამისა თუ პაპის მზრუნველობისა და ალერსის გარეშე უნდა დაიზარდონ, არამედ ის უდიდესი სულიერი ტრამვა, რასაც მათ ბავშვურ ბუნებაზე ახდენენ ასეთი უმსგავსო მოვლენები.

რაოდენ დიდიც უნდა იყოს ჩვენი თაობის მოწადინება და მეცადინეობა, რათა კარგი და ღირსეული შვილები გამოვუზარდოთ სამშობლოს, არაფერი გამოგვივა თუ ოჯახში, საზოგადოებაში ჯანსაღი, მაღალზნეობრივი ატმოსფერო არ სუფევს და თუ მშობლები პირადი მაგალითით არ შთააგონებენ შვილებს ცხოვრების სიბრძნესა და მის ავ-კარგს.

ჩვენი მომავალი თაობის ბედი ჩვენზე, ჩვენს დღევანდელ თაობაზეა დამოკიდებული, მის ზნეობაზე, მის პიროვნულ მოქალაქეობრივ ღირსებებზე და არა მოხვეჭის უნარსა და შინ მიტანილ დოვლათის წონა-ზომაზე, როგორც ეს ხაბეიშვილისთანა ადამიანებს ჰგონიათ. ბედნიერებისათვის ადამიანებს, უწინარეს ყოვლისა, სიყვარული და რწმენა სჭირდებათ და არა სიმდიდრე და ქონება. სიყვარული და რწმენა სჭირდება ჩვენს ახალგაზრდობას, იქნებ, თვით პურზე და წყალზე მეტადაც!

პირადი მაგალითით უნდა ვაჩვევდეთ და ვასწავლიდეთ ჩვენს შვილებს, მომავალ თაობას სიყვარულსა და პატივისცემას მოყვასისადმი, სიკეთისადმი, შრომისადმი, სამშობლოსადმი და ხალხისადმი, უნდა ვუნერგავდეთ საქმისადმი, ქვეყნისადმი თავდადებისა და თავგანწირვის უნარს...

დიდად შემცდარნი არიან ხაბეიშვილი და მისი მსგავსი ადამიანები, როცა ჰგონიათ, რომ ფულითა და მატერიალური კეთილდღეობით მიანიჭებენ თავიანთ ოჯახებს, შვილებს სიხარულსა და ბედნიერებას. სამწუხაროდ, მათ ავიწყდებათ ერთი უბრალო სიბრძნე და ჭეშმარიტება, რომ მთავარი ის კი არ არის თუ რა რაოდენობის განძს და სიმდიდრეს დავუტოვებთ ჩვენს შვილებს, არამედ ის, თუ ვის დავუტოვებთ სამშობლოს, ქვეყანას, რომელიც ჩვენს შემდეგ დარჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ილიას საიუბილეოდ

ზოგიერთი სამართლებრივი საკითხი „ივერიის“ ფურცლებზე

ქართველი ერის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა გაზეთმა „ივერიამ“. მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გაზეთის მთავარ მიზანს ხალხის ცხოვრების ფართოდ გაშუქება, მისი ავ-კარგის ნათლად და სრულყოფილად ჩვენება წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ „ივერიაში“ განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში მიმდინარე იმ პროცესებს, რომლებიც წესრიგის დაცვასა თუ ამა თუ იმ მავნე მოვლენასთან იყო დაკავშირებული.

არ მალავდა რა საქართველოში მომხდარ არასასიამოვნო შემთხვევებს, გაზეთი დაუფარავად ამხელდა ყოველგვარ ბოროტებას და თავის ფურცლებზე სისტემატიურად ბეჭდავდა მომხდარი დანაშაულის ფაქტებს, რადგან იგი ქართველი ერის ნამდვილ უბედურებად მიაჩნდა. ასეთ დროს „ივერია“ ზედმიწევნით კონკრეტულიც ოყო და ზუსტიც, რადგან საქართველოს არცერთი კუთხე არ რჩებოდა ყურადღების გარეშე.

ჩვენი ყურნალის მკითხველებს გვინდა შევთავაზოთ რამდენიმე მათგანი, რომლებიც „ივერიის“ 1893 წლის მეათე ნომერში გამოქვეყნდა.

„ბათუმი; 14 იანვარს, საღამოს 7 საათზე, რამდენიმე ავაზაკი დაეცა რკინის გზის არტელის სახლს. იქ ამ დროს იყვნენ ლისინოვი და ფერშალი კურასოვი. ავაზაკებმა ლისინოვს კასის გასაღები მოსთხოვეს. ლისინოვმა უარი უთხრა, გასაღებს არ მოგცემთო. უარის თქმისათვის ავაზაკებმა დახვრეს ლისინოვიცა და კურასოვიც. შემდეგ გასაღები თვითონვე მონახეს, გააღეს სალარო და წაიღეს 8,179 მანეთი ფულად და 600 მანეთის ჩეკი. ავაზაკების საპოვნელად ფიცხელი ღონის ძიებაა მიღებული“;

„ხობი (ზუგდიდის მაზრა): ჩვენში ძლიერ გახშირდა ქურდობა. 8 იანვარს, ღამე, ს. ხობის მცხოვრებს ალმასხან რეკვავას სახლი გაუტეხეს და ცხენი მოჰპარეს. ამას წინად ს. ქვალონში ბ-ნ ლოლუას სახლი გაუტეხეს და ერთი ცხენი გამოიყვანეს. დეკემბრის გასულს ს. ბიაში ერთ გლეხს კარგი ბერწი ძროხა მოჰპარეს, ს. ხეთაში კიდევ ერთი ცხენი დაიკარგა. ვინ ჩამოსთვლის რამდენი ქურდობა ხდება ჩვენში“.

გაზეთის მხოლოდ ერთ ნომერში რამდენიმე ასეთი არასასიამოვნო ფაქტია დაბეჭდილი. როგორც ჩანს, „ივერია“ არაფერს ერიდებოდა. იგი ისეთივე გულახდილი გახლდათ, როგორც მისი რედაქტორ-გამომცემელი.

ამავე წელს გაზეთმა მასალები ასეთი სათაურებით გამოაქვეყნა: („ხაზინის გაძარცვის ცდა“ (№ 3), „ყაჩაღ დიტო ხვიტიას დაჭერა“ (№ 19) და ა. შ.) ასეთი გულდასაწყვეტი ფაქტების პუბლიკაცია თითქმის ყველა ნომერში გვხდება.

გაზეთმა „ივერიამ“ (№ 254, 1895 წ) გამოაქვეყნა ერთი ხელმოუწერელი წერილი, რომელიც იმ ზეგავლენას ეხებოდა, რასაც ციხე ახდენდა დამნაშავეებზე. კ. მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში არსებულ ბიბლიოგრაფიულ ცნობარში აღნიშნულია, რომ ეს წერილი ილიას მიერ არის დაწერილი. გვინდა მკითხველებს შევთავაზოთ პატარა ნაწყვეტი ამ წერილიდან.

„დიდი ხანია ევროპის მეცნიერნი და სახელმწიფოში მოქმედნი კაცნი ცდილობენ გამოარკვიონ, ციხეში ჩასმით შესაძლოა თუ არა დანაშაულის ჩამდენი ადამიანი გამოსწორდეს, გამოკეთდეს. ამაზე ბევრი ჰო და არა თქმულა, ზოგსა სწამს ამ მხრით ციხის მადლი და ზოგს არა და ამის გამო ზოგი ისევ მაგრად ებღაუჭება ამგვარს სასჯელს, ვითარცა სახსარს ადამიანის კარგ ზნეობის გამოფხიზლებისას და ზოგი — კი შორს იჭერს, რომ ციხე მაგის შემძლებელი იყოს და ამტკიცებენ, რომ ციხე უფრო ჭრყვნის და აფუჭებს ადამიანსო. ზოგიერთი ნიშნებია, რომ ეს უკანასკნელი აზრი თანდა-თან გულშემატკივარს და თანა-მგრძნობს ჰპოულობს“.

ილია ჭავჭავაძეს აწუხებდა ციხეში მოხვედრილთა ხვედრი, დაინტერესებული იყო მათი მომავალი ბედით და განსაკუთრებით ფიქრობდა არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ციხიდან გამოსვლის შემდეგ.

ცნობილია, რომ ილია პროფესიით იურისტი იყო, მაგრამ როგორც მწერალი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სასამართლოში ქართული ენის სიწმინდის დაცვას, საერთოდ, ქართულის ცოდნას. ამ მხრივ საინტერესოა მისი ერთი წერილი („ივერია“, 1894, № 251), სადაც იგი წერს:

„ზოგჯერ ერთი გულ-უბრყვილო სიტყვა უფრო ბშველის ხოლმე მართლის აღმოჩენას, ვიდრე მთელი კაზუისტობა საბუთებისა. სიტყვა, პირდაპირ თქმული და პირდაპირ სამართლის ყურამდე მიხწეული, დიდი საშველი ღონეა სა-

მართლის ქმნისათვის. საცა ამ სიტყვას გზა შეკრული აქვს, იქ ნურავინ იტყვის, რომ სამართლის გზა გახსნილიაო.

ამ გზაზე დგომა სამართლისა მაშინ უფროა სამწუხარო, როცა თვითონ სამართლის მქმნელმა არ იცის ენა იმ ერისა, რომელსაც უსამართლებს და იძულებულია ამ შემთხვევაში მიენდოს უვიცს მთარგმნელსა და რასაც ამ უკანასკნელის უვიცობა ამცნებს, იმაზე დაამყაროს თავისი განაჩენი“.

ილიასეულ გაზეთში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი აგრეთვე ქორწინების საკითხებს. 1893 წლის 79-ე ნომერში გამოაქვეყნა ერთი მეტად საინტერესო წერილი სათაურით „რამდენჯერ შეიძლება ქორწინება?“

„მართლ-მადიდებელი წესი და რუსეთის სამოქალაქო სამართალიც — წერდა გაზეთი — ყოველ ქრისტიანს ნებას აძლევს მხოლოდ სამჯერ დაქორწინდეს: მეოთხედ და მეტ-ჯერ ქორწინება „მრუშობაზე უფრო მძიმე ცოდვადაა“ მიჩნეული. თუმცა აზრი ამ კანონისა, ერთის შეხედვით, მეტად ცხადია და ადვილად გასაგები, მაგრამ ამ კანონით ხელ-მძღვანელობა განუმარტებლად ვერ შეიძლეს არამც თუ დაბალ სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა, არამედ საეპარქიო მთავრობამაც უწ. სინოდის დაუხმარებლად“.

ფართო დისკუსია გამოიწვია შემდეგმა საკითხმა: „შეუძლია თუ არა სხვა სჯულის (ურიისა, მაჰმადიანისა და სხვ!) კაცს, როცა მოინათლება, სამჯერ დაქორწინდეს, მიუხედავად იმისა, რომ სანამ მოინათლებოდა ერთხელ ან ორჯერ უკვე ყოფილა დაქორწინებული? უკანონოდ დაქორწინებულს ან კანონიერი მიზნით გაყრილს თავის მეუღლესთან შეუძლია თუ არა სამჯერ კიდევ დაქორწინდეს გარეშე წინანდელ ქორწინებათა თუ უკანონო ქორწინებაც ანგარიშში მიღებული უნდა იყოს?

ბ-ნ ს. გრიგოროვსკის განმარტებით, უწ. სინოდმა ასე გარდასწყვიტა პირველ საგნის შესახებ: სხვა სჯულის კაცს, როცა მოინათლება, არ ეანგარიშება წინანდელ სჯულის წესით ქორწინება, ამიტომ ქრისტიანობაში შეუძლია სამჯერ დაქორწინდეს, რადგან, მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის სჯულის ძალით ქორწინება წმინდა და საღმრთო საქმეა მხოლოდ ქრისტიანობაშიო.

მეორე საგნის შესახებ უწ. სინოდმა დაადგინა: ჩვენი სჯული ყოველ ქრისტიანს მხოლოდ სამჯერ დაქორწინების ნებას აძლევს; ხოლო ეს ქორწინებანი ერთი მეუღლის გარდაცვალებისა გამო მოხდება, თუ უკანონოდ ქორწინების და ან კანონიერ მიზეზით დაქორწინებულთა გაყრისა გამო, — ეს სულ ერთია, ამიტომ თითოეული ქორწინება უკანონო იქმნება, თუ კანონიერი, ან კანონიერ მიზეზით დარღვეული თანაბრად უნდა ჩაითვალოს სჯულის მიერ ნება-დართულ ქორწინებათა რიცხვში და არამცა და არამც სამჯერ დაქორწინების შემდეგ არავის მიეცეს კიდევ დაქორწინების ნებაო“.

როგორც ჩანს, ადამიანის სამჯერ დაქორწინება განპირობებული იყო იმით, რომ საგრძნობლად გამრავლებულა უკანონო ქორწინებები და სასამართლოთა გადაწყვეტილებები მეუღლეთა გაყრის შესახებ. სწორედ ამ სავალალო მდგომარეობის გამო აიკრძალა სამზე მეტი ქორწინება და ამით გზა გადაეკეტა ზოგიერთის თვითნებობას ქორწინების დროს, დამკვიდრდა სიწმინდე და პატიოსნება, გამრავლდა მტკიცე და ქვეყნისათვის სასარგებლო ოჯახების რიცხვი.

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ილიასეული „ივერია“ იმუამინდელი ქართული პრესის ფლაგმანი იყო. იგი საინტერესოდ და ყოველმხრივ აშუქებდა ხალხის ცხოვრებას, ნათლად და სრულყოფილად წარმოადგენდა მის ავ-კარგს. დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ გაზეთმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მისია და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული პრესის განვითარების დიდმნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს.

თითქმის არ არსებობდა საკითხი, რომლესაც გაზეთი არ შეხებოდეს. პოლიტიკა, ეკონომიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა თუ ხელოვნება — აი რას აშუქებდა „ივერია“ თავის ფერცლებზე, რითი საზრდოობდა, რა მიაჩნდა მას თავის უპირველეს საქმედ. მათ შორის სამართლის საკითხებს მუდამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან „ივერიას“ და მის დამაარსებელს, ილია ჭავჭავაძეს, მიაჩნდათ, რომ სწორედ კანონიერება, სამართლიანობისადმი პატივისცემა იყო ქვეყნის განვითარებისა და აღმავლობის უპირველესი საფუძველი. მართლაც, გაზეთმა ამგვარი პუბლიკაციების გამოქვეყნებისა და მასალების შერჩევის შესანიშნავი ტრადიცია დაგვიტოვა.

სულ მალე მთელი საქართველო ღირსეულად აღნიშნავს დიდი ილიას დაბადების 150-ე წლისთავს. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ძვირფასია მწერლის მთელი მემკვიდრეობა, მაგრამ გაზეთი „ივერია“ მათ შორის მაინც გამორჩეული და განსაკუთრებულია, სწორედ მან დაუდო სათავე ბევრ ისეთ სიახლეს, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა საქართველოს ბედ-იღბალი. „ივერიის“ მრავალმხრივ მოღვაწეობაში კი სამართლებრივ თემებსა და მასალებს გამორჩეული ყურადღება ექცეოდა, რასაც ეს უპრეტენზიო მიმოხილვაც ადასტურებს.

ლევან კარბელაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერ დღეებს გისურვებთ

ლაპარაკის დროს ისეთი ნათელი ღიმილი გადასდის სახეზე, რომ უნებურად გიკვირს კიდეც, თუ რამ მიიყვანა იგი სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში. თუმცა, გულისყურით თუ მოუსმენთ და მოახერხებთ ბოლომდე ჩასწვდეთ ამ ქალის ოცნებებს, ადვილად დარწმუნდებით, რომ არჩევანში არ შემცდარა. და მართლაც, მილიციის უფროსი ლეიტენატი ანეტა მიხეილის ასული ოვანესოვი ჩვეული სიყვარულით ემსახურება რთულსა და პასუხსაგებ საქმეს. პრინციპული, მცოდნე, უკვე გამოცდილი და საიმედო მუშაკიაო, — ასე ამბობენ მასზე უფროსებიც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში იგი ოჯახურმა ტრადიციამ მოიყვანა. მამამისი ძველი თაობის ჩეკისტთა წარმომადგენელი იყო, რომელმაც სახელოვნად განვლო ცხოვრების გზა და თავისიანებს, სიმართლისადმი სამსახური, კანონიერებისადმი ერთგულება, დანაშაულთან, ბოროტებასთან შეურიგებლობა ჩაუნერგა. ასეთი იყო პატარაობიდანვე ანეტაც, მოფერებით ყველა ანას რომ ეძახდა და დღესაც ასე მიმართავენ სიყვარულით ახლობლები.

დაამთავრა თუ რა საშუალო სკოლა, ანამ იმავ დღეს გაუმხილა მამას თავისი ფიქრი. ქალიშვილს თურმე საბოლოოდ გადაეწყვიტა, რომ დაუსწრებლად ესწავლა უცხო ენების ინსტიტუტში ინგლისურ ფაკულტეტზე, ხოლო პარალელურად შინაგან საქმეთა ორგანოებში ემუშავნა. რა თქმა უნდა, ეს იოლი არ იყო ქალისათვის, მაგრამ მიხეილმა მაინც მოუწონა შვილს არჩევანი.

პირველ ხანებში განაწყენებული იყო ანა. მართალია, მამამ ურჩია და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოში დაიწყო მდივნად მუშაობა, მაგრამ გოგონა სულ სხვანაირად ფიქრობდა: ხელთეთრა არასოდეს ყოფილა, კინოებში ნანახი, წიგნებში წაკითხული საინტერესო თავგადასავლები ელანდებოდა, რაღაც შეუცნობი, ახალი ცხოვრება სურდა და მხოლოდ ამიტომ მიილტვოდა შინაგან საქმეთა ორგანოებისაკენ. მეოცნებე ქალიშვილს კი მდივნად მუშაობა უინტერესო, უპერსპექტივო საქმედ ეჩვენებოდა.

საბედნიეროდ, ეს განწყობილება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მალე მიხვდა — დასახული მიზნის მისაღწევად დრო იყო საჭირო.

წლები კი გადიოდა, გადიოდა საინტერესოდ და შინაარსიანად. ანამ ჯერ უცხო ენების ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის საღამოს დასწრებული დაამთავრა, შემდეგ თბილისის მილიციის სკოლა და ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ღირსეული წევრი გახდა. ეს იყო ამ თხუთმეტიოდე წლის წინ და დღეს იგი უკვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა ორგანოების მესამე კლასის სპეციალისტია. დაჯილდოებულია მედლებით, მიღებული აქვს ბევრი მადლობა და წახალისება.

ამავე პერიოდში ანამ ოჯახის შექმნაც მოასწრო. მისი მეუღლე ინჟინერია, ისინი ორ შვილს უზრდიან ქვეყანას.

ანალიტიკური ქვეგანყოფილება, სადაც ანა ოვანესოვი მუშაობს, ერთ-ერთი რთული უბანია. აქ აანალიზებენ თბილისში მომხდარ ყველა დანაშაულს და ამის შემდეგ ისახება პროფილაქტიკური ღონისძიებები დამნაშავეობასთან საბრძოლველად.

— მართალია გამოცდილება უკვე მაქვს, — მოკრძალებით ამბობს ანა, — მაგრამ ჩვენი საქმის სული და გული მაინც მადონა გაფრინდაშვილია, მილიციის მაიორი, ანალიტიკურ საქმიანობაში გაჯაღარავებული ქალი. სწორედ მის ყურადღებიანობას, გულისხმიერებას, ადამიანურ ურთიერთობას, სითბოსა და სიყვარულს ვუმადლი ჩემს წარმატებებს. აქ, ჩვენთან, ხშირად მოდიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთ თავზე გამოსცადეს კანონის სიმკაცრე. ზოგიერთი ისეთია, ვინც რამდენჯერმე იყო გასამართლებული, ამიტომ გულგატეხილი და ხელჩაქნეულია ცხოვრებაზე, ეჩვენება, რომ ველარასოდეს გაიმართება, ვერ აღიდგენს შერცხვენილ სახელს. ჩვენ დაბეჯითებით განვუმარტავთ მათ კანონს, დახმარების ხელს ვუწვდით და როცა

ასეთ ადამიანში კვლავ გავაღვივებთ ხოლმე იმედის ნაპერწკალს, ცხოვრებას, ოჯახს დავუბრუნებთ დაკარგულ კაცს, ეს ისეთი დიდი სიხარულია, რომელსაც არაფერი შეედრება.

ანასა და მადონას მადლიერი ადამიანები მრავლად არიან ჩვენს ქალაქში. ისინი გულმოდგინედ შრომობენ, მოუცლელნი არიან, მაგრამ ზოგჯერ მაინც გამონახავენ ხოლმე დროს და შინაგან საქმეთა სამმართველოში შემოირბენენ, რომ მადლობა უთხრან ამ გულისხმიერ მანდილოსნებს. მილიციის მაიორსა და მილიციის კაპიტანს სწორედ ასეთი დღეები მიაჩნიათ ყველაზე ბედნიერ დღეებად, რადგან სჯერათ — სიკეთე უკვალოდ არასოდეს იკარგება.

თბილისში ახლა გაზაფხულია, რომელსაც თითქმის ფეხდაფეხ შემოჰყვა ქალთა საერთაშორისო დღესასწაული. ირგვლივ საზეიმო განწყობილებაა, მილოცვებს დასასრული არ უჩანს... ჩვენც გილოცავთ ქალბატონო ანა და მადონა ამ ლამაზ დღეს თქვენი მადლიერი ადამიანების სახელით.

ანგი არსენაშვილი.

მადონა გაფრინდაშვილი და ანეტა ოვანესოვი

გამოძიებლის ჩანაწერებიდან

ძალა სიყვარულისა

ისე ამუხრუჭებდა ხოლმე ავტომანქანას, თითქოს წინ ბავშვი დალანდაო, საბურავებს ბუღს აადენდა, შემდეგ ისევ ადგილიდან მოსწყვეტდა თავის „ჟიგულს“ და ასე უთავბოლოდ დაჰქროდა ალმა-დალმა; დღისით არ ჩანდა, მაგრამ როგორც კი დღე თვალს მოჭუტავდა, ვინ იცის რამდენჯერ ჩაუქროლებდა მზიას კარმიდამოს.

მეზობლებმა კარგად იცოდნენ რაც სჭირდა ზურაბს: — გაყევი, გოგო, მაგ ბიჭს. რას უწუნებ... ჩვენც მოვისვენებთ და თქვენცო.

მზია ცალყბად იღიმებოდა, ქალურ გაუბედაობას ვერ სძლევდა, „ჩემი საქმისა მე ვიცი, ამათ რა ესაქმებათო“.

ზურაბი კი კვლავ უმოწყალოდ დაჰქროდა. მანქანა მაინც არ გენანებაო, ეტყოდნენ ხოლმე ხანდახან. ის კი ბრაზობდა, „მანქანა ჩემია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ რა გაწუხებთო“.

როცა მეზობლებს მოთმინების ფიალა აევსოთ, გამომძიებელ მარიამ გაბუჩავას მიმართეს, გვიშველე რამეო, ისიც იქვე ცხოვრობდა...

ზურაბი ოფიციალურად გააფრთხილეს, მაგრამ თავისას არ იშლიდა, ვის რას ვუშავებო, უკვირდა.

მზია კი ფანჯარასთან იდგა, თვალს ადევნებდა გახელებულ ვაჟს და ნეტარებისაგან გული ეწურებოდა.

თვით მარიამიც გულის ფანცქალით ელოდა ხოლმე თავზეხელაღებული მძღოლის გამოჩენას, ამ მანქანის ხმას ათასში გამოარჩევდა... მზიას სახლთან სამუხრუჭე პედალს ფეხს რომ აუშვებდა, მანქანა მთელ სისწრაფეს მარიამის ჭიშკართან ავითარებდა. შესცქეროდა ამ რბოლას და უზომო სიხარულს განიცდიდა, მის სახეს ღიმილი არ სცილდებოდა... ზურაბმა კი, აბა რა იცოდა, თუ რა ცეცხლს აღვივებდა მარიამის სულში.

ხშირად ზურაბი გვიან ღამითაც შემოიჭრებოდა ხოლმე ქუჩაში, მარიამი ფართხა-ფურთხით წამოვარდებოდა ლოგინიდან და ფეხშიშველა მივარდებოდა ფანჯარას; საკუთარი თავისათვის მრავალჯერ უკითხავს, ასე რამ ამაფორიაქაო, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა. ვერც მოხუცი დედისათვის აეხსნა თუ რატომ დატოვა იგი უკანა ოთახში მარტო, თავად კი ქუჩის მხარეს გადმობარგდა...

როცა დედა ფანჯარასთან გარინდულს და ერთიანად გათოშილს შემოუსწრებდა, დაბნეული თავს იმითღა იმართლებდა, ეს გადარეული აღარ მაძინებსო...

მოხუცი ქალი ანგარიშმიუცემლად დაბორიალობდა ოთახში და თავისთვის ჩიფჩიფებდა: „დაწყნარდი შვილო, დაისვენე, ღამეების თევამ და ამდენმა მუშაობამ ძალიან მოგქანცაო...“

„ოჰ, დედა, შენ მაინც ჩაიხედე ჩემს გულშიო“, ოხრავდა მარიამი.

როცა ზურაბი ჯირითით გულს იჯერებდა და გაუჩინარდებოდა, გათოშილი მარიამი დედას ჩაუწვებოდა ხოლმე. მთელი ღამე ტვინს უბურღავდა იმის აღმოჩენა, თუ რა უფსკრული ყოფილა წარმოდგენასა და სინამდვილეს შორის.

ადრე თავისი თავი არც ახსოვდა, ახლა კი, როცა შემოდგომა ახლოს იყო, წლებს წიწილებივით ითვლიდა და გული წყდებოდა... უკვირდა, ოცდახუთიოდე წლის ვაჟმა ასე რომ დაარღვია მისი ცხოვრების წესი და ყმაწვილქალობა დაუბრუნა წლებით „დამძიმებულ“ გულს... თუმცაღა, იცოდა, კარგად იცოდა, რომ მისი განცდები საპნის ბუშტებს ჰგავდნენ, მაგრამ თავს ვერ ერეოდა, რადგან შორს, ძალიან შორს ოდნავ ბჟუტავდა იმედის სხივი...

„დაიძინე შვილო, ხვალ რამდენი საქმე გელის, გენაცვალოს დედა“, წუხდა მოხუცი. მარიამი კი თავისთვის ჩურჩულებდა: „სითბო, ადამიანური სითბო და დედობა მინდა...“

ორიოდე თვის შემდეგ ზურაბის მანქანა აღარ გამოჩენილა, რადგან მის გულში მზიას ადგილი სხვას დაესაკუთრებინა.

* * *

დაამთავრა მარიამმა მკვლელობის საქმე და საბრალდებო დასკვნასაც წერტილი დაუსვა. „თუ საკუთარ თავზე არ განიცადე, თურმე ძნელი ყოფილა ჭეშმარიტი საბრალდებო დასკვნის დაწერა“, გაიფიქრა მან და ფანჯარასთან მივიდა. გონების თვალი კიდევ ერთხელ გადაავლო საბრალდებო დასკვნას...

სამი თვის წინ შეხვდნენ ერთმანეთს ორმოცი წლის ბეჭანი და ჩვიდმეტი წლის მზია:

— დამეხსენით, გევედრებით, — ამბობს ქალიშვილი.

— აღარ შემიძლია უშენოდ, — უკვე მერამდენედ იმეორებს კაცი.

— ვერ შეგიყვარებთ, — თავი ჩაქინდრა ქალიშვილმა.

ჩამობნელდა, მამაკაცის აკანკალებული ხელები მისწვდა ქალიშვილის მხრებს, შემდეგ მხრებიდან ყელზე ინაცვლეს იმავე ხელებმა....

— რა დაგიშავეთ? — სიმწრისაგან აღმოხდა ქალიშვილს.

— მიყვარხარ, მიყვარხარ..., — იმეორებდა ერთსადაიმავეს კაცი.

როცა მზის სხივებმა იძალეს, ქუჩაში ორი გვამი შენიშნა ხალხმა.

— ნამდვილად სიყვარულის ბრალი იქნება, — დაასკვნა ვიღაცამ.

ფანჯრიდან სიბნელეში მარიამი მხოლოდ საკუთარ ლანდს ხედავდა...

ბორის დავითაია,

ცხაკაიას შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა სპეციალისტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის

დავით დევდარიანი,

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საბჭოთა სამართლის კათედრის გამგე

სკკპ XXVII ყრილობამ, რომელმაც ჩვენი ცხოვრების დაჩქარებული განვითარების გენერალური პროგრამა დასახა, განსაზღვრა აგრეთვე უმაღლესი სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა გააქტიურების კონკრეტული გზები.

განვითარებული საზოგადოების ყველა სტადიაში მატერიალური წარმოების უმაღლესი მიზანი იყო და არის სოციალური პროგრესის სრულყოფა, საზოგადოების სულიერი მოთხოვნილებების, კონსტიტუციური დებულებების, გარანტიების და ადამიანთა ძირითადი უფლებების ყველაზე სრული დაკმაყოფილება.

იმ ამოცანებთან ერთად, რომლებიც უმაღლესმა სკოლამ უნდა გადაწყვიტოს სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცების და სახალხო მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგების კადრებით უზრუნველყოფისათვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მზადყოფნას იმისათვის, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები თავიანთ კოლექტივებში მიიღონ თანასწორუფლებიან წევრებად და შეუქმნან მათ ნორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები.

სსრ კავშირის კონსტიტუცია (მუხ. 44) სხვა სოციალურად მნიშვნელოვან უფლებებთან ერთად იმასაც ადგენს, რომ საბჭოთა მოქალაქეებს აქვთ ბინის უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარება, კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა, კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობის პროგრამის განხორციელების შედეგად გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილება და რაც ყველაზე მთავარია, ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახადის სიმცირე[1].

საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებმა კიდევ უფრო განამტკიცეს საბჭოთა მოქალაქეების საბინაო უფლებები და გარანტიები, დასახეს მათი თა-

---

[1] სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები, მუხლი 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამიმდევრული გაუმჯობესების, საბინაო ფონდის მოვლა-შენახვის უზრუნველყოფის გზები.

საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები (მუხ. 51), ახალი საბინაო კანონმდებლობა, გადიდებულ პასუხისმგებლობას აწესებს საბინაო ფონდის არასათანადო გამოყენებისა და საბინაო კანონმდებლობის დარღვევებისათვის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სისრულისა და სრულყოფის მიუხედავად იგი მთლიანად მაინც ვერ ასახავს კონსტიტუციურ გარანტიებს.

საბინაო კანონმდებლობის ახალ საფუძვლებს რატომღაც არ გაუთვალისწინებია ახალგაზრდა სპეციალისტთა საბინაო უფლებების რეგულირების თავისებურებანი და ამით, რა თქმა უნდა, ჩვენი სახალხო მეურნეობის ინტერესებიც.

ამჟამად ახალგაზრდა სპეციალისტთა საბინაო უფლებებს არეგულირებს ახალგაზრდა სპეციალისტთა სარესპუბლიკათაშორისო, საუწყებათაშორისო და პერსონალური განაწილების დებულების 55-ე პუნქტი[2] და იმ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და ბინის მიცემის წესის 36-ე პუნქტი, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ.[3] სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივლისის დადგენილების („სხვა ადგილას სხვა სამუშაოზე გადასვლისას გარანტიებისა და კომპენსაციების შესახებ") მესამე პუნქტი კი ახალგაზრდა სპეციალისტებზე ვერ გავრცელდება, რადგან აქ ლაპარაკია იმ მუშაკებზე, რომლებიც ერთი სამუშაოდან მეორეზე გადადიან.

ამ პუნქტში ნათქვამია, რომ საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, ვალდებულნი არიან ჩამოსვლისთანავე რიგგარეშე მისცენ საცხოვრებელი ბინა იმ მუშაკებსა და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც განაწილების წესით გადადიან ერთი სამუშაოდან მეორე ადგილზე.

თუ დავუშვებთ, რომ მუშაკებად იგულისხმებიან აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტებიც, ასეთ დროსაც კი ვერ შესრულდება მათი საბინაო უფლებები, რადგან ყველა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას არა აქვს — საკუთარი საბინაო ფონდი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივლისის დადგენილების მესამე პუნქტისაგან განსხვავებით „საქართველოს სსრ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების" 36-ე პუნქტში მკაფიოდ და კონკრეტულად არის განსაზღვრული იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა საბინაო უფლებები, რომლებიც განაწილების წესით სხვა ადგილას იგზავნებიან სამუშაოდ.

ამ წესების თანახმად, ახალგაზრდა სპეციალისტებს ბინას აძლევენ საწარმოები, დაწესებულებანი, ორგანიზაციები, ხოლო იმ ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც იგზავნებიან კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, გა-

---

2 დებულება დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ, შეთანხმებულია სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან და ძალაშია სსრ კავშირის უმაღლესი, საშუალო და სპეციალური განათლების მინისტრის 1980 წლის 30 ივლისის ბრძანებით.

3 წესები დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით.

ნათლების, ვაჭრობის, სპორტული, კავშირგაბმულობის, სასამართლოს, პროკურატურისა და სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციებში, თუ ამ უწყებებს საცხოვრებელი ფართობი არა აქვთ, ბინას აძლევენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები შესაბამისი შუამდგომლობით. ისმის კითხვა, ახალგაზრდა სპეციალისტებმა, რომლებიც განაწილების წესით იგზავნებიან სამრეწველო, სამშენებლო, სამეცნიერო ორგანიზაციებსა და სახალხო მეურნეობის სხვა წამყვან დარგებში, რატომ არ უნდა ისარგებლონ იმ ახალგაზრდა სპეციალისტებთან თანაბარი უფლებებით, რომლებსაც საუწყებო საბინაო ფართობის უქონლობის შემთხვევაში ბინით უზრუნველყოფენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომები?! ის კი ყველასათვის ცნობილია, რომ განაწილების ადგილას ახალგაზრდა სპეციალისტთა დამკვიდრებას სწორედ საუწყებო საცხოვრებელი ფართობის უქონლობა უშლის ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ მათთან განაწილების წესით არიან მისულნი, ისეთ ორგანიზაციებს, რომელთაც არ გააჩნიათ თავიანთი საბინაო ფონდი, პრაქტიკული შესაძლებლობა არ აქვთ დახმარება აღმოუჩინონ ახალგაზრდა სპეციალისტებს და ბინით დააკმაყოფილონ ისინი იმგვარად, როგორც ამას შესაბამისი ნორმატიული აქტები და მთავრობის დადგენილებები ითვალისწინებენ.

აქ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როცა ფაქტიური ნორმატიული რეგულირება არ შეესაბამება რეგულირების ობიექტის სათანადო დონეს. მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისაგან წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობის ასეთი რეგულირება კი ვერ მიაღწევს სტაბილურ შედეგს, რამაც საბოლოოდ უნდა განსაზღვროს მდგომარეობა.

როგორც ცნობილია, ყოველწლიურად და სისტემატურად ხდება ჩვენი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის კანონზომიერი მიგრაციული პროცესები, ივსება შრომითი რესურსების დეფიციტი. ახალგაზრდა სპეციალისტთა გარკვეული რიცხვი გეგმიან საფუძველზე იგზავნება სამუშაოდ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ახალგაზრდა სპეციალისტთა სარესპუბლიკათაშორისო, საუწყებათშორისო და პერსონალური განაწილების გეგმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შემადგენელი ნაწილია. სსრ კავშირის მოქალაქეთა შრომის უფლების ერთერთი გარანტია სწორედ ახალგაზრდა სპეციალისტების შესაფერისი სამუშაოთი უზრუნველყოფაა და იგი სსრ კავშირის კონსტიტუციით არის დამკვიდრებული.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი საბინაო პირობების თანამიმდევრული გაუმჯობესების, ბინების კომფორტულობისა და მათი კეთილმოწყობის დონის ამაღლების შესახებ მალე პრაქტიკულად განხორციელდება, მაგრამ მანამდე აუცილებელია გავითვალისწინოთ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც დროებით არსებული სიძნელეების კომპენსაციას მოახდენენ.

ჩვენის აზრით ალბათ მტკიცე ფულადი კომპენსაცია უნდა დაუწესდეთ იმ ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც სამუშაოდ განაწილების შედეგად გაემგზავრებიან სხვა ადგილას ისეთ უწყებაში, რომელსაც არ აქვს თავისი საცხოვრებელი ფართობი.

ახალგაზრდა სპეციალისტთა გარკვეული ნაწილისათვის, განაწილების ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილას გამგზავრების დროს, სერიოზულ დაბრკოლებად იქცევა ხოლმე ისიც, რომ სსრ კავშირის საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების 30-ე და საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 71-ე მუხლების ნუსხებში მოხსენებული არ არის შემთხვევა, როცა ახალგაზრდა სპეციალისტის ბინა, სხვა ადგილას ამ მიზეზით გამგზავრებისას უნდა დაიჯავშნოს. სამწუხაროდ, ასეთი არსებითი ხარვეზი მანამდე მოქმედ საბინაო კანონმდებლობაშიც იყო, მაგრამ დღემდე იგი მაინც არ გასწორდა.

სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარი ფაქტორი გახდა. ვარდაქმნები, რომლებიც ყველგან თვალნათლივ შეიმჩნევა, გულისხმობს აგრეთვე იმას, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობაში სპეციალისტების, განსაკუთრებით ინჟინერ-ტექნიკური კადრების გამოყენება და შეიქმნას მათთვის ელემენტარული საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილებას, ადგილებზე დამაგრებას, მათთვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნას კი უფრო გამიზნული და რეალური სახე უნდა მიეცეს, გამომდინარე, აქედან, გადაუდებელ და აუცილებელ პირობად მიგვაჩნია:

1. საქართველოს სსრ საბინაო კოდექსში (მუხ. 47) განისაზღვროს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კონკრეტული მოვალეობები ადგილებზე ახალგაზრდა სპეციალისტთა ბინით უზრუნველყოფისათვის.

2. დაწესდეს, რომ თუ ვერ უზრუნველყოფენ ახალგაზრდა სპეციალისტებს შესაფერისი ბინით, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, სადაც ისინი მუშაობენ, თვითონ აუნაზღაურონ მათ ბინის ქირა.

3. საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 71-ე მუხლის ჩამონათვალს დაემატოს ისიც, რომ ახალგაზრდა სპეციალისტსაც დაეჯავშნოს საცხოვრებელი ბინა სხვა ადგილას სამუშაოდ გამგზავრებასთან დაკავშირებით.

როდესაც ამ წინადადებებს ვაყენებთ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ, აგრეთვე იმ საზოგადოებრივ აზრსაც, რაზედაც ხელი მიგვიწვდება. მათი მიღება და რეალიზაცია უდავოდ გაზრდის ახალგაზრდა სპეციალისტთა უფლებებს და აამაღლებს მათ პასუხისმგებლობას. ჩვენის აზრით, ეს იქნება მთავარი გარანტია იმისა, რომ ქვეყანას მართლაც მოუმრავლდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, დღეს აგრერიგად რომ სჭირდება სახალხო მეურნეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მართლშეგნების ამაღლების, მოსახლეობის ფართო მასებისათვის სისხლის სამართლის სფეროში ცოდნის მიწოდების მიზნით ჩვენს ჟურნალში 1986 წლის დამდეგიდან იბეჭდება ედუარდ ყიფიანისა და თამაზ შავგულიძის მხატვრულ-პოპულარული ნაწარმოები „ქმნა მართლისა სამართლისა...“ წინა ნომერში დამთავრდა მისი პირველი ნაწილი, რომელშიც გადმოცემული იყო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი ინსტიტუტები.

რედაქციაში შემოვიდა მრავალი წერილი, გამოხმაურება, წინადადება... ერთი სიტყვით, ფართო მკითხველი ინონებს ჟურნალის ამ წამოწყებას.

1987 წლის წინამდებარე ნომრიდან ვიწყებთ მეორე ნაწილის („ჭეშმარიტების ძიება“) გამოქვეყნებას, იგი ეძღვნება დანაშაულის მიზეზების და მისი ხელისშემწყობი პირობების გარკვევას.

ჭეშმარიტების ძიება

ედუარდ ყიფიანი, თამაზ შავგულიძე

ძიების საწყისი

ბიძინა იაშვილი 13 იანვრამდე ვერ გავიდა თბილისიდან. ქუთაის-ტყიბულის გზაზე რომ გადაუხვია, უკვე ბნელოდა. მალე სიარული გაუჭირდა, ასფალტი სულ ახლახან გადაეთოვლათ ბულდოზერებით, მაგრამ ალაგ-ალაგ მოლიპული იყო. ფრიალოულის იქით მანქანით სვლა შეუძლებელი ჩანდა. ბიძინამ სასოფლო საბჭოს ეზოში შეიყვანა მანქანა. ხმაურზე დარაჯმა გამოიხედა. ღია კარებიდან შუქი გრძლად დაეცა თოვლიან ეზოს.

ბიძინამ თბილი წაღები ჩაიცვა და ნაძვას გზას ფეხით დაადგა, მაგრამ თოვლს ისე დაეფარა და გადაესწორებინა არემარე, გზა ცუდად ჩანდა. მოწმენდილი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ანათებდა დათოვლილ მიდამოს, მუხლამდე თოვლს მიარღვევდა, დროდადრო შეჩერდებოდა და სიჩუმეს უსმენდა.

ნაძვას რომ მიუახლოვდა თითქმის ერთდროულად შემოესმა რამდენიმე თოფის ბათქი. ბიძინამ საათზე დაიხედა, ღამის თორმეტი საათი სრულდებოდა, საკუთარ ჭიშკარს ჩაუარა და მამიას სახლს მიადგა, მაგრად დააკაკუნა პალატის კარზე.

— ვინ ხარ? — მოესმა მამიას ბოხი ხმა.

— ახალი წელი!

— რა მოგაქვს?

— მშვიდობა! ბედნიერება! სიმრავლე! ხვავი!

— მობრძანდი!

ბიძინამ კარს უბიძგა. მამიამ, მელანომ და გოჩამ ყიჟინა დასცეს. გაჩირაღდნებულ დარბაზში ბუხარი გუგუნებდა. სუფრა გაწყობილი იყო, შუაში დაბრაწულ გოჭს კბილები დაეკრიჭა.

— სად ხარ, კაცო, დაგვტანჯა სიზმრებმა! — დაიროხროხა მამიამ.

ბიძინამ ჯიბიდან კანფეტი ამოიღო და ირგვლივ მოაბნია. მალე ბუხართან მოეწყვნენ. პურმარილით სავსე ტაბლამაც აქეთ გადმოინაცვლა. როცა სტუმარმა გოჭის ხორცი გადაიღო, ღიმილით იკითხა:

— მამია ეს გოჭი ზრდადასრულებული იყო, უპასპორტო თუ ავადმყოფი?

მამია ისე შეინძრა, ეტყობოდა ამას ელოდა:

— გოჭზე და ავადმყოფობაზე გამახსენდა. შენი, ასე ვთქვათ, ლექციების შემდეგ, მე და ჩემს შვილიშვილს კამათი მოგვივიდა.

— რაზე?

— რა თქმა უნდა, იურიდიული მეცნიერება მთლად ისეთიც არ არის, მე რომ მეგონა, მაგრამ არც ისეთი აღმოჩნდა, როგორიც გოჩას ეგონა...

— რას უწუნებ?

— არაფერს! პირიქით, მომწონს მეცნიერების პრეტენზია რომ აქვს...

—რა, არ არის თუ?!

— მთლად არა. ცოტა აკლია! — გაიცინა მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიამ, — მაგალითად მედიცინაში... თუ გინდა, ვეტერინარია იყოს. ჩვენს კუთხეში იშვიათად ავადდება საქონელი, ძალიან იშვიათად... რატომ თუ იცი?! იმიტომ, რომ გამოცდილი ვეტექიმი გვყავს... ვთქვათ, მძიმედ გახდა ავად საქონელი, გამოვავლენთ და დავკლავთ. ეს არ არის ძნელი და არც ვეტექიმი უნდა ამას, მაგრამ დაავადების მიზეზს მიაკვლიო და მოარჩინო საქონელი, ეს, არ უნდა ლაპარაკი, ძალიან ძნელია. ამიტომ წინასწარ უნდა მიიღო ზომები, რომ ავად არ გახდეს. თქვენ, იურისტები უკეთეს შემთხვევაში, გამოავლენთ ხოლმე დანაშავეს და დასჯით. თუ დანაშაულის მიზეზი არ გამოიკვლიეთ და მისი თავიდან აცილების ღონისძიება არ დასახეთ, ისე რანაირად შეიძლება, სამართალს მეცნიერება უწოდო!

ბიძინას გაეღიმა: — მერე, კაცი საქონელი რომ არ არის?!

— კი, ბატონო, მესმის, კაცი საქონელზე უფრო რთული მოსავლელია... დანაშაული ყველა სენზე ძნელი სამკურნალოა, მაგრამ... რატომ ჩადის კაცი დანაშაულს?

— ამ კითხვის დასმა ადვილია, პასუხის გაცემა კი საკმაოდ ძნელია...

— დიდი ხნის წინ, ჩემი სტუდენტობისას, ფილოსოფიის ლექტორმა გაგვიმარტა, ჩვენს საზოგადოებაში დანაშაულის მიზეზი კაპიტალიზმის გადმონაშთია ადამიანის შეგნებაშიო — ხმამაღლა გაიცინა მამიამ.

— რა გაცინებს... მარქსისტული ფილოსოფია გვასწავლის, რომ ყოფიერება პირველადია, ცნობიერება კი — მეორადი. ყოფიერება ბაზისური კატეგორიაა, ცნობიერება კი — ზედნაშენი. ესე იგი, ჩვენი კაცის შეგნებას ჩვენი ყოფიერება განსაზღვრავს, და არა კაპიტალისტური ცხოვრების წესი...

— აგერ, გოჩას ან მის ტოლ ახალგაზრდას საიდან უნდა ჰქონდეს კაპიტალისტური გადმონაშთი, როცა მათ მამებსა და ბაბუებსაც კი არც დასიზმრებიათ კაპიტალისტური ცხოვრების წესი...

— მართალია, ცნობიერება ყოფიერების უბრალო ანარეკლი არ არის, მაგრამ ცნობიერებას მართლაც განსაზღვრავს ყოფიერება. ეს არ არის სადაო. ამიტომ დანაშაულის მიზეზი ადამიანის შეგნებაში კაპიტალისტური გადმონაშთია, მაგრამ საბჭოთა ადამიანის შეგნებაში ეს გადმონაშთი უშუალოდ კაპიტალიზმის ცხოვრების წესიდან კი არ არის შემორჩენილი, არამედ, თვით ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდან...

— რას ამბობ?! — გულწრფელად გაუკვირდა მამიას — ეს... არამარქსისტული მსჯელობაა...

— ამ ბრალდებას ველოდი შენგან... მისმინე! დანაშაული, უპირველეს ყოვლისა, სოციალური მოვლენაა, ამიტომ, მისი მიზეზები ჩვენს ყოფიერებაში უნდა მოიძებნოს. საბჭოთა სინამდვილეში ჩადენილი დანაშაულის ფესვები ჩვენსავე სინამდვილეში იმალება. რა თქმა უნდა, მთლად გამოსარიცხი არც გარედან შემოსული გავლენაა, მაგრამ ეს ძალიან უმნიშვნელოა, არ გჯერა?

მამიამ უნდოდ გაიქნია თავი.

— ლენინის „სახელმწიფო და რევოლუცია“ თუ გაქვს...

მამიამ გოჩას გადახედა: — ზედა თაროზეა, მარჯვნივ...

გოჩამ სწრაფად მოიტანა წიგნი. ბიძინამ გამოართვა და ხმამაღლა წაიკითხა სათაური: — ლენინი, „სახელმწიფო და რევოლუცია“. ვნახოთ მეხუთე თავის მესამე პარაგრაფი. აგერ: „კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა“ — რამდენიმე ნაწყვეტს წაგიკითხავთ, — მარქსი: „აქ ჩვენ საქმე გვაქვს... არა ისეთ კომუნისტურ საზოგადოებასთან, რომელიც თავის საკუთარ საფუძველზე განვითარდა, არამედ ისეთთან, რომელიც ეს არის ახლა გამოდის კაპიტალისტური საზოგადოებიდან; ამიტომ მას ყოველმხრივ, ეკონომიკურად, ზნეობრივად და გონებრივად, ჯერ კიდევ დაღი აზის ძველი საზოგადოების, რომლის წიაღიდანაც ის გამოვიდა“. ლენინი: „აი, ამ კომუნისტურ საზოგადოებას, რომელიც ეს არის გამოვიდა დღის სინათლეზე კაპიტალიზმის წიაღიდან და რომელსაც ყველა მხრივ ძველი საზოგადოების დაღი აზის, უწოდებს მარქსი კომუნისტური საზოგადოების „პირველ“ ან დაბალ ფაზას. „თანასწორი უფლება — ამბობს მარქსი — აქ ჩვენ მართლაც გვაქვს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ბურჟუაზიული უფლება არის“, რომელიც, როგორც ყოველგვარი უფლება, უთანასწორობას გულისხმობს. ყოველი უფლება არის თანაბარი მასშტაბის მიყენება სხვადასხვა ადამიანისათვის, რომლებიც სინამდვილეში არ არიან თანაბარნი, არ არიან ერთმანეთის თანასწორნი, და ამიტომ „თანასწორი უფლება“ თანასწორობის დარღვევა და უთანასწორობაა. მართლაც, თითოეულს, რომელმაც გამოიმუშავა საზოგადოებრივი შრომის იმდენი წილი, რამდენიც მეორემ — საზოგადოებრივი პროდუქტის თანაბარი წილი ეძლევა. ამავე დროს კი ცალკეული ადამიანები თანასწორნი არ არიან: ერთი უფრო ღონიერია, მეორე—უფრო სუსტი, ერთი ცოლიანია, მეორე კი არა, ერთს მეტი შვილები ჰყავს, მეორეს ნაკლები და ა .შ.“ „ამრიგად კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში (რომელსაც ჩვეულებრივ სოციალიზმს უწოდებენ), „ბურჟუაზიული უფლება“ უქმდება არა სავსებით, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უკვე მიღწეულია ეკონომიკური

ადატრიალება. ე. ი. მხოლოდ წარმოების საშუალებათა მიმართ. „ბურჟუაზიული უფლება“ ამ საშუალებებს ცალკეულ პირთა კერძო საკუთრებად აღიარებს. სოციალიზმი კი მათ საერთო საკუთრებად აქცევს. ამდენად — და მხოლოდ ამდენად — ისპობა „ბურჟუაზიული უფლება“. მაგრამ იგი მაინც რჩება თავის მეორე ნაწილში, რჩება საზოგადოების წევრთა შორის პროდუქტების განაწილებისა და შრომის განაწილების რეგულატორად (განმსაზღვრელად). „ვინც არ მუშაობს, ის არცა ჭამს“ — ეს სოციალისტური პრინციპი უკვე განხორციელებულია. „შრომის თანასწორ რაოდენობისათვის — პროდუქტების თანასწორი რაოდენობა“—ეს სოციალისტური პრინციპიც უკვე განხორციელებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის კომუნიზმი, და ეს ჯერ კიდევ არ სპობს „ბურჟუაზიულ უფლებას“, რომელიც არათანასწორ ადამიანებს „შრომის თანასწორ (ფაქტობრივად არათანასწორ) რაოდენობაში აძლევს პროდუქტების თანაბარ რაოდენობას“. „გამოდის, რომ მარტო ბურჟუაზიული უფლება კი არ რჩება კომუნიზმის დროს გარკვეული ხნის განმავლობაშიც, არამედ ბურჟუაზიული სახელმწიფოც კი — უბურჟუაზიოდ! ძველის ნაშთებს ახალში ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვაჩვენებს ცხოვრება, ბუნებაშიც და საზოგადოებაშიც და მარქსს თვითნებურად კი არ შეუჭედია „ბურჟუაზიული“ უფლების ნაჭერი კომუნიზმში, არამედ მან აიღო ის, რაც ეკონომიკურად და პოლიტიკურად გარდუვალია იმ საზოგადოებაში, რომელიც კაპიტალიზმის წიაღიდან გამოდის“. ხვდები, ახლა, რაში ყოფილა საქმე!? — წიგნი დახურა ბიძინამ.

მამიამ უხერხულად მოისვა თავზე ხელი: — ჰო, ასეა, მაგრამ... მარქსის და ლენინის ეს მსჯელობა ჩვენს დღევანდელ საზოგადოებასაც ეხება?

— თვითონ დაუკვირდი... ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების ცვლილებების მიუხედავად ჩვენ მაინც სოციალიზმის პირობებში ვცხოვრობთ. ეს კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზაა; ძირითადი პრინციპები იგივე დარჩა, რაც სოციალისტური საზოგადოებისათვის არის ნაშანდობლივი.

— მოკლედ, დანაშაულის მიზეზი თვით სოციალისტური სინამდვილეა?

— მეორე უკიდურესობაში ნუ ვარდები... დანაშაულის მიზეზი ჩვენს ყოფაში კაპიტალისტური გადმონაშთებია. კაპიტალიზმიდან მემკვიდრეობით მიღებული. „გადმონაშთები“ მხოლოდ კომუნიზმის დროს გაქრება და ამიტომ, დანაშაულიც მოისპობა. ერთ ადგილს წავიკითხავ კიდევ ლენინის ნაშრომიდან: „მხოლოდ კომუნიზმი ხდის სახელმწიფოს სრულიად ზედმეტს, ვინაიდან აღარავინ არის დასათრგუნავი, — „აღარავინ“ კლასის აზრით, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან სისტემატური ბრძოლის აზრით. ჩვენ უტოპისტები არა ვართ და სრულიად არ უარვყოფთ ცალკეულ პირთა ექსცესების შესაძლებლობას და გარდუვალობას, აგრეთვე ასეთი ექსცესების დართგუნვის აუცილებლობას. მაგრამ ჯერ ერთი, ამისათვის საჭირო არ არის განსაკუთრებული მანქანა, დათრგუნვის განსაკუთრებული აპარატი, ამას შეასრულებს თვითონ შეიარაღებული ხალხი ისევე მარტივად და ადვილად, როგორც ცივილიზირებულ ადამიანთა რომელიმე ჯგუფი თანამედროვე საზოგადოებაშიც კი აშველებს მოჩხუბართ და ხელს უშლის ძალადობას ქალის მიმართ. მეორეც, ჩვენ ვიცით, რომ ძირითადი სოციალური მიზეზი ექსცესებისა, რომლებიც საერთო თანაცხოვრების წესების დარღვევაში გამოიხატება, არის მასების ექსპლოატაცია, მათი გაჭირვება და სიღატაკე. ამ მთავარი მიზეზების მოსპობასთან ერთად, ექსცესებიც გარკვეულად დაიწყებენ კვდომას. ჩვენ არ ვიცით, რამდენად სწრაფად და როგორი თანდათანობით მოხდება ეს, მაგრამ ვიცით კი, რომ ისინი მოკვდებიან. მათ სიკვდილთან ერთად სახელმწიფოც მოკვდება.“

— ესე იგი, სოციალიზმი მთლიანად ვერ სპობს დანაშაულს.

— ვერა.

— მაგრამ მკვეთრად უნდა დაიკლოს, ხომ?

— კი, ბატონო.

— მერე, იკლებს? იკლებს კი არა, თუ არ ვცდები, იურისტებს სატრაბახო არაფერი გაქვთ. უფრო მეტიც, ისეთი დანაშაულიც ხდება, რაზეც ადრე წარმოდგენაც კი არ გვქონდა.

— მართალია!

— რანაირად არის ეს საქმე?!

— ახლაც მართალი ხარ — გაიღიმა ბიძინამ, — ჯერ ერთ რამეს გეტყვი... ავიღოთ, ვთქვათ, მედიცინა. მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება დაავადებებს ამცირებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისეთი დაავადებები ჩნდება, რაც ადრე არ ყოფილა, ან ყოფილა, ოღონდ გავრცელებული—არა. მაგალითად, გრიპები. ასეთი „მაგრამები“ ჩვენს დარგშიც არის. დანაშაული, როგორც სოციალური მოვლენა, რა თქმა უნდა, იკლებს, თუმცა ჩნდება და ვრცელდება ადრე არარსებული დანაშაული. ადრე არ იყო ავტოავარიები. გოჩა, რატომ გავრცელდა ავტოსატრანსპორტო დანაშაული, რას იტყვი?

— ადრე ავტომანქანები არ იყო და, ცხადია, არც ავარიები იქნებოდა, — არ დაიბნა გოჩა.

— არც მანქანების გატაცება იქნებოდა, არა?

— ადრე ცხენებს იპარავდნენ, — გაიცინა მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიამ.

— ჰო! ამას ისიც დაუმატეთ, რომ დროდადრო, აქა-იქ სახელმწიფოს და საზოგადოების ხელმძღვანელები შეცდომებს უშვებდნენ... ეკონომიკურ და იდეოლოგიურ შეცდომებს. ეს გარკვეულ მხარეებში დანაშაულის ზრდას იწვევს ხოლმე. თუმცა, ასეთი აფეთქებები ლოკალურია და არა საზოგადო, იგი დანაშაულის საერთო კლების მიმართულებას მაინც ვერ ცვლის. ეს ასეა, ნამდვილად, სტატისტიკური მონაცემები ვიცი.

მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა. მამიამ თვალით ანიშნა გოჩას, შეშა შემოიტანეო. შემდეგ დინჯად წამოიწყო:

— ყველაფერი გავიგე, მაგრამ ერთ კითხვაზე გამეცი პასუხი, მაგალითად, ზოგიერთი ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზია ბაცილა, იგი რომ არ იყოს, არც ავადმყოფობა იქნება, მეთანხმები?

— ჰეი.

— ის „ბაცილა“ ყველას გვაქვს ტანში, მაგრამ ყველა როდი ვხდებით ავად... შენ, მე, ის, ყველა ამ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, ესე იგი, სოციალიზმში. სოციალიზმში კი კაპიტალისტური გადმონაშთებია. თუ დანაშაულის მიზეზი გადმონაშთია, რატომ ყველა არ ჩადის მას? რატომ ხდება დამნაშავე ერთი, მეორე კი — არა?

— ფული რომ არ იყოს, არც ყალბი ფულის მოჭრა იქნებოდა, სასაქონლო ურთიერთობა რომ არ არსებობდეს, არც სპეკულაცია იქნებოდა და ასე შემდეგ. ეს მოვლენა საერთოა, დანაშაულს კი ერთეულები ჩადიან. რატომ არის ერთიდაიგივე მოვლენა ერთისათვის დანაშაულის მიზეზი და მეორესთვის — არა? ეს გაინტერესებს, ხომ?

— შენ აგაშენა ღმერთმა! — გაიღიმა მამიამ, — მივადექით სათქმელს და ეგ არის... ვთქვათ, ღამით ახალგაზრდა მოდის ქუჩაში, ფული ჭირდება ძალიან. დაინახა, რომ ერთ-ერთი მაღაზიის კარი ღიაა. დარაჯი მთვრალია და ღრმად სძინავს. მცირე ყოყმანის შემდეგ ახალგაზრდა მაღაზიაში შევიდა და ფული ან რაიმე ძვირფასეული მოიპარა.

— თუ ამ ქურდობის მიზეზის გაგება გინდა, მაგას გოჩაც იტყვის. აბა, თქვი, არ შემარცხვინო! — წააქეზა გოჩა ბიძინამ.

— ფული ჭირდებოდა, ეს ერთი! — მზად დახვდა გოჩა, — კარი ღია იყო, ორი, და დარაჯი მთვრალი იყო. სულ სამი!

— ცუდი მაგალითი მოვიყვანე, ნამეტანი ცხადი მიზეზები აქვს! — ხელი ჩაიქნია მამიამ.

— მოიცა, მოიცა! — შეაჩერა ბიძინამ, — არც მთლად ცუდია და არც მთლად — ცხადი. სახლში ფული ხომ გაქვს?

— აბა, სულ ხომ არ გამოვიფხიკები?!

— სად ინახავ?

— კარადის უჯრაში.

— კეტავ იმ უჯრას?

— ვის უნდა დავუკეტო, ამათ?!

— გოჩას რომ ფული დაჭირდეს და იმ უჯრიდან მოიპაროს, რა იქნება ამის მიზეზი, უჯრის დაუკეტაობა?

— არა. ისეთი რა საკეტი უნდა დავადო, რომ მოინდომოს და ვერ გახსნას: თუ გაწყრა ღმერთი და მოიპარა, ამის მიზეზი, — მამია დაფიქრდა, — ამის მიზეზი გოჩას ხელიდან წასვლა იქნება.

— გამოდის, რომ მაღაზიის გაქურდვის მიზეზიც თვით იმ ახალგაზრდაშია და იქ არის საძებარი. ახლა, ამ ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმს შევხედოთ. რა მოხდა? ახალგაზრდას ფული უნდოდა, დაინახა მაღაზიის ღია კარი და მძინარე დარაჯი. ამ პირობამ შექმნა მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია. მოთხოვნილებამ და სიტუაციამ შექმნა გარკვეული ქცევის განწყობა. ეს განწყობა განიმუხტა შესაბამის ქცევაში — ახალგაზრდამ იქურდა.

— ასე ხსნიან ქურდობის მიზეზს ფსიქოლოგები?

— ქურდობის ფსიქოლოგიური მაქანიზმი ასეთია, მაგრამ ასე მარტივი რომ იყოს დანაშაულის მიზეზის ახსნა, საკამათოც არაფერი იქნებოდა. საქმე ის არის, რომ ფულის მოთხოვნილება ყველას გვაქვს. შენ, მაგალითად, იმაზე მეტი ხომ გჭირდება, რაც გაქვს. ახლა იმ ახალგაზრდის ნაცვლად, წარმოიდგინე შენი თავი, რას იზამდი, მოიპარავდი?

— უჰ, რას ამბობს, შე კაცო?! — შეიცხადა მამიამ.

— ჰოდა, ხედავ! მოთხოვნილება იგივე იყო, პირობაც იგივე — ღია კარი და მძინარე დარაჯი. ერთი იპარავს, მეორე — არა. რა ხდება?

— მაგას გეკითხები სწორედ მეც — გაშალა ხელები მამიამ.

— ამ კითხვის დასმა ადვილია, მაგრამ პასუხის გაცემა გაცილებით რთულია. ისე კი სწორ პასუხამდე თავად უნდა მიხვიდე, ლოგიკურად, მაშინ აქვს პასუხს ფასი. წინდაწინ გეუბნები, ამ კითხვას მოკლე პასუხი არა აქვს. რამდენიმე საღამოს ერთად გატარება მოგვიწევს, თან აუცილებლად ჩემს „მაკულატურასთან“ ახლოს უნდა ვიყო, დამჭირდება. მეწვიეთ ხვალ საღამოს და ბუხართან განვაგრძოთ ჩვენი საუბარი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიკა

განიხილავენ კანონის პროექტს

1987 წლის 21 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამოქალაქო სამართლის კათედრის საჯარო სხდომა, რომელიც სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონპროექტის განხილვას მიეძღვნა. განხილვაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის კათედრის თანამშრომლები.

სხდომა გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგემ ს. ჯორბენაძემ. სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის შემუშავება, თქვა მან, განაპირობა იმ ძირეული გარდაქმნებისა და განახლების პროცესმა, რაც მთელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობს. ამ პროცესებს სკკპ XXVII ყრილობამ ჩაუყარა საფუძველი და სწორედ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებების უშუალო გაგრძელებაა ამ კანონის შემუშავებაც, რომელიც დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის დოკუმენტია. ეს არის კომპლექსური ხასიათის აქტი, რომელიც სამართლის სხვადასხვა დარგებისათვის ფუძემდებლურ მნიშვნელობას მოიპოვებს. მხედველობაში გვაქვს არა მარტო ცივილისტური ციკლი, არამედ სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართალიც. ახალ კანონპროექტში მრავალი საკითხი ახლებურადაა გადაწყვეტილი, მნიშვნელოვნად არის გაფართოებული კოლექტივების უფლებები საწარმოს მართვაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახალხო მეურნეობის დღეისათვის არსებული სისტემა მოძველდა, ვერ ამართლებს ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს. ზოგჯერ ამა თუ იმ დარგში ვერ სრულდება სახელმწიფო გეგმები, ან სრულდება უხარისხო პროდუქციის გამოშვების ხარჯზე. აქამდე, რატომღაც, რაოდენობრივ მაჩვენებელს ექცეოდა დიდი ყურადღება და არცთუ იშვიათად უხარისხო პროდუქციის შემქმნელნი პრემიებსაც კი იღებდნენ. ამან განაპირობა უპასუხისმგებლობა, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის შესუსტება. სწორედ ასეთი უარყოფითი მოვლენების აღმოსაფხვრელად შემუშავდა ეს კანონიც. მან ძირეულად უნდა გარდაქმნას სახელმწიფო საწარმოების საქმიანობა. კანონპროექტი შინაარსობრივად და ფორმითაც, ძირითადად, კარგად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ გვაქვს კონკრეტული შენიშვნები ცალკეულ ფორმულირებათა დაზუსტების თვალსაზრისით. კანონში არის და კიდეც უნდა იყოს საპროგრამო დებულებები, მაგრამ ისინი არ უნდა დარჩნენ უბრალო მოწოდებებად, რომელთაც არ ექნებათ არავითარი ნორმატიული შინაარსი. მაგალითად, მე-11 მუხლის მე-ნ პუნქტში ჩაწერილია, რომ „სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება მოვალეა ეკავოს ლიდერის მდგომარეობა“. ყველა საწარმოსათვის, მათ შორის მოწინავესთვისაც, არარეალურია ამგვარი მოთხოვნის წამოყენება, რადგან ყველა როგორ იქნება ლიდერი?!. ასევე არანორმატიული შინაარსისაა მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის დასაწყისი: „საწარმოთა საქმიანობაში მეტი როლი ენიჭება საწარმოთა ეკონომიკურ შეჯიბრებას“, ეს პუნქტი უფრო მოწოდებას შეიცავს, ვიდრე ნორმატიულ შინაარსს. ვფიქრობთ, დახვეწას მოითხოვს მე-2 მუხლის მე-8 პუნქტიც, სადაც ნათქვამია, რომ „საწარმოს მუშაობის მიღწევები და დანაკარგები უშუალოდ ახდენს გავლენას კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივ შემოსავლის დონეზე, თითოეული მუშაკის კეთილდღეობაზე“. აქ საჭიროა ამოღებულ იქნას გამოთქმა: „თითოეული მუშაკის კეთილდღეობაზე“ და მიეთითოს მათ შემოსავალზე, რადგან კეთილდღეობა ფართო ცნებაა და ეს მარტო საწარმოში მუშაობაზე არ არის დამოკიდებული. აქვე გვხვდება ტერმინოლოგიური სიჭრელე, ხოლო პროექტის ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმანში დაუდევრობის ფაქტებიც კი შეინიშნება. მართებულად არ მიგვაჩნია ტექსტში მოცემული ხაზგასმები, რადგან ხომ არ შეიძლება რომ კანონში ზოგი რამ იყოს მნიშვნელოვანი და ზოგი კი უმნიშვნელო მაშინ, როცა კანონის ყველა მუხლი, ყოველი პუნქტი ერთნაირად სავალდებულოა შესასრულებლად.

პროფესორმა ვ. ლორიამ ისაუბრა კანონ-პროექტის სამართალშემოქმედებით და სამეურნეო-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. მსგავსი საკანონმდებლო აქტი, თქვა მან, შიდასაწარმოო დემოკრატიის თვალსაზრისით პირველია ჩვენს ქვეყანაში. ჩემი აზრით, მისი მნიშვნელობა სცილდება სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა ფარგლებს და მისი გამოყენება თავისუფლად შეიძლება საბიუჯეტო ორგანიზაციათა შიდაორგანიზაციული დემოკრატიის განვითარებისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, კანონპროექტი საჭიროებს სრულყოფას და დემოკრატიული პრინციპების ბოლომდე მიყვანას. კანონის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტში ჩაწერილია, რომ საწარმოს (გაერთიანების) ხელმძღვანელ პირებს ირჩევენ შრომითი კოლექტივის საერთო კრებაზე (კონფერენციაზე) ფარული ან ღია კენჭისყრით. საჭიროა მეთითოს, რომ ხელმძღვანელს ირჩევენ კოლექტივის წევრთა რიგებიდან ფარული კენჭისყრით, რადგან მხოლოდ ფარული კენჭისყრა გამოხატავს კოლექტივის ნებას; ამასთან, კენჭისყრა უნდა მოხდეს ორ ან ორზე მეტი კანდიდატურის მიმართ, ან საკონკურსო წესით. ამავე მუხლში სასურველია გაითვალისწინონ, რომ თუ ზემდგომი ორგანო არ დაამტკიცებს არჩეულ თანამდებობის პირს, მან უნდა გაგრძელოს მუშაობა მოვალეობის შემსრულებლის წესით ერთი წლის ვადით. იმ შემთხვევაში თუ მომდევნო წელსაც გაიმარჯვა არჩევნებში, ზემდგომმა ორგანომ ან თნამდებობის პირმა უნდა დაამტკიცოს მისი კანდიდატურა. საჭიროა კანონში აღინიშნოს ხელმძღვანელის ერთპიროვნული გათვალისწინების უფლება და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში შევიდეს ცვლილება, იმ გაგებით, რომ ადმინისტრაციასა და შრომითი კოლექტივის საბჭოს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში ძალაში რჩება ადმინისტრაციის (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილება, შრომითი კოლექტივის საბჭოს თითოეულ წევრს შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება უახლოეს კრებაზე ან კონფერენციაზე. გვაქვს შენიშვნა ტერმინზე — „შრომითი კოლექტივის საბჭო". ჩვენს ქვეყანაში მრავალი სახის „საბჭოა" და ვგონებ უკეთესი იქნება, თუ მის ნაცვლად აღნიშნულ ორგანოს ვუწოდებთ შრომითი კოლექტივის გამგეობას, ცენტრს ან კომიტეტს.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრის პროფესორმა ო. საღარეიშვილმა ისაუბრა ახალი კანონის მიხედვით სახელმწიფო საწარმოების შემოსავლების, გასავლების და შრომის ანაზღაურების საკითხებზე. ახალი კანონის მიხედვით, თქვა მან, საწარმოებმა თვითონ უნდა დაამუშაონ თავიანთი სატარიფო სისტემა. სინამდვილეში კი ეს აღემატება სახელმწიფო საწარმოების შესაძლებლობებს, რადგან მეტად რთული პროცესია და მხოლოდ სათანადო ორგანოებს შეუძლიათ მისი დამუშავება, ამიტომ საჭიროა კანონ-პროექტში შევიდეს სათანდო ცვლილება. ტერმინის „სამეურნეოანგარიშიანობის" შემოღება ჩემი აზრით, გამართლებული არ არის, რადგან გვაქვს საწარმოთა ნაწილი, რომლებიც შორს დგანან სამეურნეოანგარიშიანობისაგან. ამასთან, კანონპროექტის მე-6 მუხლი ეხება საწარმოო მართვას, მართვა გულისხმობს ყველა მუშაკისათვის თავისი ადგილის მიჩენას სპეციალობისა და უნარის მიხედვით. ამიტომ საჭიროა განისაზღვროს ჯერ სპეციალისტის ფუნქცია (რიგითი სპეიცალისტისა, საიდანაც იწყება მართვა,) შემდეგ კი ხელმძღვანელი პირებისა (ადმინისტრაციისა), რადგან მარტო ადმინისტრაცია ხომ არ მართავს საწარმოს?

სამოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტმა ლ. ადეიშვილმა თქვა, რომ დასაკონკრეტებელია კანონის ზოგიერთი მუხლი, კერძოდ, მე-6 მუხლის მესამე პუნქტი, სადაც საუბარია თანამდებობის პირის გათავისუფლებაზე. მიგვაჩნია, რომ ეს ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „არჩევის ვადის გასვლამდე თანამდებობისათვის შეუფერებლობის გამოვლენის ან შრომითი მოვალეობების არასაპატიო მიზეზებით შეუსრულებლობის შემთხვევაში საწარმოს, გაერთიანების, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თანამდებობიდან ათავისუფლებს ზემდგომი ორგანო შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) ან მისი რწმუნებულის — შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე". ამასთან, პროექტში არაფერია ნათქვამი, თუ რა გარანტიები წესდება არჩევითი თანამდებობის პირის. ახალი ვადით აურჩევლობის შემთხვევაში. საერთოდ, დადგენილი წესით, ასეთ მუშაკს ეძლევა წინანდელი სამუშაო (თანამდებობა) ან ადრინდელის ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა) იგივე საწარმოში ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი თანხმობით, სხვა საწარმოში. ვფიქრობთ ახალი კანონით ასეთივე გარანტია უნდა დაწესდეს საწარმოს არჩევითი თანამდებობის პირისთვისაც, ცხადია, ეს გარანტია არ უნდა შეეხოს არჩევის ვადის გასვლამდე გამოწვეულ პირებს. დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით არჩევითი თანამდებობის პირებს (ახალი ვადით აურჩევლობის შემთხვევაში) არ უნარჩუნდებათ ხელფასი ახალი სამუშაოს მიცემამდე. კანონმდებლობის ამ ხარვეზის გამოსწორება კი შეიძლებოდა ახალ კანონში სათანადო წესის შემოღებით, რომელიც დაწესებდა არჩევის ვადის გასვლის შემდეგ თანამდებობიდან გათავისუფლებული ხელმძღვანელი პირისათვის საშუალო ხელფასის შენარჩუნებას ახალი სამუშაოს მიცემამდე.

კანონპროექტი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ მეტად მნიშვნელოვანი აქტია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და ამიტომ გახდა იგი ასეთი ფართო განხილვის საგანი, თქვა იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ლ. ჯიმარჯიძემ. მისი მნიშვნელობა უდავოდ დიდია, მაგრამ კარგი იქნება თუ მასში გაითვალისწინებენ შემდეგს: ტექსტში მრავალი განმეორებაა, ცალკეული ადგილები ატარებენ დეკლარაციულ ხასიათს, მუხლები დიდი მოცულობისაა და უფრო კომენტარებს გავს, ვიდრე კანონს. საჭიროა ტექსტი გახდეს უფრო ლაკონური, მოკლე და გასაგები, რათა გამორიცხული იყოს აზრთა სხვადასხვაობა. გარდა ამისა, ჩემი აზრით, კანონის პირველ პუნქტში უნდა ამოვიღოთ სიტყვები: „კოოპერაციულ საკუთრებასთან ერთად", რადგან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კოოპერაციული და არა სახელმწიფო საკუთრება წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში საკუთრების წამყვან ფორმას. სერიოზულ გადამუშავებას მოითხოვს კანონის მე-5 მუხლი (მე-4 და მე-5 პუნქტი), რადგან აქ არასწორადაა განსაზღვრული საწარმოებისა და გაერთიანების შემადგენლობაში მყოფი ერთეულების მოქმედების ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები. საფუძვლიან კრიტიკას იწვევს კანონპროექტის 23-ე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ „თუ საწარმო ხანგრძლივად ზარალიანი და გადახდისუუნაროა, არ არის მოთხოვნა მის პროდუქციაზე და იმ შემთხვევებში, როცა მიღებული ზომები სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობის რენტაბელობის უზრუნველყოფისათვის შედეგებს არ იძლევა", შეიძლება მისი საქმიანობა შეწყდეს. ამ კონსტრუქციაში ბევრი დათქმაა და ამიტომ მისი შინაარსიც ძალზე გაუგებარია.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა შ. ჩიკვაშვილმა ისაუბრა ახალი კანონის ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებზე. ხშირ შემთხვევაში თქვა მან, კანონპროექტში საწარმოს ცნება გაიგივებულია შრომითი კოლექტივის ცნებასთან, ასეა მე-3 და მე-4 მუხლებში, ვფიქრობთ, აქ შრომითი კოლექტივების ნაცვლად უნდა ვიხმაროთ „საწარმო". დასახვეწია მესამე მუხლიც, სადაც ისეა წარმოდგენილი, თითქოს ეკონომიკური სტიმულირების ფონდი და მატერიალური წახალისების ფონდი ერთიდაიგივე იყოს. ხოლო მე-4 მუხლით საწარმოებში გათვალისწინებულია ორცვლიანი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში სამ და ოთხცვლიანი სამუშაო რეჟიმი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დაუშვებელია ერთცვლიანი მუშაობა. მე-8 მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით გამოდის, რომ დაწინაურება ან დაქვეითება ატესტაციის აუცილებელი შედეგია და არ შეიძლება მუშაკის დაკავებულ თანამდებობაზე დატოვება. მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი ითვალისწინებს ხელმძღვანელის არჩევას 5 წლის ვადით. სასურველია იქვე მიეთითოს თუ რამდენჯერ შეიძლება ერთიდაიგივე პირის არჩევა აღნიშნულ თანამდებობაზე.

იურიდიულ ფაკულტეტის პროფესორმა რ. შენგელიამ ისაუბრა იმ მოსალოდნელ ეფექტებზე, რაც საწარმოთა საფინანსო დამოუკიდებლობას უნდა მოჰყვეს. აღნიშნა, რომ საწარმოს საფინანსო უფლებების გაფართოება შესაძლებელს გახდის მათ სრულ სამეურნეოანგარიშიანობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლას. აქედან გამომდინარე საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებელი გახდება მისი შემოსავალი, რომლის ნაწილი უნდა მოხმარდეს ბიუჯეტის, ბანკის, ზემდგომი ორგანოების წინაშე ნაკისრი ფულადი ვალდებულებების შესრულებას, მეორე ნაწილი კი დარჩება მას უშუალო განკარგულებაში და ნაწილდება სხვადასხვა ფონდებში. ადრინდელთან შედარებით მრავალფეროვანი გახდა ეკონომიკური სტიმულირების ფონდების დანიშნულება. კანონპროექტში გათვალისწინებულია მოგების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, სოციალური განვითარების, მატერიალური წახლისების, საფინანსო რეზერვის და სავალუტო ანარიცხების ფონდების შექმნა. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია აქვე ჩაემატოს საამორტიზაციო ფონდი და ზოგიერთი სპეციალური ფონდი, რომელთა გარეშეც წარმოების სამეურნეო საქმიანობა წარმოუდგენელია, მაგალითად, ფართო მოხმარების ფონდი, მაღალი ხარისხის საქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის გამოშვების ფონდი და ა. შ. ამჟამად, საწარმოები იხდიან ზოგიერთი ისეთი სახის გადასახადებს, რომლებიც მომავალში დაკარგავენ მნიშვნელობას. მაგალითად, მოგების თავისუფალი ნაშთის ანარიცხები. ასეთი თანხები ალბათ საწარმოს უნდა დარჩეს. სამაგიეროდ უნდა გაიზარდოს ისეთი გადასახადების მნიშვნელობა, როგორიცაა ბრუნვის გადასახადი და ფონდების საფასური, ამიტომ მიზანშეწონილია კანონში განსაზღვრული იყოს გადასახადების სახეობა და რაოდენობა. კანონპროექტი ითვალისწინებს დროებით გეგმით ზარალიანობის დროს საწარმოს ზემდგომი ორგანიზაციებიდან დაფინანსებას დოტაციის ლიმიტის ფარგლებში, აგრეთვე, გამონაკლისის სახით, ცენტრალიზებული წესით საწარმოთა დაფინანსებას და ჩამოთვლის ცალკეულ შემთხვევებს, როცა გამონაკლისის სახით დაიშვება ღონისძიებათა ცენტრალიზებული წესით დაფინანსება. ჩვენის აზრით, ჩამოთვლა და კონკრეტული შემთხვევების მითითება არასწორია. საჭიროა კანონში ჩაიწეროს, რომ „გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია ასეთი დაფინანსება", ამასთან, სასურველია მე-18 მუხლში მკვეთრად გაიმიჯნოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით და იმის მხედველობაში მიღებით, რომ მოკლევადიანი კრედიტი გაიცემა საბრუნავ საშუალებებთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის, გრძელვადიანი ძირითად ფონდებთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის.

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის მიღება, თქვა დოცენტმა ნ. ლორთქიფანიძემ, გამოიწვევს მანამდე მოქმედი მრავალი ნორმატიული აქტის ცვლილებას. ამიტომ პროექტში პირდაპირ უნდა გაესვას ხაზი, რომ ყველა სხვა საკანონმდებლო აქტი, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო საწარმოს საქმიანობას, მოიყვანება ამ კანონთან სრულ შესაბამისობაში. კანონპროექტი გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს. კერძოდ, მასში ვრცლად არის მითითებული სხვა ნორმატიულ აქტებზე, რაც ნებისმიერი კანონის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ. მე-7 მუხლი ეხება საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭოს, რომელიც ასრულებს შრომითი კოლექტივის რწმუნებას კრებებს (კონფერენციებს) შორის პერიოდში. აქვე განსაზღვრულია საბჭოს უფლებამოსილებაც. ბევრ რამეში მისი საქმიანობა წააგავს პროფკომის საქმიანობას. ამიტომ საჭიროა მკვეთრად გაიმიჯნოს ამ ორი ორგანოს სამართლებრივი მდგომარეობა. პროექტის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით საწარმო ვალდებულია იმუშაოს უზარალოდ. ასეთი კატეგორიული მითითება სავსებით მისაღებია, მაგრამ თუ საწარმო თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს არ არღვევს და ზარალისათვის ბრალი მიუძღვის მესამე პირს (სხვა საწარმოს), რატომ უნდა დადგეს ბრალეული ორგანიზაციის მიმართ შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობა და არა პასუხისმგებლობა მათი ბრალის სრული გათვალისწინებით? სასურველია, კანონში გათვალისწინებული იყოს ბრალეული მესამე პირის სრული პასუხისმგებლობა.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილების ასპირანტმა რ. ფიფიამ აღნიშნა, რომ კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ განსაზღვრავს არა მარტო საწარმოების და გაერთიანებების, არამედ მათ შემადგენლობაში არსებული სტრუქტურული ერთეულებისა და ქვეგანაყოფების სამართლებრივ სტატუსს, მაგრამ მე-5 მუხლში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ საწარმოებს შეიძლება გახსნილი ჰქონდეთ ფილიალები, რომლებიც საწარმოს ჩვეულებრივ ქვეგანაყოფთან შედარებით, მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობენ, სკკპ XXVII ყრილობაზე ჩვენი პარტიის ლიდერმა მ. ს. გორბაჩოვმა ხაზი გაუსვა მცირე საწარმოთა უპირატესობას და აღნიშნა, რომ „მათ უფრო მოქნილად და სწრაფად შეუძლიათ გაითვალისწინონ ტექნოლოგიური სიახლენი, უფრო ოპერატიულად დააკმაყოფილონ საჭიროებანი წვრილსერიულ და საცალო პროდუქციაზე, უკეთ გამოიყენონ თავისუფალი შრომითი რესურსები". სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში დასახულია ფილიალების შემდგომი განვითარება, ამდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალმა კანონმაც განსაზღვროს მათი სამართლებრივი სტატუსი და მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ცალკე პუნქტი: საწარმოს თავისი მუდმივი ადგილსამყოფელის გარეთ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე, შეიძლება გახსნილი ჰქონდეს ფილიალი, რომელიც მოქმედებს საწარმოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე. ფილიალს საწარმო-სამეურნეო მიზნებისათვის საწარმო გადასცემს საჭირო ძირითად ფონდებს და საბრუნავ საშუალებებს, მას აგრეთვე შეიძლება ჰქონდეს ცალკე ბალანსი. ფილიალი საწარმოს მიერ გაცემული რწმუნებულების საფუძველზე დებს სამეურნეო ხელშეკრულებებს და კისრულობს პასუხისმგებლობას ამ ხელშეკრუ-

ლებებიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის მასზე მიმაგრებული ქონებით, ხოლო ამ ქონების უკმარისობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება უშუალოდ საწარმოს. ფილიალი თავის შემადგენლობაში შეიძლება მოიცავდეს შიგა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ქვეგანაყოფებს. ფილიალის დირექტორი სამუშაოზე ღებულობს და სამუშაოდან ითხოვს მუშა-მოსამსახურეებს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტის მასწავლებლებმა ტ. ზამბახიძემ და მ. კაბაძემ, პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტმა მ. გოგოხიამ.

სამოქალაქო სამართლის კათედრის საჯარო სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი გ. მიქანაძე, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ლ. თალაკვაძე.

ზაირა მარტიაშვილი.

პროკურატურის ორგანოების პარტიული აქტივის კრება

გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების პარტიული აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების ამოცანებს.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე **ვ. შარაშენიძე.** კამათში მონაწილეობა მიიღო **მ. ქურდაძემ, რ. ულენტმა, ჯ. ბაბილაშვილმა, ზ. ბარციცმა, ა. ნოზაძემ, ზ. ჯორჯიკიამ, ა. ბაქრაძემ, მ. ნოზაძემ, ა. კალმახელიძემ, ზ. მიქაბერიძემ, ზ. კვირკველიამ, მ. ქურდაძემ, ვ. ხიონიდმა** და **მ. რუბშტეინმა.**

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოები მეტად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან. კერძოდ, მათ ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ძირეულად გარდაქმნან მუშაობის სტილი და მეთოდები, ფართო ფრონტით შეუტიონ ისეთ ნეგატიურ მოვლენებს, როგორიცაა უშრომელი შემოსავალი, ლოთობა, ალკოჰოლიზმი, განუხრელად განამტკიცონ შრომითი და სახელმწიფო დისციპლინა. კრებაზე ითქვა, რომ პროკურატურის ორგანოების საქმიანობა ამ მიმართებით ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე. ეს განსაკუთრებით წარმოაჩინა სამოქალაქო მშენებლობაში გამოვლენილმა მიწერებმა. კერძოდ, საპროკურორო ზედამხედველობის შესუსტებამ, და საერთოდ, პროკურატურის ორგანოების თვალის დახუჭვამ გამოიწვია ის, რომ უკანასკნელ ხანს 43 სამშენებლო ობიექტი დაუმთავრებელი გადაეცა საექსპლოატაციოდ.

პარტიული აქტივის კრებამ ცხადყო, რომ ცალკეული ქალაქებისა და რაიონების პროკურორებმა ჯერ კიდევ სრულად ვერ გაიგეს გარდაქმნის ჭეშმარიტი არსი — სიტყვით არ უარყოფენ გარდაქმნის აუცილებლობას, საქმით კი ძველის ტყვეობაში არიან, მაშინ, როცა გარდაქმნა, უწინარესად, საკუთარი თავის გარდაქმნას გულისხმობს.

პარტიული აქტივის კრებაზე პირუთვნელი სჯა-ბაასი გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ სამართალდაცვითი ორგანოების წინაშე დასახული ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანის ირგვლივ — აბსოლუტურად აღმოიფხვრას მოქალაქეთა დაუსაბუთებელი დაკავების, დაპატიმრების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, ჩხრეკის ჩატარების ფაქტები. ითქვა, რომ თითოეული ასეთი შემთხვევა ფართო მსჯელობისა და საგანგებო რეაგირების საგნად უნდა იქცეს.

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასახულია რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში მუშაობის ძირეული გარდაქმნის კონკრეტული გზები და პერსპექტივები.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნის პირველი შედეგები

ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელმაც შეაჯამა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების საქმიანობა გასულ წელს. კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქების, რაიონების, ტრანსპორტის პროკურორები.

მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის პროკურორი ვ. რაზმაძე. ახლა, როცა, — თქვა მან,— წელიწადზე მეტი გავიდა სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების მიღებიდან, უკვე შეგვიძლია გავაანალიზოთ გარდაქმნის პირველი შედეგები. ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნის პარტიამ და მთავრობამ მიიღო მრავალი მნიშვნელოვანი დადგენილება, რომლებიც მიმართულია სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

ახალ მოთხოვნათა შესაბამისად საპროკურორო ზედამხედველობის ძირეული გარდაქმნისათვის რესპუბლიკის პროკურატურის მუშაობა უმთავრესად მიმართული იყო მიღებული ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ. გააქტიურდა ანალიტიკური მუშაობა, სისტემატურად მოწმდებოდა დამნაშავეობის წინააღმდეგ განხორციელებული საქმიანობის შედეგები, ინფორმაციები სისტემატურად ეგზავნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, აგრეთვე ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს, პროკურორებს.

ამაღლდა საპროკურორო ზედამხედველობის დონე სამინისტროებში, უწყებებში, მათზე დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, შესამჩნევად გააქტიურდა კანონიერების დარღვევებზე რეაგირება, შესამჩნევად გაიზარდა პროკურორთა პასუხისმგებლობა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების საქმეში. ამაღლდა პროკურორთა მომთხოვნელობა ისეთი სისხლის სამართლის დანაშაულობათა გახსნის, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია უშრომელი შემოსავლის მიღებასთან.

გაიზარდა პროკურორთა ორგანიზატორული როლი სამართალდაცვითი ორგანოების დამნაშავეობასთან ბრძოლის კოორდინაციის საქმეში. სამართალდაცვითი ორგანოების შეთანხმებულ მოქმედებათა მთელმა კომპლექსმა დადებითად იმოქმედა რესპუბლიკაში კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებაზე, დანაშაულობათა საერთო, მათ შორის მძიმე დანაშაულობათა რიცხვის შემცირებაზე.

შემცირდა დანაშაულის გამოვლინების საერთო მაჩვენებელი, მათ შორის განზრახ მკვლელობის, სხეულის მძიმე დაზიანების, გაუპატიურების, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ქონების ქურდობის, ყაჩაღობის, ძარცვის, ნარკომანიის. არასრულწლოვანთა ან მათი მონაწილეობით ჩადენილია 16,4 პროცენტით ნაკლები დანაშაული 1985 წელთან შედარებით. ანგარებით დანაშაულთა საერთო რაოდენობის 58 პროცენტი დაკავშირებულია უშრომელი შემოსავლის მიღებასთან.

სულ უფრო უკომპრომისო ხდება ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ; გამოვლენილი და ჩამორთმეულია 2,5 ათასი არყის დასამზადებელი აპარატი, 15 ტონაზე მეტი შინაური არაყი და სხვა შინნახადი სპირტიანი სასმელები, რომელთა თვითნებურად დამზადებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა 403 პირს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია დანაშაულის მასაზრდოებელ ისეთ გავრცელებულ მიზეზებთან და ფაქტორებთან ბრძოლაში, როგორიცაა ლოთობა, მუქთახორობა, რეციდივი, ხულიგნობა; სათანადო დონეზე არ დგას დანაშაულის პროფილაქტიკა, ამიტომ არის, რომ მკვლელობათა ნახევარზე მეტი ჩადენილია ეჭვიანობის, ჩხუბის და სხვა საყოფაცხოვრებო შეუთავსებლობის ნიადაგზე. რეციდივისა და ჯგუფური დანაშაულის დონე კვლავ მაღალია.

მძიმე დანაშაულობებმა იმატა ახალციხის, მახარაძის, აბაშის, წალკის და ზუგდიდის რაიონებში. განზრახ მკვლელობათა შემთხვევების რიცხვმა იმატა ქ. გორში, წყალტუბოში, მახარაძისა და ცხაკაიას რაიონებში.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ შექმნილა თითოეული ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის გარდაუვალობის ატმოსფერო, ამის გამო ზოგიერთი მძიმე დანაშაული რჩება გაუხსნელი, საშიში დამნაშავენი კი—დაუსჯელი. გაუხსნელი დარჩა ზოგიერთი მკვლელობა აჭარის ასსრ-ში, ქ. თბილისში, გარდაბნის, გეგეჭკორის, სამტრედიის რაიონებში. ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი ანტისაზოგადოებრივი პრაქტიკის ცალკეული შემთხვევები, კერძოდ, დანაშაულის დაფარვის ფაქტები, რაც ცხადია უარყოფითად მოქმედებს დანაშაულის გახსნაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად გააქტიურდა ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის წინააღმდეგ, ზოგიერთ რაიონში ამ საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ ინერტულ ხასიათს ატარებს. კერძოდ, ახპინძის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ამბროლაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის, მესტიის, ჩოხატაურის რაიონებში ბოლო ორი წლის განმავლობაში მეკრთამეობის არც ერთი შემთხვევა არ გამოვლენილა. არადამაკმაყოფილებელია სოციალისტური საკუთრებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების პროფილაქტიკური საქმიანობა შენიღბული გაფლანგვებისა და დატაცების აღსაკვეთად, რის გამოც შესამჩნევად გაიზარდა დატაცებები, განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

ასეთი ვითარება გადაჭრით მოითხოვს საპროკურორო ზედამხედველობის ყველა დარგის ძირეულ გარდაქმნას, მის ოპერატიულობასა და შემტევითობას, საგამოძიებო აპარატის მუშაობის შემდგომ ამაღლებასა და სრულყოფას. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი პროკურორი მოკლებულია პრინციპულობასა და სიფხიზლეს, არ ღებულობს საჭირო ღონისძიებებს კანონის თითოეული დარღვევის მიმართ. ერთხელაც არ ჩატარებულა შემოწმება მიწერების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების გამოსავლინებლად ასპინძის, ახმეტის, მესტიის, ონის, საგარეჯოს, თიანეთის, ჩოხატაურის რაიონებში, სათბობისა და ენერგორესურსების ეკონომიურად ხარჯვისათვის — ზუგდიდის, მაიაკოვსკის, ჩოხატაურის, მესტიის რაიონებში. გამოძიების ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია საჩხერის, ადიგენის, გორის, ზუგდიდის, ახალციხის რაიონებისა და თბილისის ტრანსპორტის პროკურატურაში, თიანეთის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, ზესტაფონის, დმანისის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებებში.

ყოველ მეოთხე საქმეზე საგამოძიებო ვადები დარღვეულია აფხაზეთის ასსრ პროკურატურისა და ასპინძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებლების მიერ. გამოძიებას უხეშად აჭიანურებენ წყალტუბოს, თბილისის, წალკის, დმანისის, ახმეტის რაიონების პროკურატურის, ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურატურის, აგრეთვე წალკის, კასპის, ბორჯომის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებლები.

ჯერ კიდევ ვერ აღმოიფხვრა უკანონოდ დაკავების, დაპატიმრებისა და მოქალაქეთა სამართალში მიცემის შემთხვევები.

მართალია, შესამჩნევად იკლო არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობების საერთო რიცხვმა, მაგრამ მათი მონაწილეობა მძიმე დანაშაულობებში ჯერ კიდევ დიდია.

სერიოზული დარღვევები აღინიშნება შრომაგასწორების დაწესებულებებში და საგამოძიებო იზოლატორებში, რაც გამოწვეულია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადმინისტრაციის მიერ პატიმართა და მსჯავრდებულთა ყოფაქცევის კონტროლის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციით.

არსებითი ნაკლოვანებებია საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის ორგანიზაციის საქმეში. არ აღმოფხვრილა ფორმალიზმის ელემენტები, ზოგიერთი პროკურორი ციფრობრივი მაჩვენებლების დევნაში უყურადღებოდ ტოვებს სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლების საკითხს.

კოლეგიამ საჭიროდ ჩათვალა, რომ კვლავაც გაგრძელდეს ქმედითი ღონისძიებები მოქალაქეთა საჩივრების, განცხადებების დროულად და ხარისხიანად განხილვისათვის, მოქალაქეთა ორგანიზებული მიღების, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, სტატისტიკის კულტურის, ანალიტიკური და სხვა დოკუმენტების ხარისხის ამაღლებისათვის.

რესპუბლიკის პროკურატურამ კიდევ უფრო მეტი პრინციპულობით უნდა იბრძოლოს კადრების განსამტკიცებლად, მისი ხარისხობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს უსულგულობის, ადამიანის ბედისადმი უყურადღებო დამოკიდებულების, უპრინციპობის გამოვლენის აღმოსაფხვრელად, აგრეთვე პროკურატურის რიგების გაწმენდისათვის შემთხვევითი, უპატიოსნო, სახელგატეხილი თანამშრომლებისაგან.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის პროკურორმა თ. ტულუშმა, აფხაზეთის ასსრ პროკურორმა ვ. ვარდიამ, აჭარის ასსრ პროკურორმა დ. თამაზაშვილმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორმა პ. ბათიკოევმა, ქ. ქუთაისის პროკურორმა ჯ. ბაბილაშვილმა, ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორმა რ. ყიფიანმა, რესპუბლიკის პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივანმა ზ. მიქაბერიძემ, სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსებმა ზ. კვირკველიამ, ნ. შაშკინმა და ლ. ჟუთათელაძემ.

კოლეგიამ დასახა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებები.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ვ. ბაძრაძე, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. სიდამონიძე, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ლ. თალაკვაძე.

ვლადიმერ ხიონიდი,
ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ შტატგარეშე კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიმინალისტიკის ისტორიიდან

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

„იურიდიულმა ლიტერატურამ“ გამოსცა წიგნი „ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები“, რომელიც შეიცავს სამ სტატიას: დიდიე გულარის — მაფიის ისტორია, ჯონ შევის — ვან მეეგერენი და ყალბი ვერმეერები და პოლ ბაკის — თავდასხმა გლაზგო-ლონდონის საფოსტო მატარებელზე.

„წინამდებარე წიგნში, — ნათქვამია ანოტაციაში, — აღწერილია სამი სისხლის სამართლის საქმე, რომლებიც ეხება გლაზგო-ლონდონის საფოსტო მატარებლის გაძარცვას, მაფიის დანაშაულებრივ საქმიანობას და იმ კაცის სასამართლო პროცესს, რომელიც ქმნიდა ჰოლანდიის აღორძინების ხანის მხატვართა სურათების ყალბ პირებს. ეს მასალები აღებულია „დანაშაულობათა და კრიმინოლოგიის საერთაშორისო ენციკლოპედიიდან“, რომელიც შვეიცარიაში გამოიცა. მან კრიმინალისტთა ფართო აღიარება მოიპოვა. ენციკლოპედიის შემდგენლები მიზნად ისახავდნენ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დანაშაულობათა მეცნიერული ისტორიის შექმნას და სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმეთა მოშველიებით შეეცადნენ გაეხსნათ ამ დანაშაულობათა მიზეზები“.

ამ წიგნის რუსულ გამოცემას ახლავს მოკლე შესავალი:

„ეს სამი სტატია, რომლებსაც მკითხველს ვთავაზობთ, აღებულია შვეიცარიის გამომცემლობა „ედიტო-სერვისის მიერ 1974 წელს დასტამბულ „დანაშაულობათა და კრიმინოლოგიის საერთაშორისო ენციკლოპედიის“ მრავალტომეულიდან. ენციკლოპედიას ტიტულზე აწერია საერთო სათაური — „ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები“, როგორც ამ გამოცემის წინასიტყვაობაშია ხაზგასმული, მისი მიზანია სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში ჩადენილ მსოფლიოში ცნობილ დანაშაულთა მაგალითებზე გაგვაცნოს ის ადამიანები, რომლებიც ამ დანაშაულობებში მონაწილეობდნენ, ის წრე და გარემო, საიდანაც ისინი გამოვიდნენ, გამოარკვიოს მათი სისხლისსამართლებრივი ქმედების მოტივაციები, აგრეთვე იმ დამნაშავეთა ფსიქოლოგია, რომლებიც წარმოშობით, ძირითადად, ბურჟუაზიული საზოგადოების, ეგრეთ წოდებული, წესიერი ოჯახებიდან არიან.

ავტორები, სურდათ მათ ეს თუ არა, მაინც იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ყველა ზემოხსენებული დანაშაულის მიზეზი თვით ბურჟუაზიული საზოგადოებაა თავისი ანტიჰუმანური მორალითა და იდეალებით, ის საზოგადოება, სადაც პიროვნების თავისუფლების მოტივით ყველაფერი ნებადართულია და ქება-დიდებას ასხამენ ძალადობის კულტს, რომლის ფეტიშიცაა მხოლოდ ფული, ფული და ფული.

ენციკლოპედიაში წიგნში დაბეჭდილი სტატიებისათვის გამომცემლებმა სხვადასხვა ქვეყნის ავტორები შეარჩიეს, რათა ზუსტად ასახულიყო ქვეყნის ეროვნული სული, მისი ზნე-ჩვეულებები და კანონები, რომლებიც რამდენადმე გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ ავხსნათ ამა თუ იმ ცნობილი დანაშაულის საფუძვლები. ამას თვით წიგნში გამოქვეყნებული მასალები ღადებენ.

ენციკლოპედიის შემდგენლები გვერდს უვლიან სენსაციურობას და ცდილობენ ობიექტურად შეაფასონ დანაშაული, დამნაშავენი, აგრეთვე ბურჟუაზიული პოლიციისა და მართლმსაჯულების მოქმედება.

ჩვენი აზრით, წინამდებარე წიგნს ინტერესით გაეცნობიან არამარტო მკითხველთა ფართო მასები, არამედ სპეციალისტებიც — კრიმინალისტები და კრიმინოლოგები, გამომძიებლები და მოსამართლენი, პროკურატურის მუშაკები და ყველა ის იურისტი, ვინც სისხლის სამართლის საკითხებს სწავლობს“.

ჩვენი ჟურნალის მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ამ საინტერესო წიგნს, რომელიც **გელა ბერძენიშვილმა** თარგმნა.

მაფიის ისტორია

დიდიე გულარი

შეერთებული შტატების მეორე მთავრობა

თქმა არ უნდა, მაფია რაც არის, ყველამ იცის. მაგრამ, ამავე დროს, ზუსტად არავინ იცის თუ სახელდობრ რა არის იგი. ასეთი პარადოქსი გვიტაცებს და გვაღიზიანებს კიდეც. როგორც ჩანს, მისი სავსებით დამაკმაყოფილებლად და საბოლოოდ განსაზღვრა, შეცნობა და გაანალიზება შეუძლებელია. თუმცა ჯერ არც ერთ საიდუმლო ორგანიზაციას არ გამოუწვევია ესოდენ დიდი ცნობისმოყვარეობა, ასეთი გატაცება და გაუთავებელი ლაპარაკი.

უკვე მთელი საუკუნეა, რაც მაფია ფაროო ლიტერატურის გამორჩეული თემაა. ურიცხვია მაფიისადმი მიძღვნილი ისტორიკოსთა შრომები, ჟურნალისტთა რეპორტაჟები, კერძო თუ ოფიციალურ გამოძიებათა თაობაზე მომზადებული მოხსენებები და საპოლიციო არქივები. ერთი მხრივ, რადიო, ტელევიზია და კინო ამ თემაზე ქმნიან სენსაციურ გადაცემებს, „სახელგანთქმულ“ ფელეტონებსა და ფილმებს, რომლებიც დიდი წარმატებით სარგებლობენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მაფიაზე განუწყვეტლივ მიმართულია პროჟექტორები, იგი მაინც ინარჩუნებს თავის საიდუმლოებას.

ზოგი იქამდეც კი მიდის, რომ საერთოდ უარყოფს მის არსებობას. „ეს მითია, ლეგენდაა, — ამბობენ ისინი, — იგი ჟურნალისტებისა და სცენარისტების გამონაგონია“, ასე ადასტურებენ მაფიის წევრის ვალაკის სიმართლეს, რომელმაც უცებ შეწყვიტა თხრობა თავის თავგადასავალზე „კოზა ნოსტრაში“ (მაფიის სახელწოდება შეერთებულ შტატებში), შემდეგ კი მწარედ უთხრა ამერიკელ ჟურნალისტს პიტერ მაასს:

— თუმცაღა, რა საჭიროა ყოველივე ამაზე ლაპარაკი! არავინ მოგისმენთ. ამას არავინ დაიჯერებს. გასაგებია? ასეა თუ ისე, „კოზა ნოსტრა“ მეორე მთავრობაა. ეს მეტისმეტად გრანდიოზულია!

შეერთებული შტატების იუსტიციის მაშინდელი მინისტრი რობერტ კენედი, მის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, სწორედ მათ, ვისაც არ სჯეროდა, მიმართავდა:

— ბევრ ამერიკელს ისე წარმოუდგენია, რომ თითქოს ორგანიზებული დანაშაული მათ არ ეხება. ცდებიან. ორგანიზებული დანაშაულის პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა ისე სწრაფად გაიზარდა, რომ იგი ეხება ჩვენი უმრავლესობის ცხოვრებას.

მაფიის უზარმაზარი დოსიეს გულდასმით შესწავლის შემდეგ, როგორც ჩანს, შეუძლებელია არ აღიარო რობერტ კენედის სიტყვების სიმართლე. იმისათვის, რომ დაგვარწმუნოს ამ მოსაზრების უტყუარობაში, მას საკმარისად მიაჩნია ერთი უბრალო კონსტატაცია. რობერტ კენედი თვლის, რომ „კოზა ნოსტრას“ ერთი წლის შემოსავალი „რამდენიმე მილიარდი დოლარია!“ ეს თანხა სჭარბობს ისეთი ქვეყნების ეროვნულ შემოსავალს, როგორიცაა საფრანგეთი ან იტალია. ცნობილია, თუ რა გზებით შოულობენ ამ ფულს: ნარკოტიკების კონტრაბანდული ვაჭრობით, პროსტიტუციით, აზარტული თამაშებით, გამოძალვით, ანუ დანაშაულით. ადვილი მისახვედრია, თუ შემდეგ სად მიდის ეს ფული. მისი ნაწილი, უეჭველია, ხმარდება „კოზა ნოსტრას“ საქმიანობის უზრუნველყოფას, მისი საერთო ხარჯების დაფარვას. ამ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილია ის უზარმაზარი თანხა, რასაც იყენებენ ქრთამებისათვის, ყველა იმათ მოსყიდვისა და გახრწნისათვის, ვინც სჭირდება მოცემულ ორგანიზაციას, აგრეთვე საკუთარი თავის დაცვის უზრუნველყოფისა და ჩადენილი დანაშაულის მიჩქმალვისათვის. დანარჩენი ფული შედის საზღვარგარეთის ბანკებში და შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ამ „განსაწმენდელიდან“ გამოსული „ნამუსმოწმენდილი“ ფული მზადაა ჩაერთოს კანონიერ საქმეთა ფართო სფეროში.

ამიტომ, სრულიად შესაძლებელია, რომ პური, რითაც ყოველდღე ვიკვებებით, ბენზინი, რითაც ჩვენს მანქანას გავაწყობთ ხოლმე, ან ჩვენი საცხოვრებელი ბინაც კი, იმ შავი ფულითაა შექმნილი, რომელსაც ზოგიერთი დამნაშავე იღებს მილიონობით ბავშვის ნარკოტიკების მიღების მიჩვევისათვის.

ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველა ჩვენთაგანს ეხება.

სიტყვა, რომელიც განმარტებას არ ემორჩილება

სიტყვა „მაფიის“ თვით წარმოშობა ბოლომდე ცხადი როდია. პირველი ცდალი ამ სიტყვისა გვხვდება 1862 წელს ჯუზეპე რიკოტოს პიესის სათაურში „ვირკარიის მაფიელები“[1], რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. რამდენიმე წლის

[1] ვიკარია — ასე ეწოდებოდა იმ დროს პალერმოს ციხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, 1869 წელს, ეს სიტყვა მოხვდა ტრაინის „სოციალური სიტყვების მცირე ლექსიკონში“, სადაც იგი განმარტებული იყო შემდეგნაირად: სიმამაცე, ყოყოჩობა, გულზვიადობა. მაგრამ ლექსიკონში არაფერია ნათქვამი მისი წარმოშობის თაობაზე. გავიდა 100 წელზე მეტი, ამ სიტყვის წარმოშობა კი კვლავ საიდუმლოებითაა მოცული და იწვევს კამათს. სპეციალისტები კვლავინდებურად აყენებენ რამდენიმე ჰიპოთეზას, რომელთა შორის ვერც ერთი გამოირჩევა დამაჯერებლობით. უმეტესად ლაპარაკობენ ამ სიტყვის არაბულ წარმოშობაზე. როგორც ცნობილია, მავრებს სიცილია დაპყრობილი ჰქონდათ 827 წლიდან 1060 წლამდე და მათ მიერ შემოტანილმა ცივილიზაციამ ღრმა კვალი დატოვა კუნძულის დასავლეთ ნაწილში, ესე იგი, სწორედ იმ ნაწილში, სადაც სიტყვა „მაფია“ გამოჩნდა პირველად. ამ ჰიპოთეზას იცავს სიცილიელი ისტორიკოსი გაეტანო ფალკონე თავის წიგნში „მაფიის ისტორია“ და წერს, რომ შესაძლებელია იგი მომდინარეობს სიტყვა „მაფალიდან“, რაც ნიშნავს დიდი რაოდენობის ადამიანების შეხვედრას, შეკრებას, ან იქნებ „მაფიასიდან“, რაც ნიშნავს ვინმეს მიერ რაიმეს დაფარვას, დაცვას, და აქედან წარმოიშვა სიტყვა „მუაფახი“, ესე იგი, ხსნა, ხელშეუხებლობა, ყოველგვარი უღლისაგან გათავისუფლება, დაცვა, მფარველობა. ფალკონე იმოწმებს მეორე სიცილიელ ისტორიკოს ჯუზეპე პიტრეს, რომელიც თავის წიგნში — „სიცილიელი ხალხის ზნეჩვეულებები, რწმენა და ცრუ რწმენანი“, — მოგვითხრობს, რომ მან სიტყვა „მაფია“ აღმოაჩინა პალერმოს ერთ-ერთ კვარტალში — ბორგოში, სადაც ეს სიტყვა ნიშნავს „სილამაზეს, სიდიადეს, სრულყოფილებას, სიმამაცესა და ქველობას“.

სხვა ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს სიტყვა უფრო მოგვიანებით, XIII საუკუნეში იშვა, კერძოდ, „სიცილიურ სერობათა“ დროს, რის შედეგადაც 1282 წლის აღდგომა ორშაბათ დღეს პალერმოს მკვიდრნი შეძახილებით — „იტალიას სურს ფრანგების სიკვდილი“ — აუჯანყდნენ ფრანგებს, რომლებსაც დაპყრობილი ჰქონდათ კუნძული. ამგვარი სხვა ჰიპოთეზის თანახმად, ეს სიტყვა შექმნილია XIV საუკუნეში ერთ-ერთი აჯანყებული სექტის ლოზუნგის პირველი ასოებისაგან: „მაძინი აუტორიძა ფურტი, ინჩენდი, აველანამენტი“ (მაძინი იძლევა ძარცვა-გლეჯის, ცეცხლის წაკიდებისა და მოწამვლის უფლებას). თავის მხრივ ავოლიო (1875 წელი) მერყეობს ლათინური წარმოშობის სიტყვა „ვაფერი, ვაფერიზუსსა“ (რაც „ცბიერს“ ნიშნავს) და ფრანგული წარმოშობის მოძველებულ სიტყვა „მეფელს“ შორის, რომელიც ნაწარმოებია სიტყვა „მოფი“-დან (ბოროტების ღმერთი). ამ უკანასკნელ სიტყვას ლუაზლერი ხმარობს ტამპლიერების (ტაძრის კერპთა) მომართ. რაც შეეხება მორტილარო დი ვილარენს (1876 წელი), იგი თვლის, რომ ეს სიტყვა პიემონტელთა გამოთქმით, რამდენადმე ექვივალენტია სიტყვა „კამორასი“ (ბანდა, ხროვა).

რომელ ვარიანტსაც უნდა მივაკუთნოთ უპირატესობა, სრულიად აშკარაა, რომ სიტყვა „მაფიას“ თავდაპირველად და შემდეგ, კარგა ხნის მანძილზე, არ ჰქონია ისეთი სათაკილო აზრი, როგორსაც იგი დღეს შეიცავს. მხოლოდ გასული საუკუნის დამლევს დაიწყეს ამ სიტყვით, განსაკუთრებით პოლიციის მოხსენებებში, „დამნაშავეთა ასოციაციის“ აღნიშვნა. ამ მიზეზით შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი მაფია, რომელზედაც ლაპარაკობენ, სიცილიაში გარიბალდის მოსვლისა და ბურბონებზე სავოიას დინასტიის გამარჯვების ისტორიასთან ერთად გამოჩნდა. მაგრამ ვიდრე აქამდე მივალთ, სახელები უნდა დავარქვათ როგორც კეთილ, ასევე ბოროტ ფერიებს, რომლებიც ესწრებოდნენ მაფიის დაბადებას და თვალს ადევნებდნენ მის პირველ ნაბიჯებს.

მაფიის წარმოშობა

დღეისათვის ყველა იზიარებს იმ აზრს, რომ მაფია სიცილიის პირმშოა, მაგრამ მისი წარმოშობა კვლავ საიდუმლოებითაა მოცული. ზოგიერთები, როგორც ეს უკვე ითქვა, ამტკიცებენ, რომ მაფია იშვა X ან XII საუკუნეში, სარაცინის ოკუპაციის დროს. სიცილიელებს ახალი მბრძანებლები მოევლინენ, რომლებმაც თან მოიტანეს სრულიად სხვა რელიგია, ენა და ცივილიზაცია. ამიტომაც სიცილიელებს საკუთარი თავის გადარჩენისათვის სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, თუ არა პარალელური საზოგადოების, თავისებური „კონტრსაზოგადოების“ შექმნა. ერთი სიტყვით, მაფია თავისი პირველი ფორმით წინააღმდეგობის ორგანიზებული მოძრაობა გახლდათ.

ეს ჰიპოთეზა მისაღები იქნებოდა, მავრები კუნძულის პირველი დამპყრობლები რომ ყოფილიყვნენ. სხვათა შორის, როცა ისინი აქ მოვიდნენ, სიცილია უკვე ათას წელზე მეტხანს იყო ოკუპირებული. კუნძულზე ევროპის ყველა ხალხის გამოჩენის ეს საბედისწერო გარდუვალობა ნაწილობრივ მისი გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება. ხმელთაშუა ზღვის ორი დიდი აუზის შესაყართან თავისი არსებობით იგი ერთდოულად თიშავს და აერთებს ევროპას, აფრიკასა და აზიას. ამიტომ, გასაგებია თუ რატომ ცდილობდა ხან ერთი, ხან მეორე მსხვილი სახელმწიფო, რათა თავისი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა ეს კუნძული. საქმე ხომ მათ უშიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგბას ან სამფლობელოს გაფართოების შესაძლებლობას ეხებოდა.

ამბობენ, რომ სიცილიელები ზოგჯერ საკმაოდ კარგად ეთვისებოდნენ ზოგიერთ დამპყრობს, მაგრამ ცნობილია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: სრული ასიმილაცია არასოდეს განუცდიათ. ამაში, უეჭველია, მნიშვნელოვანწილად დამნაშავენი თვით დამპყრობლები არიან, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობას უყურებდნენ ცოტად თუ ბევრად როგორც კოლონიზებულ ხალხს. სიცილიელებმა ვერ შეძლეს ბოლომდე მოეცილებინათ უღელი ან შეექმნათ სიცილიელთა ერი, ამ სიტყვის სრული გაგებით, მაგრამ მათ ის მაინც შეძლეს, რომ დარჩენილიყვნენ სიცილიელებად, ეს კი ნამდვილი სასწაულის ტოლფასია. ალბათ სიცილიური ხასიათის სწორედ ასეთ სიმტკიცეს ემყარება მაფიის სულისკვეთების არსი. იგი მაფიის შექმნამდე მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობდა, და სწორედ ამით აიხსნება ერთდროულად მისი თვითმყოფადობა, ორაზროვნება და სიმტკიცე.

ასეთი ჰიპოთეზის გამო, მაფიის ისტორიული ფესვი ურიცხვია და მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. მაგრამ უნდა აღინიშნოს ორი განსაკუთრებით ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი თვისება: სახალხო გმირობა და ერთობა. ისტორიამ შემოინახა იმ ბელადის სახელი, რომელმაც 1282 წელს სათავე დაუდო და თავადვე ხელმძღვანელობდა სახელგანთქმულ „სიცილიურ სერობებს“ ეს არის ჟან დე პროჩიდა. სიცილიის სახალხო გმირების გრძელ სიაში, რომელიც სალვატორე ჯულიანომდე მოდის, პროჩიდა, ყოველგვარი მერყეობის გარეშე, შეგვიძლია სულ თავში დავაყენოთ.

ერთობის პირველი უეჭველი კვალი უფრო მოგვიანებით ჩანს. ისტორიკოსები ახსენებენ „ბეატი პაოლის“ ერთობას, რომელიც შეიქმნა 1670 წელს პალერმოში. იგი აერთიანებდა დაახლოებით ათ აზნაურს, რომლებიც საკუთარ თავს „განათლებულ აზნაურებს“ უწოდებდნენ. მათი ამოცანა იყო საკუთარი კასტის ინტერესების დაცვა. ეს ერთობა იცავდა ყველა იმ რიტუალს, რაც დამახასიათებელია თითოეული საიდუმლო ორგანიზაციისათვის. წესისამებრ იმ მღვიმეში იკრიბებოდნენ, რომელიც ეკლესია სან როკკოს მახლობლად იყო. სხვა ერთობები უკვე პალერმოს საზღვრებს გარეთ შეიქმნა, კერძოდ, ბაგერში, მონრეალში, კალტანისეტში და შესაძლოა, სხვა ადგილებშიც. თუმცაღა, ყველა ეს ერთობა ერთი და იგივე მიზნისათვის არ იღვწოდა, მაგრამ ფუნქციონირებდა დაახლოებით ერთნაირად. უსაფრთხოების გასაგები მიზეზების გამო, ერთობა ათზე მეტი წევრისაგან არ შედგებოდა. მას თავკაცობდა ხელმძღვანელი — „ათმეთაური“. ზოგჯერ ერთობა ორ ჯგუფად იყოფოდა და თითოეულს „მანო“ ეწოდებოდა.

სახალხო გმირებს ოკუპანტები ყაჩაღებად ნათლავდნენ, ხოლო სიცილიელი ხალხი მათ „ღირსების ადამიანებს“ უწოდებდა. იდეალი, რომლითაც შთაგონებულნი იყვნენ სახალხო გმირები, ძალიან ჰგავდა იმ იდეალს, რაც საფუძვლად ედო ერთობებს. უწინარეს ყოვლისა, მათ მიზანს შეადგენდა დამპყრობთა, ვინც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, კანონებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. ამისათვის კი ყველა მეთოდი გამოსადეგად მიაჩნდათ, ოღონდ კი ეფექტიანი ყოფილიყო. სახალხო გმირებისათვის ერთადერთ წესად იქცა ცნობილი გამოთქმა „მიზანი ამართლებს საშუალებებს“. სახალხო გმირები, ისევე როგორც ერთობები, უკვე მაფიის სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი.

„პატივცემული საზოგადოება“

მაფიის წევრებს არ უყვართ სიტყვა „მაფია“. ისინი უარყოფენ კიდეც ამ სახელს. მაფიის თაობაზე ერთი რეპორტაჟის გამო, რომელიც სიცილიაზე მომზადდა შვეიცარიის ტელევიზიისათვის, დომინიკ ფერნანდესი დაახლოებით შემდეგს მოგვითხრობს: „თუ სიცილიელს ჰკითხავთ, რას ფიქრობს მაფიაზე, იგი გიპასუხებთ: „მაფია“? ასეთი რამ მე არ ვიცი“, მაშინ თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ იგი მაფიის წევრია“. მაფიის წევრებს ურჩევნიათ საკუთარ ორგანიზაციას „პატივცემული საზოგადოება“ უწოდონ, რადგან სიტყვა „მაფია“ მიაჩნიათ აბუჩად აგდებად.

ისტორიკოსები შეეცადნენ განესაზღვრათ „პატივცემული საზოგადოების“ შინაგანი სტრუქტურა და მისი ფუნქციონირების წესი. სამწუხაროდ, მათ ჯერ კიდევ ხელთ არ ჰქონდათ ვინმე სიცილიელი ვალაკის ჩვენებები, რის გამოც მათ მიერ გამოტანილი დასკვნები ხშირად წინააღმდეგობრივია. კერძოდ, ისინი მივიდნენ ერთ თვალსაზრისამდე „ოჯახის“ განსაზღვრისას „კოსკასთან“ მიმართებაში. საერთოდ, „ოჯახი“ იგულისხმება სიტყვის ფართო გაგებით. ოჯახი — ეს ერთი ოჯახის მხოლოდ ნათესავები როდი არიან, არამედ — მეგობრებიც. სიტყვა „კოსკა“ უბრალო ენით ნიშნავს „ნიახურს, არტიშოკს ან ღორის ქადას“. მაფიის ენაზე იგი ჯგუფს ნიშნავს, რომელშიც სხვადასხვა ელემენტები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ისე, როგორც ნიახურის ერთ ღეროზე გამოსხმული ფოთლები. ეჭვი იბადება იმის თაობაზე, რომ ან ოჯახი შედგება რამდენიმე კოსკადან, ან პირიქით—კოსკა აერთიანებს რამდენიმე ოჯახს. არსებობს ისეთი ვარაუდიც, რომ ეს ორი სიტყვა სინონიმებია. ერთადერთი, რაც ეჭვს არ იწვევს ის არის, რომ რამდენიმე კოსკა ან რამდენიმე ოჯახი ქმნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობას.

უკეთესად ვიცით ერთი ოჯახის ან ერთი კოსკას შემადგენლობა. სათავეში დგას „კაპო“ („მთავარი“), რომელსაც იმისდა მიხედვით, თუ როგორ არიან მასთან დაახლოებულნი, ეძახიან დონს ან ძიას. საფუძველს შეადგენენ „პიჩოტები“. ისინი ემსახურებიან „მთავრის“ ხელქვეითებს, პიჩოტები მოვალენი არიან სრული მორჩილება გამოუცხადონ „მთავარს“, რომელიც განაგებს მათ სიცოცხლესა და სიკვდილს. „მთავარსა“ და „პიჩოტს“ შორის ზოგჯერ არის ერთი ან რამდენიმე შუალედური ელემენტი — „კაპორეჯიმე“, მაგრამ ეს ხდება ძალზედ იშვიათად. სიცილიაში პრაქტიკულად ასეთი წოდება არ არის, მაგრამ იგი მეტად მნიშვნელოვანია ამერიკის მაფიაში. მთელი სიცილიის მაფიის თავში დგას „ბელადი“, რომელიც არის უმაღლესი ხელმძღვანელი და არბიტრი. „მთავართა“ უმრავლესობა, რომელთაც მეტ-ნაკლებად საყურადღებო მნიშვნელობა აქვთ, ემორჩილებიან „ბელადს“, მაგრამ იმ პირობით, რომ მისი ძალაუფლება მეტისმეტად არ უნდა შეიჭრას „მთავართა“ საკუთარ სფეროში.

ხშირად უცდიათ მაფიის წევრის იდეალური პორტრეტის დახატვა. ამისათვის უმეტესად მიმართავდნენ სიცილიის მაფიის სამი გამოჩენილი ხელმძღვანელის, სამი დონის: ვიტო კაშო ფეროს, კალოჯერო ვიცინის და ჯენკო რუსოს დახასიათებას, რომლებიც ნახევარი საუკუნის მანძილზე კუნძულის ნამდვილი პატრონები იყვნენ. სამივეს თავისი საკუთარი ხასიათი ჰქონდა და თითოეულის მმართველობა გამოირჩეოდა რაღაც განსაკუთრებული თვითმყოფადობით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ ბევრი საერთოც ჰქონდათ და სწორედ ამ საერთო თვისებების საფუძველზე შეიძლება შევადგინოთ მაფიის წევრის თავისებური ტიპური პორტრეტი.

უწინარესად, თვალში საცემია, რომ იგი თითქმის ყოველთვის უაღრესად ღარიბი ოჯახიდან არის გამოსული და როგორც წესი, სოფლელია. იძულებულია მეტად ადრე მიატოვოს სკოლა და ამიტომ ხშირად მცირე განათლების მქონეა. ყურადსაღებია მისი სასამართლო საქმე. ერთი შეხედვით დოსიე მეტად უხვია, მაგრამ მისი გულდასმით შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მართლმსაჯულება მათ ცოტა რამეს თუ უსაყვედურებს. მართალია, მას მრავალჯერ აპატიმრებენ ქურდობის, ძარცვისა და მკვლელობისათვისაც კი, მაგრამ თითქმის ყოველთვის ამართლებენ „სამხილთა უკმარისობის გამო“. განსაკუთრებით დამახასიათებელია ჯენკო რუსოს მაგალითი. 1921 წლიდან 1942 წლამდე დონ კალოს მემკვიდრეს ერთი ოცჯერ მაინც წაუყენეს ბრალდება, მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ მან ციხეში მხოლოდ ორი წელი გაატარა, ხოლო ამ პერიოდში მისი სიმდიდრე და ძალაუფლება კვლავ იზრდებოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო მეგობრებო!

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია გულითად ჭადლობას უხდის ყველა კოლეგასა და მკითხველს, ვინც აქტიური პროპაგანდა გაუწია ჩვენს ჟურნალს და მონაწილეობა მიიღო მის გავრცელებაში.

სამჯერ და მეტად გაიზარდა ხელმოწერა:

ქ. ქ. სოხუმში, ცხინვალში, ქუთაისში, გაგრის, გუდაუთის, ბოლნისისა და გარდაბნის რაიონებში.

ორჯერ და მეტად:

გალის, ხელვაჩაურის, ბორჯომის, დუშეთის, მესტიის, მცხეთის, ონის, საჩხერის, სიღნაღის, წულუკიძის რაიონებში, ქ. ქ. ფოთში, ჭიათურაში.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელმოწერა:

ქ. ქ. ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდის, ქედის, ახალციხის, კასპის, ლაგოდეხის, მარნეულის, მახარაძის, ხაშურის რაიონებში.

გაიზარდა ხელმოწერა:

ქ. ტყიბულში, ხულოს, შუახევის, აბაშის, თიანეთის, ცაგერის, ჩხოროწყუს რაიონებში.

ქ. თბილისში პირველობა არავის დაუთმო საბურთალოს რაიონმა; თავი გამოიჩინეს აგრეთვე თბილისის ოქტომბრის, პირველი მაისისა და კალინინის რაიონებმა.

შეუწყნარებლად ცოტა ხელმოწერი გვყავს ქ. ტყვარჩელში, ჯავის, წალკის, ბოგდანოვკის, ზნაურის, ოჩამჩირის, დმანისისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონში. ამ რაიონების სამართალდაცვითი ორგანოების წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ ლიმიტირებული არ არის და მისი გამოწერა შეიძლება წლის ნებისმიერ დროს.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 2, 1987 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тоилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина, 14.

644/86

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76185